# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 17 ოქტომბერი 2000 №200 (1222) | ფასი 50 თეთრი


# ზოგი უქეიფოდ, ზოგი საქეიფოდ

სვეტიცხოვლობას მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასთან" 0:1 წაგების მერე „ლოკომოტივის" სასწრაფოდ გაუჩინარებული მთავარი მწვრთნელის თანაშემწემ, თემურ ჩხაიძემ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე დაიჩივლა:

— ხომ შეიძლება, დღესასწაულებზე არ ვითამაშოთ. დღეს მცხეთობა იყო, 28 აგვისტოს მარიამობა...

მართლაც როგორია, ტრიბუნაზე სუფრა გაუშლიათ და ქეიფობენ, მოედანზე კი ფეხბურთია სათამაშო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შაბათს, მცხეთობას უმაღლესი ლიგა არ აუქმა, რადგან დღეს ეროვნული თასის მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩებია სათამაშო.

მანამდე კი ჩემპიონატი საკმაოდ საინტერესოდ განახლდა:

„ბათუმი" „კოლხეთს" ფოთში ახალი მთავარი მწვრთნელით, ასლან ბალაძითურთ ეწვია და დამარცხდა, „ტორპედო" კი ზესტაფონში სულაც უმთავარმწვრთნელოდ ჩავიდა „იბერიასთან" სათამაშოდ და შეუძლოდ მყოფ დავით ყიფიანს თავის ტკივილი აღარ შემატა.

დანარჩენი წყვილები ერთმანეთს ოდენ თითო ქულას გამორჩნენ, მაგრამ თვალსასეირო იქაც ბევრი იყო: თბილისის „დინამოს" მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძემ მესამე წუთზე ბურთი თამაშში შეყვანის ნაცვლად საკუთარ კარში გაიტანა და ამ გოლით დაწინაურებულ და მერე კიდევ უფრო წინ გასულ გორელებს ბოლო წუთზე რომ არ გაეშვათ, ექს-ჩემპიონს სამ ქულას დასტყუებდნენ.

„მერანის" მენეჯერმა ვლადიმერ ჩერქეზოვმა კი მატჩის მერე არბიტრ კახაბერ მესხის გასაპანღურებლად გაიწია, მაგრამ ცალკე ავჭალელთა მეკარე აკაკი დევაძე, ცალკე სათადარიგო მსაჯი გამოუდგნენ და მესხს პანღური აცდა.

რუსთავში სტუდენტები დაწინაურდნენ, მაგრამ „გორდამ" წუთშივე გაათანაბრა.

ახლა თავად განსაჯეთ, შაბათის ტურის მერე ვინ უქეიფოდაა და ვის ექეიფება.



შაბათს ავჭალაში: „მერანი" — „სიონი" 0:0. „მერანის" მენეჯერმა ვლადიმერ ჩერქეზოვმა არბიტრ კახაბერ მესხზე ისე გაიწია, ავჭალელთა მეკარე აკაკი დევაძეს (№1) და სათადარიგო მსაჯ ალექსანდრე მეშკოვს რომ არ გაეკავებინათ, მესხს პანღური არ აცდებოდა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

## 8 ტური

14 ოქტომბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 1 |
| ბათუმი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| ლოკომოტივი | 0 |
| დილა | 2 |
| დინამო | 2 |
| მერანი | 0 |
| სიონი | 0 |
| იბერია | 0 |
| ტორპედო | 3 |
| გორდა | 1 |
| თსუ | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 8 | 0 | 0 | 15:2 | 24 |
| ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 19:5 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 2 | 1 | 11:3 | 17 |
| დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 10:12 | 13 |
| მერანი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 12 |
| გორდა | 8 | 2 | 5 | 1 | 9:12 | 11 |
| თსუ | 8 | 3 | 1 | 4 | 11:14 | 10 |
| კოლხეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:11 | 9 |
| დილა | 8 | 2 | 2 | 4 | 8:14 | 8 |
| სიონი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:8 | 7 |
| ბათუმი | 8 | 2 | 0 | 6 | 7:13 | 6 |
| იბერია | 8 | 0 | 1 | 7 | 1:14 | 1 |

# კახი კახიაშვილი სამთავრობო დონეზე



...ბერძნების დიდი დელეგაცია მომყვება — ასი, ასორმოცდაათი კაცი. ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია, დეტალებიც მალე დაზუსტდება, ალბათ, სამთავრობო დონეზე.


ინტერვიუ სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ კახი კახიაშვილთან იხილეთ მეთოთხმეტე გვერდზე




ორი კვირის წინ სტანკოვიჩი და „ლაციო" „ჰაიბერიზე" დამარცხდნენ. დღეს რევანშის შანსია

# ჩვენ რა დაგვასვენებს?!

ორიოდ კვირა დაგვასვენა და ამასობაში აღმოვაჩინეთ, რომ საქართველოს ნაკრებისთვისაც ღირს გულის ხეთქვა. მაგრამ მარტამდე დიდი დროა, დღეს კი კვლავ ჩემპიონთა ლიგაა. ხვალაც იქნება, მომავალ კვირაშიც, იმის იქითაც...

ლიგა გრძელდება.


იხილეთ მეათე გვერდი


# პლუს 117 და ზანგთა კვარტეტი

პლუს 117 — ამდენია საქართველოს ჩემპიონის ბათუმის „ბასკოს" ჩაგდებული და გაშვებული ბურთების სხვაობა. ეს რომ შუა ჩემპიონატში ყოფილიყო, გასაკვირი არაფერი იქნებოდა, მაგრამ... მეათე ეროვნული შაბათს დაიწყო ბათუმში და „ბასკომ" ორადორი მატჩი ითამაშა.

არათუ ამხელა სხვაობის მიღწევა, ორ დაძაბულ მატჩში გუნდს ხანდახან 117 ქულის ჯამში დაგროვებაც კი უჭირს, მაგრამ ჩემპიონატის საწყის მატჩებს დაძაბულობისა არაფერი ეცხო: „ბასკომ" ჯერ ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონი „ვითა" დაამარცხა 96:32, მეორე დღეს კი „შევარდენს" 108:55 გაუსწორდა.

და კიდევ, საქართველოს ჩემპიონატში პირველად ითამაშა ამერიკელმა კალათბურთელმა — ბასკოელი ჯეფ როჯერსი შედეგიანობითაც გამოირჩა და თანაგუნდელებს ბლომად პასები ჩამოურიგა. მის მხარდამხარ თამაშობდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომელიც სამწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა ეროვნულ ჩემპიონატს.

დღეს „ბასკო" „მაკაბის" დაუხვდება. თუკი გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, ამ მატჩში ერთბაშად ოთხი შავკანიანი კალათბურთელი ითამაშებს — როჯერსს მაკაბელთა კამერუნელები, ტუჯანი და დაჩუმი დაუპირისპირდებიან. მეოთხე კი უცნობი ამერიკელია, რომელსაც გუშინ გვიან ელოდნენ ბათუმში და დღეს, შესაძლოა, „ბასკოს" ღირსება დაიცვას.


გიორგი ბიკაშვილის რეპორტაჟი ბათუმიდან იხილეთ მეთორმეტე გვერდზე

საქართველოს უმაღლესი ლიგა ჩემპიონატი პირველი წრე 12

# 8 ტური

# ვის აუცდა და ვის დაუცდა



დავით გოდერძიშვილი (ბურთით) და დავით სვანიძე

თბილისი
14 ოქტომბერი
16 საათი
სინათლე
800 (ტევადობა 3 000)

**მერანი 0:0 სიონი**

ისიანმა ვერ გაიტანა პენალტი (29)
მერანი: დევაძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, პოდლესნი, დ. გოდერძიშვილი, ხორხელი (გ. კვეტენაძე 60), კაკუბავა (როსტიაშვილი 63) ქინქარაული, მუხინი (მინაშვილი 60), ბოლქვაძე
სათადარიგონი: ნაჭყებია; ოდიშარია, კობიაშვილი, ივანიშვილი
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ძაბინძულაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიშვილი, ისიანი (გამცემლიძე 88), ბარნოვი, მოსეშვილი (სვანიძე 82), სოლომაშვილი, ვ. მაისურაძე, კ. მეტრეველი (წიჭწივაძე 46)
სათადარიგონი: დალაქიშვილი; ჯაფარიძე, ჩაგელიშვილი
გაფრთხილება: გუჯაბიძე (15) ცქიფურიშვილი (32), კ. გოდერძიშვილი (74), ბარნოვი (89)
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე, გ. კაკაჩიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: ვ. ელოშვილი

**დავით თავართქილაძე**

**ჩვენში** რატომღაც ჯიუტად ცდილობენ, დაამკვიდრონ აზრი, რომ მსაჯების გადაწყვეტილების შეფასება მხოლოდ მათ კოლეგებს ან ყოფილ კოლეგებს ძალუძთ, აქაოდა წიგნად თუ ბროშურად დაბეჭდილ თამაშის წესებს ყველა როდი კითხულობს გულდასმითო.

...მერანელი ოთარ როსტიაშვილი კი მეტოქის საჯარიმოში იდგა, როცა ბურთი მიუვიდა და ერთ-ერთმა ბოლნისელმა უკნიდან ფეხებში ისეთი ამოსცხო (ბურთთან შეუხებლად), რომ ატალახებულ მინდორზე უმალ წაიქცა. ჰოდა, ძალიან საინტერესოა, წიგნად თუ ბროშურად დაბეჭდილი თამაშის წესების რომელი პუნქტის რომელ პარაგრაფში ამოიკითხა არბიტრმა, ასეთ სიტუაციაში ხელები უნდა დაიბანოო. ორივე თვალით რაც ვიხილეთ, ის არაფერია?

სხვა საქმეა, იყო თუ არა, ეს „მერანის" მოსაგები თამაში, სტუმრებმა ხომ გაცილებით მეტი სახიფათო მომენტი შექმნეს. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მასპინძელთა მცველებს მოსვენებას არ აძლევდა შეტევის მარცხენა ფლანგზე მოთამაშე შალვა ისიანი, რომელიც დავით სოლოლაშვილის კარგი პასით მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და მასთან ორთაბრძოლაში 11-მეტრიანიც მოინადირა. ნაღდი შანსიც მანვე გააცუდა — აკაკი დევაძე მარჯვნივ გადახტა, ბურთი კი მეკრისგან მარცხენა ძელთან გასრიალდა. შალვა ისიანს ხელმეორედაც მიეცა მერანელთა კარის აღების შესაძლებლობა, მაგრამ ოციოდე მეტრიდან გასროლილი ჯარიმა ძელმა აისხლიტა.

„მერანმა" ტემპიანი, ხისტი და აგრესიული თამაში კი შესთავაზა „სიონს", მაგრამ ვერაფერს გახდა. მასპინძლები მინდორზე მინაშვილის გასვლამდე ერთი ფორვარდით თამაშობდნენ და მათი ეულად დარჩენილი მეგოლე დავით გოდერძიშვილიც ვერაფერს ახერხებდა, რადგან ფლანგებიდან დევიძე და პოდლესნი ვერ ეხმარებოდნენ, მოედნის ცენტრში კი ძალისმიერ ორთაბრძოლებს უფრო ხშირად ბოლნისელები იგებდნენ.

შესვენების შემდეგ მასპინძლები ოდნავ გააქტიურდნენ და მცირე ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს. მერანელთაგან საუკეთესო შანსი ავთანდილ ხორხელს მიეცა, მაგრამ თემურ ვოლკოვმა იყოჩაღა. სტუმართა მეკარემ არც სოსო დევიძეს დაანება საშუალო მანძილიდან კარის დალაშქვრა. მერე გოდერძიშვილმა ითამაშა კარგად, მაგრამ ბოლო მომენტში მცველებმა განმუხტეს სიტუაცია. უფრო ხელსაყრელი, შეიძლება ითქვას, აშკარა საგოლე მომენტები კი კვლავ სტუმრებმა შექმნეს — ჯერ ჰამლეტ წივწივაძემ ეფექტური დარტყმით 8-9 მეტრიდან ააცილა, ხოლო ბახვა მოსეშვილმა იმავე დისტანციიდან სულაც ცარიელ კარს ვერ დაუმიზნა ბურთი.

ასეთი დაძაბული მატჩი, რომელიც მსაჯმა კიდევ უფრო გაამძაფრა, მშვიდობიანად კი ჩამთავრდა, მაგრამ მატჩის მერე არბიტრისკენ „მერანის" მენეჯერმა ვლადიმერ ჩერქეზოვმა ისე გაიწია, რომ არ დაეკავებინათ, კახაბერ მესხს პანღური არ აცდებოდა.

...„მერანს" კი ფეხი დაუცდა, რაც უპირველესად ბოლნისელთა შეუპოვრობამ და მობილურმა თამაშმა განაპირობა.

# სუპერკურიოზი

გორი
14 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
1000 (ტევადობა 8 230)

**დილა 2:2 დინამო**

1:0 ჩიხრაძე (3ა.კ.), 2:0 კოტორაშვილი (76), 2:1 ზირაქიშვილი (84), 2:2 გადელია (89)
დილა: თ. ილურიძე, ბკოფიანი, ლომიძე, გაგნიძე, ხოხობაშვილი, რევაზიშვილი, ციცქიშვილი (მ. ბურნაძე 81), დ. მაისურაძე (ტულუში 60), კოტორაშვილი (საყვარელიძე 78), ხმალაძე, ხორგუაშვილი
სათადარიგონი: მდივანი, ისაშვილი, სამნიაშვილი
დინამო: ჩიხრაძე, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ზამთარაძე (რუხაძე 67), შაშიაშვილი, კანდელაკი (კ. გოგოლაძე 74), ჯინჭარაძე, სიჭინავა (მაზიაშვილი 81), დალევაძე, გადელია, ზირაქიშვილი
სათადარიგონი: ბათიაშვილი; გ. მიქაძე, ბურდული, მონასელიძე
გაფრთხილება: ხორგუაშვილი (14), ხოხობაშვილი (27), ხმალაძე (79)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი (ყველა თბილისი); მ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

**– მსაჯმა** ალექსანდრე შილაკაძემ დასაწყისისა ჩასტვინა. მერვე ტურის „დილა" — „დინამოც" ჩვეულებრივად დაიწყო და ორი წუთიც ასევე გაილია. მესამეზე კი... „დინამოს" სათადარიგოთა სკამი ერთ ადგილზე გახევდა, ხოლო გორელთა — თავკაცმა მერაბ ხუციშვილმა თავზე ხელები წაივლო. ტრიბუნაზე შეფენილმა ქომაგებმა მხოლოდ ათიოდ წამის შემდეგ გააცნობიერეს, რაც მოხდა და სიხარულის ყიჟინა დასცეს. ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ ანგარიში გაიხსნა „დილას" სასარგებლოდ.

ეროვნული ჩემპიონატის არაერთი მატჩი მინახავს, მაგრამ ასეთი მომენტი...

სტუმართა მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე გორელი ფორვარდის უხეირო დარტყმის შემდეგ ბურთს იოლად დაეუფლა, მერე მარჯვენა ხელში გადაიტანა, სურდა, ბურთი მარცხნივ, თავისუფლად მყოფი მცველისთვის მიეწოდებინა. ჩიხრაძემ ხელი გაიქნია, ბურთისთვის ხელი არ გაუშვია, საყრდენი ფეხი დაუცდა, ხელმა უცნაური ტრაექტორია მოხაზა და ბურთი მცველისკენ არა და კარისკენ წავიდა. გამოეკიდა ბურთს მეკარე, მაგრამ მხოლოდ კარში შეგორებულს დაეწია.

ასეთ საჩუქარს „დილა" არ ელოდა. უფრო მედგრად შეებრძოლნენ გორელები დინამოელებს და შესვენებაზეც ერთბურთიანი უპირატესობით წავიდნენ. მართალია, სამჯერ მათ ნაღდი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ქარს გაატანეს.

მეორე ნახევარიც ბრძოლით დაიწყო „დილამ". სტუმრები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ საგოლე დარტყმამდე სამქე ვერ მოჰყავდათ და დროც გადიოდა.

76-ე წუთზე ანგარიში კატასტროფული გახდა დინამოელთათვის. გორელებმა მორიგ კონტრიერიშზე გამოიჭირეს ისინი. ხორგუაშვილმა ბურთი და მცველები ერთად ატარა, გზად ყველა ჩამოიცილა, ხოლო საჯარიმოს წინ ეულად მყოფ კოტორაშვილს საგოლე დარტყმა ხეირიანი გამოუვიდა.

გოლის ავტორმა ისე გაიხარა, რომ კუთხურის ალამი შეიწირა. კოტორაშვილის ფეხის მოქნევამ ალმის ტარი შუაზე გადაამტვრია.

მაშინ ვინმესთვის რომ გეთქვათ, თამაში ფრედ დამთავრდებაო, ალბათ, გიჟად შეგრაცხავდნენ, მაგრამ...

კოტორაშვილმა მწვრთნელს, შემცვალეო, სთხოვა, ციცქიშვილს არაფერი უთხოვია, მაგრამ დაღლა მასაც ეტყობოდა... ხუციშვილმა ორივე გამოცვალა. „დილამ" კი ექვსი წუთი ვერ გაუძლო „დინამოს" შეტევებს.

ჯერ ზირაქიშვილმა გაინავარდა მცველებში, მეკარესთან პირისპირ გასულ თავდამსხმელს მისი მოტყუება და გოლის გატანა არ გასჭირვებია. თამაშის ბოლოსწინა წუთზე კი რუხაძის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ გადელიამ თავით აულებელი დაურტყა ილურიძეს.

მსაჯის მიერ დამატებულ სამ წუთში დაწინაურება ორივე მხრეს სურდა, მაგრამ ერთია სურვილი და შესაძლებლობა — მეორე.

**მატჩის შემდეგ**

***მერაბ ხუციშვილი, „დილას" მწვრთნელი:***

— თამაში ისე წარიმართა, მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ, მერწმუნეთ, რომც წაგვეგო, ამას ტრაგედიად არ აღვიქვამდით. ძირითადის ხუთი მოთამაშე სხვადასხვა მიზეზით გვაკლდა, ამას დაუმატეთ თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი და „დინამოსთან" ქულის მოპოვებით კმაყოფილები ვართ.

***ნიკა ჩხეიძე, „დინამოს" მწვრთნელის თანაშემწე:***

— მეტად კურიოზული გოლი გავუშვით. ამან პირველ ტაიმში გუნდზე იმოქმედა, მაგრამ შესვენებაზე შევძელი, ბიჭები გაგვემხნევებინა და საბრძოლველად განგვეწყო. ისე, ფეხბურთელები ჩვენც გვაკლდა, თანაც რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენეთ და ფრეს დავჯერდით.

# უმთავარმწვრთნელოდ

ზესტაფონი
14 ოქტომბერი
16.20 საათი
მეტალურგი
200 (ტევადობა 10 000)

**იბერია 0:3 ტორპედო**

0:1 ჩხეტიანი (30), 0:2 ახვლედიანი (40), 0:3 გუჩუა (53)
იბერია: ვარდანიძე, ჟვანია, გ. ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, ლ. ხმალაძე (თუმლაძე 60), მ. ბობოხიძე (ონიანი 70), ბიწაძე (ყურაშვილი 65), ოდიკაძე, გოგიაძე
სათადარიგონი: ჩომახიძე, ბანძელაძე
ტორპედო: ზოიძე (ქანტურია 57), ახვლედიანი, ხვადაგიანი, შალამბერიძე, შეყრილაძე, ჩხაიძე (ასათიანი 75), კ. კვეტენაძე, გუჩუა, ჩხეტიანი, იმედაძე (მ. ბობოხიძე 75), იონანიძე
სათადარიგონი: მახვილაძე, ეჩიბერაძე, კვერნაძე, თურმანიძე
გაფრთხილება: ოდიკაძე (19), ხვადაგიანი (56), ახვლედიანი (82), ქანტურია (89)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე, ზ. ჯავარიძე (სამივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

**იუზა კაციტაძე ზესტაფონიდან**

**გათამაშების** ცხრილის თავსა და ბოლოში მოკალათებული გუნდების შეხვედრა 20 წუთის დაგვიანებით დაიწყო და, კიდევ კარგი, თორემ მას სულაც ჩაშლა ემუქრებოდა. იმერულ დერბიზე სფფ-დან თავად სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავჯდომარე გახლდათ მივლინებული.

ანატოლი მილჩენკოს ამბავი კი კარგად მოგეხსენებათ, ზოგიერთი თავისსავე ქვეშევრდომივით კი არ მოიქცა, მკაცრად მოითხოვა სავალდებულო წინასამატჩო ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. აქ სახანძროო, იქ სასწრაფო დახმარების მანქანა მედპერსონალით, საკაცით და მედიკამენტებითო — მოკლედ, ყველაფერი მოიკითხა და მანამ არ დართო გუნდებს მოედანზე სათამაშოდ გასვლის ნება, სანამ ეს საკითხები ასე თუ ისე მოგვარებულად არ ჩათვალა. მატჩის დაწყება გაჭიანურდა და როგორც თავად სფფ-ის ინსპექტორმა ბრძანა, ამ შემთხვევაში სტუმარ გუნდს „ტორპედოს" სრული უფლება ჰქონდა უარი ეთქვა თამაშზე და გამარჯვებაც ჩაეთვლებოდა, მაგრამ ქუთაისელები ჯენტლმენურად მოიქცნენ და იმერული დერბიც შედგა.

„იბერიამ" მეორედ ისტუმრა მეტოქე „მეტალურგზე". ერთადერთ ქულას სამტრედიელებმა (ამ სიტყვას უფრო ბრჭყალებში ჩასმა ეკუთვნის) სწორედ ზესტაფონში გამოჰკრეს ხელი, როცა „გორდას" დაუხავდნენ. მაგრამ ის „გორდა" იყო, ამჯერად კი სოსო ფრუიძის შეგირდებს გაცილებით მკაცრი გამომცდელი ჰყავდათ — უდანაკარგო ჩემპიონი, რომელიც, რაღა თქმა უნდა, მორიგ გამარჯვებას და ლიდერის პოზიციის განმტკიცებას გეგმავდა.

სამართლიანები უნდა ვიყოთ, „იბერია" მეტოქეს არ შეუშინდა. მოედნის ფორმალურმა მასპინძლებმა ნახევარი საათი ჟინიანად იბრძოლეს და „ტორპედოსაც" ამ ნახევარ საათში, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა. ჩემპიონმა ვერა და ვერააწყო თამაში, თუმც საგოლე მომენტები მაინც შექმნა, მაგრამ იმედაძეს არ გაუმართლა. მეხუთე წუთზე მან ზურგშექცევით ეფექტურად დაარტყა კარისკენ და ბურთი ძელს მოარტყა, მომდევნო ორ ეპიზოდში კი ქუთაისელთა ფორვარდს ვარდანიძემ არ გაატანინა.

ტორპედოელებმა 30-ე წუთზე გატეხეს მეტოქის წინააღმდეგობა. მარცხენა ფლანგიდან ჩხაიძის ჩაწოდებულზე ჩხეტიანმა იმარჯვა, ბურთს ძირს დაშვება არ აცალა, საჯარიმოს წინა ხაზიდან მოხდენილი დარტყმით ზუსტად გაგზავნა დაბალ კუთხეში.

ამის შემდეგ ქუთაისელთა უპირატესობა ეჭვს აღარ იწვევდა. გოლსმოყოლილ წუთში კვეტენაძეს მიეცა ანგარიშის გაზრდის საუცხოო შანსი, მაგრამ ვარდანიძემ მართლაც ძნელი ბურთი აულო მასთან პირისპირ დარჩენილ ტორპედოელს. წუთში არადა, „ტორპედომ" მაინც მალე გააორა. მეორე გოლიც ჩხაიძის მარცხნიდან ჩაწოდებულს მოჰყვა. იბერიელმა მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს საჯარიმოში გვერდიდან შეჭრილ ახვლედიანს და ამანაც მეტად მახვილი კუთხიდან ზუსტად დაარტყა.

შესვენების შემდეგ იგივე გაგრძელდა, „ტორპედო" უტევდა, „იბერია" თავს იცავდა. მესამე გოლის ავტორი გუჩუა შეიქნა. ვალტერმა (სხვათა შორის მასაც ჩხაიძემ უპასა) დაახლოებით 25 მეტრიდან გაისროლა, ვარდანიძემ კი რეაგირება ვერ მოასწრო.

მერე იონანიძე იყო ყურადღების ცენტრში. ქუთაისელთა გოლეადორს სამჯერ მაინც შეეძლო „ტორპედოს" მეტად დაწინაურება, მაგრამ ჯერ ორიოდ მეტრიდან ვერ მოახვედრა ცარიელ კარში, 85-ე წუთზე კი ზედიზედ ორჯერ გაარტყა ძელს.

ბოლოს იმას ვიტყვით, რომ „ტორპედომ" იოლ გამარჯვებას უმთავარმწვრთნელოდ მიაღწია. დავით ყიფიანი შეუძლოდ გამხდარა და ზესტაფონში გუნდს არ ახლდა.

**ინგლისი**

მიდლსბრო 1:3 ნიუკასლი
0:1 შირერი (38), 0:2 გომა (56), 0:3 დაიერი (88), 1:3 დინი (90)

**გერმანია**

მეორე ბუნდესლიგა.
VIII ტური
ნიურნბერგი 2:1 გლადბახი

**შვედეთი**

XXIII ტური
ელფსბორგი 3:0 გიოტებორგი
ირებრო 0:2 მაის
ორგრიტე 1:0 სუნდსვალი

**დანია**

XII ტური
ოდენსე 1:2 მიდტიულანდი

სარბიელი მწუხარებით ვიუწყებით, რომ ჩვენს თანამშრომელს, ინფორმაციის რედაქციის რედაქტორ სოსო კოტორეიშვილს გარდაეცვალა მამა **რობერტ კოტორეიშვილი** და სამძიმარს უცხადებთ განსვენებულის ოჯახის წევრებს

მცხეთა
14 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
800 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 1:0 ლოკომოტივი**

1:0 დეკანოსიძე (65)
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი (სტურუა 21), საჯაია, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დოლმელაშვილი (გოჩაშვილი 71), ზვ. გვაზავა, სულთანიშვილი (დეკანოსიძე 59), გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე
სათადარიგონი: ინწკირველი, დ. დოლიძე, თაყაძე
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, აბრამიძე, თოდუა, გ. კვარაცხელია, ხიზანიშვილი, ძოძუაშვილი (ხუროძე 46), ქიქვეიშვილი (პარამანოვი 69), გოჩაროვი (დავითაშვილი 64), რუსია, ლევან სილაგაძე
სათადარიგონი: სირაძე, გილაური, სალუქვაძე, დ. არჩვაძე
**გაფრთხილება:** აბრამიძე (61), დეკანოსიძე (63), მელქაძე (65)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ს ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

# გაიტანეთ, ერთიც უნდა დავლიოთ...

**კობა ინასარიძე** მცხეთიდან



ამ ეპიზოდს მირზა მერლანის ტრავმა მოჰყვა: მამუკა რუსია გიორგი ჭანკოტაძეს (№21) დაუსხლტა და მეკარე დააშავა

**წვიმა.** მძიმე გრუნტი. ლიტვა-იტალიიდან ახალდაბრუნებული და გადაღლილი ფეხბურთელები. მცხეთობის დღესასწაული და სტადიონთან სულ ახლოს მოზეიმე ხალხი. ქომაგიც ისეთი, შაბათ დღეს რომ არ ეფეხბურთებოდა. მათ ალბათ კაი რესტორანში დასხდომა ერჩივნათ, მაგრამ რაკი ტურის ცენტრალური მატჩიც იქვე, მცხეთაში იყო, ორიოდ საათი ტრიბუნაზე დაჰყვეს, თუმც დრო არც იქ დაუკარგავთ, სახელდახელო პურმარილიც ზედ ტრიბუნაზევე გაშალეს და ნაირ-ნაირი სადღეგრძელოებით ამხნევებდნენ ფეხბურთელებს.

სამადლობელო კი გიორგი დეკანოსიძემ მოიხადა, ჩინებული მოჭრილი დარტყმით მატჩში ერთადერთი გოლი რომ გაიტანა და თავისიანებს გაამარჯვებინა.

პირველ ტაიმში „ლოკომოტივის" უპირატესობა აშკარა გახლდათ. მთელი 45 წუთის განმავლობაში „ვიტ ჯორჯია" თავს იცავდა და სტუმართა მეკარეც არ შეუწუხებია.

აი, მასპინძელი მერლანი კი შეწუხდა და მერე როგორ — 21-ე წუთზე შესაცვლელი შეიქმნა. რუსია მასთან პირისპირ დარჩენას ლამობდა. ბურთი ოდნავ წინ გაიგდო, მერლანმა დაასწრო და თავდამსხმელსაც სველ გაზონზე თავის შეკავება გაუჭირდა, ფეხი მერლანს მუხლში ჩასცხო. ვიტელს რამდენიმე წუთს კი წამლობდნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მერლანს მინდვრის დატოვება მოუხდა. მისმა შემცვლელმა სტურუამ კი მთელი მატჩი უშეცდომოდ ჩაატარა.

შესვენების შემდეგ თამაში შეიცვალა. „ვიტ ჯორჯია" საგრძნობლად გააქტიურდა და ლომაიასაც სამუშაო მიეცა. თანაც რკინიგზელები დაიღალნენ.

ამასობაში კი 65-ე წუთიც დადგა. დეკანოსიძემ, რომელსაც თამაში ექვსი წუთის დაწყებული ჰქონდა და გაფრთხილების მიღებაც მოესწრო, საჯარიმოს კუთხიდან ცაციათი მოჭრილი დაარტყა. ლომაია არც კი განძრეულა, ბურთი ისე ჩაეშვა მისგან შორეულ კუთხეში.

„ლოკომოტივის" მწვრთნელმა ორი შეცვლა გააკეთა, მისი შეგირდებიც ოდნავ გააქტიურდნენ, თუმცა ამან საქმეს ველარ უშველა. ეგ კი არა, ლომაიამ ერთი-ორჯერაც ივაჟკაცა. განსაკუთრებით გოჩაშვილის დარტყმულის შედეგ, როცა სველი მინდვრიდან ასხლეტილი ბურთი კუთხურზე მოიგერია. „ლოკომოტივის" შეტევებს კი სიმწვავე აკლდა, თანაც, როგორც ვთქვით, მერლანის შემცვლელმა სტურუამაც უშეცდომოდ ითამაშა.

ისე, როგორც გავიგეთ, ისიც ტარვმირებული ყოფილა და „ვიტ ჯორჯიაც" ჯანმრთელი მეკარის გარეშე რჩება — სერგო ჭურაძეს უკვე რა ხანია, მუხლი აწუხებს.

## მატჩის შემდეგ

***თემურ ჩხაიძე, „ლოკომოტივის" მწვრთნელის თანაშემწე:***

— ჩვენივე შეცდომის გამო წავაგეთ. პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ და გოლის გატანაც რამდენჯერმე შეგვეძლო, მეორეში კი ბიჭებს დაღლა დაეტყოთ.

ისე, ესეც უნდა ვთქვა — ხომ შეიძლება, დღესასწაულებზე არ ვითამაშოთ. დღეს მცხეთობა იყო, 28 აგვისტოს მარიამობა...

***ვლადიმერ ხაჩიძე, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:***

— პირველ ტაიმში ბიჭებმა თამაში ვერააწყვეს. შუა მოედანი მთლიანად მეტოქეს დავუთმეთ, თანაც ამას მეკარის შეცვლაც დაემატა და ავნერვიულდით. დიდი მადლობა ზვიად სტურუას პარტნიორთა დამშვიდებისთვის. როცა გრძნობ, რომ შენს უკან საიმედო მეკარეა, დადებითად მოქმედებს. მეორე ტაიმშიც მეკარის თავდაჯერებულობა დანარჩენებს გადაედოთ და გაცილებით უკეთ ავთამაშდით.

ჩემპიონატში 12-დღიანი დასვენება იყო და ეს დრო უმთავრესად ფიზიკურ მომზადებას დავუთმეთ. შემოდგომაა, ამინდი გაუარესდა. ხომ იცით, წვიმაში მეტი ენერგია იხარჯება. მეტოქე კი აშკარად გადაღლილი იყო.

რუსთავი
14 ოქტომბერი
16 საათი
ფოლადი
800 (ტევადობა 10 700)

**გორდა 1:1 თსუ**

0:1 ბოკერია (65), 1:1 მიშველიძე (66)
**გორდა:** ნიკურაძე, ბექაური, ბერიძე, ბურნაძე, გაბელაია, კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე (მატარიძე 87), ა. ბუკია (მ. სახვაძე 73), მელაძე, მიშველიძე, ლაშა სილაგაძე (კიტეიშვილი 55)
სათადარიგონი: გონგაძე, ბაჩილავა, მჭედლიძე, ლ. კაპანაძე
**თსუ:** მამარდაშვილი, ხარებავა, ებრალიძე, ე. ალადაშვილი, სვანიძე (მოჩილაძე 81), წუწუნავა, ძალაძე, მესხი, ერაძე, ვადაჭკორია (არეშიძე 89), ა. ბოკერია (ადამია 81)
სათადარიგო: გუგუნავა
**გაფრთხილება:** ვადაჭკორია (80), ე. ალადაშვილი (86)
**მსაჯები:** მ. მალაღურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. ორდინიძე (ონი)
**სფფ-ს ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

# ფოლადზე, გულით მცხეთაში

**პაატა კვანტალიანი** რუსთავიდან

**შაბათის** რუსთაველ მატჩს ერთი გაუთვალისწინებელი სტუმარი ჰყავდა — „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი გურამ რუხაძე, ეს მაშინ, როდესაც მისი გუნდი პრინციპულ მატჩში „ლოკომოტივს" ერკინებოდა მცხეთაში. როგორც ჩანს, რუხაძე სიტყვას ასრულებს.

თუკი რამ ეჭვის საბაბი მექნება, ჩემი გუნდის მატჩებს არ გავეკარებიო, თქვა ამას წინათ ვეტერინართა პრეზიდენტმა და უეჭველია, თავისი გადაწყვეტილებით კმაყოფილიც დარჩებოდა — „ვიტ ჯორჯიამ" მცხეთაში იმარჯვა, რუსთავში კი ვეტერინართა ძმობილმა თსუ-მ „გორდას" საპატიო ფრე გაუგორა.

„ფოლადზე" შეკრებილმა რვაასამდე გულშემატკივარმა ორი განსხვავებული ტაიმი იხილა...

„გორდას" დებიუტშივე შეეძლო დაწინაურება, მაგრამ კარიდან ხუთ მეტრში მყოფ მიშველიძეს ბოლო წამს მამარდაშვილმა შეუშალა ხელი. მე-13 წუთზე ბუკიას ჩაწოდებულს ბურნაძე დაუხვდა საჯარიმოში, თუმც მცირედით აცილა თავური. ხუთი წუთის შემდეგ არჩილ ბოკერიამ თავისი გუნდის ერთადერთი სახიფათო შეტევა შექმნა პირველ ტაიმში — ექსსიონელის 20 მეტრიდან დარტყმული ბურთი გარედან მოხვდა კარის ბადეს.. შემდეგ კი კვლავ მასპინძლების ჯერი დადგა. რუსთაველებს მინიმუმ სამჯერ მართებდათ სტუმართა კარის დალაშქვრა, მაგრამ მლბალი სტუდენტებს წყალობდათ.

ტაიმის ნახევარი გასული იყო, როცა ბუკიამ ლაშა სილაგაძეს გაუჭრა კარგი პასი, ამან შეტევაში ჩართული ბურნაძე მოძებნა... თსუ მამარდაშვილის თავგამოდებამ იხსნა. სტუდენტთა კართან მორიგ სახიფათო ეპიზოდს ისევ ბუკიამ ჩაუყარა საფუძველი, მის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს სწორი პოზიცია შეურჩია ბურნაძემ და თავით ძლიერად დარტყმული ბურთი ხარიხას გაარტყა, გადმოვარდნილზე კი მცირედით აცილა მიშველიძემ. „გორდა" პრაქტიკულად არც გადმოდიოდა მეტოქის ნახევრიდან, მომენტს მომენტზე ქმნიდა და რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, უსუსურ წინააღმდეგობას აწყდებოდა მეტოქის მხრიდან. თსუ დაღლილი და დამფრთხალი ჩანდა, ჰოდა, მასპინძლებიც თითქმის მთელი გუნდით დასახლდნენ მამარდაშვილის საჯარიმოში. გოლი კი არ ჩანდა. 42-წუთზე ბუკიამ ოცდათხუთმეტიოდე მეტრიდან უცნაური ტრაექტორიით გაისროლა, სტუმრებს შემწედ ისევ ხარიხა მოევლინათ. ტაიმის დამთავრებამდე წუთით ადრე ალადაშვილის ფლანგურ ჩაწოდებულს მიშველიძემ ფეხი დაუხვედრა — ისევ ხარიხა, გადმოვარდნილ ბურთს ებრალიძემ მიუსწრო და ბურნაძეს გატანა არ დაანება.

საოცარია, მაგრამ პირველმა ნახევარმა დათვური სამსახური გაუწია „გორდას", გუნდი თავდაჯერებული, იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული დაუბრუნდა მოედანს და დაისაჯა კიდეც. თსუ საგრძნობლად სახეცვლილი გავიდა მინდორზე. სტუმართა კონტრშეტევები უფრო და უფრო სწრაფი, სახიფათო და გააზრებული ხდებოდა, რამაც „გორდას" მძლავრი იერიშის განხორციელების საშუალება მოუსპო. „გორდას" მცველები და ნახევარმცველები უკვე ველარ ტოვებდნენ თავიანთ პოზიციებს და სათამაშო ტემპიც დაეცა, ეს კი სწრაფ თბილისელებს მოქმედებას ერთიორად უადვილებდა. სტუმრებს ჯერ კიდევ 54-ე წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როცა ერაძემ გამოზომილი პასით წუწუნავა ნიკურაძეს შეატოვა, თუმც ბოლო წამს მასპინძელთა მეკარემ იმარჯვა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგივე ნიკურაძე მობილიზებული დაუხვდა ერაძის ჯარიმას და ბურთი თითებით კუთხურზე გადააგდო, 65-ე წუთზე კი სტუმართა სწრაფი კონტრშეტევა გოლით დასრულდა. ბოკერიამ მაღალ კუთხეში გაუტანა ნიკურაძეს და გოლით გახარებული მთავარ მწვრთნელ თენგიზ კაციას ჩაეხუტა. „გორდამ" ცენტრიდან განაახლა თამაში და უმალ გაქვითა. მეორე სართულზე მიშველიძე მანამდეც სჯობნიდა თსუ-ელ მცველებს, ამჯერადაც სწორი პოზიცია შეურჩია მელაძის ჩაწოდებულ ბურთს და ახლო მანძილიდან თავით დაამწუხრა მამარდაშვილი.



პირველი გოლის გამტანი სტუდენტი არჩილ ბოკერია პავლე ბექაურის (მარცხნივ), დავით ბერიძის (№3) და მიხეილ გაბელაიას ალყაში

დარჩენილ დროში ორივე გუნდს შეეძლო გატანა. ჯერ იყო და ბურნაძე ადევნებულ წუწუნავას ნიკურაძემ აუღო ძნელი ბურთი, მატჩის ბოლოს კი კიტეიშვილის ჩაწოდებული თბილისელებმა საჯარიმოდან მელაძეს მიუგორეს, ამის ძლიერი დარტყმული კი სანტიმეტრებით ასცდა კარს.

სახელდახელოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე თენგიზ კაციამ თავისი შეგირდები შეაქო, ყურები არ ჩამოყარეს და ბოლომდე იბრძოლესო, იასონ ალადაშვილს კი ზედიზედ მეხუთედ ნათამაშევი ფრის შემდეგ დანა პირს არ უხსნიდა. მეორე ტაიმში ბიჭები თავდაჯერებულები გავიდნენ სათამაშოდ და რაც მოიმკეს, თავად ნახეთო, ესღა ამოღერღა „გორდას" მთავარმა მწვრთნელმა.

ფოთი
14 ოქტომბერი
16 საათი
"ფაზისი"
1 000 (ტევადობა 6 000)

**კოლხეთი 1:0 ბათუმი**

1:0 ქუნთელია (52)
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ქუნთელია (პაპავა 70), ფანჩულიძე, ახალკაცი (კრასოვსკი 42), კაკლიაშვილი, ღლონტი, კვირკველია, ხუჭუა, ე. გვასალია (შავგულიძე 78)
სათადარიგონი: ჩემია; თედევი, ქანტურიძე, ბურკაძე
**ბათუმი:** ბედიაშვილი, სიხარულიძე (დარჩიძე 70), მინდაძე, მეიფარიანი, პაპიძე (კაკაბაძე 18), გელა ქორიძე, ღლონტი, თედორაძე, რომანაძე (ყულეჯიშვილი 61), ა. მუჯირი, აფხაზავა
სათადარიგონი: სამნიძე, ბეჟანიძე, ჩოხელი, სოხაძე
**გაფრთხილება:** აფხაზავა (10), ხუჭუა (35), კაკაბაძე (37), ქორიძე (76), ფანჩულიძე (88), მინდაძე (89)
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი, ლ. რაზმაძე (ორივე გორი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

# ბედიაშვილის ბედისწერა

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

**დერბი** დერბია, თუგინდ ზღვისპირული იყოს. ჰოდა, „ფაზისზე" შაბათს კვლავ პრინციპულ ბრძოლას ელოდნენ. როგორც "კოლხეთს", ასევე „ბათუმს" წლეულს არნახულად უჭირს და ნებისმერ ქულას ახლა ლამის გადამწყვეტი ეთქმის.

ზედიზედ სამმარცხნაგემი აჭარლები ფოთს ახალი მწვრთნელით ეწვიენ. დიახ, როგორც იქნა, დაადგა საშველი ამ საქმეს და ამიერიდან „ბათუმს" არა ჭეიშვილი, არა ჩხარტიშვილი, არამედ ასლან ბალაძე გაწვრთნის. ასლანი თავიდანვე მიიწვიეს პოსტზე, მაგრამ მაშინ იგი უარზე დადგა და მხოლოდ თამაშის წინადღეს, ღამის 9 საათზე დაიყოლიეს კლუბის თავკაცებმა. ახალი თავკაცი იმავდროულად კლუბის ტექნიკური დირექტორის პოსტსაც შეითავსებს.

გულხელდაკრეფილნი არც კოლხები იყვნენ. მათ ჩემპიონატის შესვენება ნაყოფიერად გამოიყენეს და ორკვირიანი შეკრებაც მოიწყვეს ყვავილნარში. თუმცა დიდი რამ ვერაფერი მოიმკეს ამით, რაც „ბათუმთან" შეხვედრაშიც წარმოჩნდა.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მატჩი კარგი საცქერი ვერ გამოდგა. კოლხთა ქაოსურ შეტევებს სტუმრებმა კარგად ორგანიზებული და სწრაფ კონტრშეტევებზე აგებული თამაში დაუპირისპირეს. თუმცა მათ მცდელობას რაიმე ღირებული არ მოჰყოლია. საერთოდ, საგოლე მომენტებით მწირ ტაიმში სამი ეპიზოდის გახსენება თუ ღირს.

პირველი ხიფათი „ბათუმმა" შექმნა მე-20 წუთზე. საკმაოდ აქტიურმა აფხაზავამ მარცხნივ გაუჭრა ღლონტს, რომელმაც საჯარიმოში შეჭრილ ამირან მუჯირს ოდნავ მაღალი ჩაუწოდა, ამას კი უხეირო თავური გამოუვიდა.

„კოლხეთმაც" უმალ უპასუხა და ორჯერ დაუმუქრა მეტოქეს. ორჯერვე ელდარ გვასალიამ დაარტყა არაზუსტად თავით და ორჯერვე ასისტენტობა მარცხენა ფლანგზე აქტიურად მოთამაშე კვირკველიამ გასწია.

ტაიმის ბოლოსკენ მეტოქეები ჩაცხრნენ და აკადემიური ბურთაობა გაჩაღდა, ბურთიც ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. ყველაფერი განახლების შემდეგ უნდა გარკვეულიყო და ასეც მოხდა.

52-ე წუთზე ბათუმელთა მეკარე შეცდა. კოლხმა ქუნთელიამ 25 მეტრიდან არცთუ ძლიერად დაურტყა ბედიაშვილს, რომელსაც ბურთი ხელებშუა გაუძვრა და ბადეში აღმოჩნდა.

გაშვებულმა გოლმა „ბათუმი" ერთ ხანს არია და მასპინძლებს რომ ეყოჩაღათ, ეგებ ანგარიში გაზრდილიყო კიდეც, მაგრამ ასე არ მოხდა და ბოლო წუთებზე კოლხები კინაღამ დაისაჯნენ.

აჭარელთა აქტიურობას საფუძველი შეცვლაზე შესულმა გოჩა ყულეჯიშვილმა ჩაუყარა, რომლის გამოჩენამაც ფოთელთა კართან სიტუაცია გაამწვავა.

სტუმრებს მინიმუმ სამჯერ შეეძლოთ ანგარიშის გაყაიმება, მაგრამ ყველაზე რეალური მომენტი 82-ე წუთზე შეიქმნა. აფხაზავამ ჩინებული პასით ღლონტი გვასალიას პირისპირ შეატოვა, თუმცა ავთომ იჩქარა და ცაციათი ათიოდ მეტრიდან დარტყმული კარს ააცილა.

მსაჯის სასტვენმა „ბათუმს" შეტევებში მოუსწრო და „კოლხეთმაც" შვებით ამოისუნთქა. ფილიას შეგირდებმა ურთულეს ბრძოლაში შეძლეს მეტად საჭირო სამი ქულის მოპოვება და სატურნირო მდგომარეობაც ასე თუ ისე გამოისწორეს. აი, „ბათუმმა" და მისმა ახალმა თავკაცმა კი თავი არ უნდა დაზოგონ, თორემ მოგჭამათ ჭირი ექვსეულზე ფიქრმა.

***სოსო ფილია, „კოლხეთის" მწვრთნელი:*** „პირველ ტაიმში ბიჭებმა ჩემი დავალება შეძლებისდაგვარად შეასრულეს, მაგრამ მეორეში სათამაშო დისციპლინა დაირღვა, რასაც ფსიქოლოგიური ფაქტორით ვხსნი. ისე კი ლოგიკური შედეგი, ალბათ, ფრე იქნებოდა. ბოლოს „ბათუმს" არ გაუმართლა, თორემ ქულას მოიპოვებდა".

***ასლან ბალაძე, „ბათუმის" მწვრთნელი:*** „ამ მატჩისთვის გუნდის მომზადება, ბუნებრივია, ვერ მოვასწარი და მიუხედავად ამისა, ბიჭების თამაშით მაინც კმაყოფილი ვარ. სამწუხაროა, რომ კვლავ მეკარის შეცდომის შედეგად წავაგეთ. წლეულს ხომ მატჩების უმეტესობა ამის გამო დავთმეთ და მაინც, მომავალს ოპტიმიზმით ვუყურებ და, ალბათ, ექვსეულში მოხვედრას მაინც შევძლებთ.


„ბათუმის" ყოფილი მეკარე და ახალი მწვრთნელი ასლან ბალაძე

ჯემალ ოქრუაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი წრე

# 10 ტური

**პირველ** ლიგაში გამართული მორიგი ტურიც ლიდერთმონაცვლეობისა იყო. „ცხინვალმა" და „შუქურამ" უკვე მესამედ გაუცვალეს ადგილები ერთმანეთს. გაიმარჯვეს „ზუგდიდმა" და „სამგურალმა", ურთულეს მატჩში ქულა აიღო ორმატჩნაკლულმა „მილანმა" და სატურნირო ცხრილიც კიდევ უფრო ჩაიხლართა.

ფატალურად არ გაუმართლა „ცხინვალს". ამ გუნდს პრობლემები ჯერ კიდევ ზუგდიდში წასვლისას შეუხვდა. გზად დამღვარ შიდაქართლელებს ტრანსპორტმა უმტყუნა და სამი საათის ლოდინის შემდეგ „ცხინვალელთა" ზუგდიდს გამგზავრება მიკროავტობუსითღა მოხერხდა, თანაც შეთხელებული შემადგენლობით, 13 ფეხბურთელით ეწვივნენ ცხინვალელები „ზუგდიდს" და პირდაპირ ტრანსპორტიდან შევიდნენ მოედანზე. შევიდნენ და პირველივე წუთზე გოლიც მიიღეს. საჯარიმოში მარტოდმარტო დარჩენილმა კუტალიამ თავით შეძლო სტუმართა კარის აღება. მატჩის დასაწყისშივე მოპოვებული უპირატესობის შემდეგ ზუგდიდელებს უფრო გაუიოლდათ მიზნის მიღწევა და ერთობ გაილაღეს. მათ რამდენჯერმე მეკარესთან პირისპირ გაიყვანეს კუტალია, მაგრამ პირველი გოლის ავტორმა ასპროცენტიანი მომენტები გაანიავა.

მეორე ტაიმის დასაწყისიც იღბლიანი გამოდგა ზუგდიდელებისთვის. ამჯერად ყოლბაიამ შეძლო სტუმართა დამწუხრება და მასპინძელთა მოგება ერთი შეხედვით რეალურიც გახდა, მაგრამ 76-ე წუთზე გამოცდილი მარლიშვილის მიერ გატანილმა გოლმა ლამის ყველაფერი თავდაყირა დააყენა. სტუმრები გამოცოცხლდნენ, გააზრებულად ამოქმედდნენ და ისეთი მომენტები შექმნეს „ზუგდიდის" კართან, რომ მინიმუმ ანგარიშის გათანაბრებას იმსახურებდნენ, მაგრამ მასპინძელთა განერვიულების მეტი ვერაფერი შეძლეს.

მაშინ, როდესაც დათარსული „ცხინვალი" ამაოდ აწყდებოდა ზუგდიდურ ბარიერს, ქობულეთში „მილანი" კაცნაკლული დარჩა „შუქურას" წინააღმდეგ. ქუთაისელმა პაატა დოგრაშვილმა მეორე გაფრთხილებით პირველ ტაიმში. შეცვლაზე შესული ზაზა მედოევი გაუყენა გასახდელის გზას, მაგრამ ათასამდე გულშემატკივრის სამწუხაროდ, „შუქურამ" ვერა და ვერ შეძლო ქიზიყელთა გატეხვა. ბრძოლაში მოპოვებული ქულით ერთობ კმაყოფილნი დარჩნენ კახელები, აი, ქობულეთელებს კი დანა პირს არ უხსნიდათ. არც გაემტყუნებოდათ. „შუქურამ" შინ გატანილ-მიღებული ბურთების შთამბეჭდავი ბალანსი კი შეინარჩუნა (12:0), მაგრამ პირველი ქულებიც დაკარგა, თუმც ყოველივე საკმარისი აღმოჩნდა, ზღვისპირელთა სატურნირო ცხრილის სათავეში მოსაქცევად.

ჩემპიონატში მეხუთე გამარჯვება იზეიმა წყალტუბოს „სამგურალმა". ექსუმაღლესლიგელმა მოლოდინისამებრ აუტსაიდერი „ივერია" დაჩაგრა — 4:0. მასპინძელთაგან ორი გოლი ზვიად ქუთათელაძემ გაიტანა და იგი ცხინვალელ გვირჯიშვილთან ერთად ბომბარდირთა დავაში ლიდერობს. არადა ქუთათელაძეს მატჩის ბოლო წუთზე პენალტი რომ არ გაეცუდებინა (ბალიანმა მოიგერია ბურთი), ერთპიროვნული ლიდერიც იქნებოდა ათი გოლით. სტუმრები გერასიმე ლურსამანაშვილმა დაალალატა, მას მსაჯის ენერგიული გინება გაძევებად დაუჯდა. „სამგურალს" კი ახალი პრეზიდენტი ჰყავს. გრიგოლ ქათამაძის ადგილი ექსპარლამენტარმა ზაზა სოფრომაძემ დაიკავა.

„თორისა" და „მეტალურგის" მატჩის უგოლოდ დამთავრებული პირველი ნახევრის შემდეგ მასპინძლებმა იძალეს და ბოლო დროს სტაბილურად ათამაშებული დავით ვარდიაშვილის დუბლის წყალობით შეძლეს უშუალო კონკურენტის დამარცხება.

ზესტაფონელებს „გურია" წამოეწია, ლანჩხუთელებმა სტუმრად „თბილისი" გატეხეს და უმძიმეს მატჩში ფრიად საჭირო ქულების მოპოვება შეძლეს. პირველ ტაიმში ვეტერანი ივანე ჯულელის თერთმეტმეტრიანით გატანილს 43-ე წუთზე ლუჭაშვილმა უპასუხა, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში სულაკაძემ მეორედ და მატჩში საბოლოოდ დააწინაურა თავისიანები. დარჩენილ დროში „თბილისმა" უკანმოუხედავად შეუტია სტუმრებს, თუმც გურულებს ანგარიშის შენარჩუნება დიდად არც გასჭირვებიათ.

დაბოლოს, „ოკეანე" — „ხობი". აქამდე სამი გოლის გამტანმა სტუმრებმა ერთბაშად ოთხჯერ გაიხარეს ახალგაზრდულ „ოკეანესთან" მატჩში და ექვსეულისთვის ბრძოლის პერსპექტივაც გაიჩინეს.

**ბაატა ძგანტალიანი**
**თენგიზ ძოჩუა**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 9 - გვირჯიშვილი | ცხინვალი |
| ქუთათელაძე | სამგურალი |
| 8 - ძალანდაძე | შუქურა |
| ბოძორაძე | ცხინვალი |
| 5 - გ. გვაჩავა | მეტალურგი |
| კუტალია | ზუგდიდი |
| მარლიშვილი | ცხინვალი |

# ლიდერთმონაცვლეობისა

ზესტაფონი
13 ოქტომბერი
16 საათი
ჯემალ ზეინკლიშვილი
1 000 (ტევადობა 3 000)

**თორი 2:0 მეტალურგი**

1:0, 2:0 ვარდიაშვილი (53, 77)
**თორი:** ლაბაძე, ელისაშვილი, გ. ლომიძე, ქობულაშვილი, წიქარიშვილი, სეფერთელაძე, თალაკვაძე, ვ. ფირცხალავა, გლუნჩაძე, კ. ჯანაშია, ვარდიაშვილი
სათადარიგონი: სულავა; ზარანდია, ტარიელაშვილი, ხოსროშვილი, ზაქარეიშვილი, შალიკაშვილი
**მეტალურგი:** ნიქაბერიძე, გოგაძე, პ. ლურსმანაშვილი, მერებაშვილი (გურეშიძე 78), ბაქრაძე, აჭარაძე, კაციაშვილი, ორმოცაძე (აბაზაძე 71), ამაშუკელი, მოდებაძე (გვაზავა 46), ფირცხალეიშვილი
სათადარიგონი: ოდიკაძე; ფანცხავა
**გაფრთხილება:** ფირცხალავა (17), ამაშუკელი (17), გლუნჩაძე (70), ქობულაშვილი (77), წიქარიშვილი (84)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი)

თბილისი
13 ოქტომბერი
16 საათი
"მეშტაიდი"
300 (ტევადობა 3 000)

**თბილისი 1:2 გურია**

0:1 ჯულელი (17), 1:1 ლუჭაშვილი (43), 1:2 სულაკაძე (51)
**თბილისი:** კუპატაძე, აბრამიშვილი, ნ. ჯღარკავა, დ. ტყებუჩავა, მანაგაძე, გაფრინდაშვილი, გუშარაშვილი (კობრეიძე 68), მისაბიშვილი (შენგელია 61), ქუხილავა, მანჯგალაული, ლუჭაშვილი
სათადარიგონი: მჭედლიშვილი; კალაძე, სტურუა, მუმლაძე, ქიაბრიშვილი
**გურია:** დოლიძე, ვოსკანოვი, ორბელაძე, გაბრიჭიძე, მ. ჯღარკავა (შველიძე 70), სულაკაძე, განჯელი, ჯულელი, ჩხეტია, ენდელაძე (სამხარაძე 77), ლორია
სათადარიგონი: მერკვილიშვილი, ძნელაძე, კუკულაძე, ფაცურია
**გაფრთხილება:** გუშარაშვილი (18), ჯულელი (65)
**მსაჯები:** ვ. ელოევი (ცხინვალი); კ. თბილელი, ვ. ელისაბედაშვილი; ლ. სილაგაძე (ყველა თბილისი)

ზუგდიდი
13 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 7 500)

**ზუგდიდი 2:1 ცხინვალი**

1:0 კუტალია (1), 2:0 ყოლბაია (49), 2:1 მარლიშვილი (76)
**ზუგდიდი:** ნაცოფია, ლურწკაია, ქითანავა, გედენიძე, დიდიძე, ყოლბაია, კუტალია, თოლორაია, ან. ჯღიჭია (გამსახურდია 66), ონიანი, ჩიქობავა (ქურღულია 66)
სათადარიგონი: კვარაცხელია; თორია, საჯაია
**ცხინვალი:** ქესანაშვილი, არუთინიანი, ხაჭაპურიძე, ტედმალაძე, ვაჩლავაშვილი, ცხადაძე (მურადელი 52), მარგიევი, მარლიშვილი, ნასყაშვილი (დ. მაისურაძე 71), გვირჯიშვილი, ზ. მაისურაძე
**გაფრთხილება:** ქითანავა (48), თოლორაია (83)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ი. აფციაური (დუშეთი), ო. ხეცაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

ქუთაისი
13 ოქტომბერი
16 საათი
ოკეანე
100 (ტევადობა 1 000)

**ოკეანე 0:4 ხობი**

0:1 ქაშიბაძე (57), 0:2 ი. ჯაბუა (66პ), 0:3 აბაკელია (67), 0:4 ქიტია (76)
ცომაიამ ვერ გაიტანა პენალტი (13)
**ოკეანე:** ქუტასელი, ტონია, თოდაძე, მაღლაკელიძე (ქელეხსაშვილი 74), ლორთქიფანიძე, დ. გაბედავა (მაღალაშვილი 65), ცომაია, კრავეიშვილი, გოგიბერიძე, ო. ფხაკაძე (ფირცხალაიშვილი 74), მესაჩენკო
სათადარიგო: თავაძე
**ხობი:** შ. გოგია, ფიფია, ლ. ჯაბუა, ი. ჯაბუა, აბაკელია (ჯამბურია 70), ხურცილავა, ვართაგავა, ქაშიბაძე (მიქავა 77), ქიტია (გეგია 77), ქიქინაძე, ზაზა აიანდი
სათადარიგონი: რ. თოლორდავა; მიქავა, ხორავა
**გაფრთხილება:** ქიქინაძე (13)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); დ. გიგაშვილი (თბილისი), ა. გუნთაძე (ლანჩხუთი); ს. შალამბერიძე (თბილისი)

ქობულეთი
13 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 8 000)

**შუქურა 0:0 მილანი**

**შუქურა:** გაბუნია, კოროტკოვი, კვეჟძკორი, ოქრობირიძე, ქუტიძე, ბერიძე (ბაღუნაშვილი 46), ბ. ფუტკარაძე, გეგეშიძე, კაკალაძე, პალანდაძე (გორდელაძე 55), ვაღინავა
სათადარიგონი: გოგუა; ჩელებაძე, ჩახუნაშვილი, ბოლქვაძე, ლომთათიძე
**მილანი:** გ. სომხიშვილი, ვ. ლუდუშაური, კობაიძე (მ. სომხიშვილი 74), მეტონიძე, კაპანაძე (მედოევი 38), გოძიაშვილი, თელიაშვილი, ინასარიძე, ტოკლიკიშვილი, ქიტონია (სოსელია 52), ტარულაშვილი
სათადარიგონი: გ. კიკვიძე, შავშიშვილი, ჩიტაური, გვარამაშვილი
**გაფრთხილება:** კოროტკოვი (62), ტოკლიკიშვილი (69), მედოევი (76)
**გაძევება:** მედოევი (78)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ჯ. ბეიშვილი (ჭიათურა), მ. ურუშაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)

წყალტუბო
4 ოქტომბერი
16 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 4:0 ივერია**

1:0 ჯინჭარაძე (18), 2:0, 3:0 ქუთათელაძე (54, 74), 4:0 ქელიძე (87)
ქუთათელაძემ ვერ გაიტანა პენალტი (90)
**სამგურალი:** ბოდოკია, ბერაძე, თირქია (კუხალაშვილი 46), ქელიძე, ჯინჭარაძე, ქობულაძე, შ. ფუტკარაძე (ბარაბაძე 78), ბაბუნაშვილი, ზ. ფხაკაძე (დ. ჯიქია 46), დარსაძე, ქუთათელაძე
სათადარიგონი: გოირგაძე, ნ. კიკვიძე, მაჭარაძე, ტინოვი
**ივერია:** ბალიანი, მელაძე, ბაგლიაშვილი, გ. ლურსმანაშვილი, ნეკერაშვილი, გოგალაძე (ვაჩლავაშვილი 63), ჯობაძე, მინაძე, ულუმბელაშვილი, ჯაფარაშვილი, ნ. ჩალაძე
სათადარიგონი: ხვედელიძე; დ. ხაჩიძე, ვეშაპიძე, ლეკიშვილი, გ. ხაჩიძე
**გაფრთხილება:** ნეკერაშვილი (3), დარსაძე (11), ბაბუნაშვილი (72)
**გაძევება:** ლურსმანაშვილი (27)
**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ზ. ერქვანია, ლ. კვარაცხელია; კ. მესხი (ყველა ზუგდიდი)

| პირველი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 შუქურა | 10 | 6 | 2 | 2 | 14:5 | 9 | 20 | 6 | 5 | 1 | 0 | 12:0 | 12 | 16 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 4 |
| 2 ზუგდიდი | 10 | 6 | 1 | 3 | 17:10 | 7 | 19 | 6 | 5 | 1 | 0 | 15:6 | 9 | 16 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | -2 | 3 |
| 3 ცხინვალი | 10 | 6 | 1 | 3 | 27:11 | 16 | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 18:2 | 16 | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 7 |
| 4 სამგურალი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:9 | 8 | 17 | 6 | 5 | 1 | 0 | 15:4 | 11 | 16 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | -3 | 1 |
| 5 თორი | 10 | 5 | 1 | 4 | 12:10 | 2 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 4 | 10 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:5 | -2 | 6 |
| 6 მეტალურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 11:10 | 1 | 15 | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 12 | 6 | 0 | 3 | 3 | 3:9 | -6 | 3 |
| 7 გურია | 9 | 4 | 3 | 2 | 10:13 | -3 | 15 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 7 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:11 | -6 | 8 |
| 8 მილანი | 8 | 4 | 2 | 2 | 6:5 | 1 | 14 | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | -2 | 5 |
| 9 ხობი | 10 | 3 | 3 | 4 | 7:9 | -2 | 12 | 5 | 2 | 3 | 0 | 2:0 | 2 | 9 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:9 | -4 | 3 |
| 10 თბილისი | 10 | 2 | 1 | 7 | 4:18 | -14 | 7 | 6 | 2 | 0 | 4 | 3:6 | -3 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:12 | -11 | 1 |
| 11 ოკეანე | 10 | 1 | 3 | 6 | 8:18 | -10 | 6 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 1 |
| 12 ივერია | 9 | 0 | 2 | 7 | 3:18 | -15 | 2 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | -3 | 2 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:13 | -12 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცუდი ამბების დასტა

## ინგლისი

IX ტური

### დერბი ქაუნთი 0:4 ლივერპული

0:1, 0:2, 0:3 ჰესკი (17, 54, 67), 0:4 ბერგერი (80)
დერბი ქაუნთი: პოომი, პაუელი, დელაპი, ბარლი, ჯონსონი, ძინძლაძე, კრისტი, ერანიო (სტარიჯი 68), რიგოტი (შტრუპარი 42), ბრაგსტადი, ვალაკარი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
ლივერპული: ვესტერფელდი, ციგე, ბაბელი, ჰესკი, ოუენი (ფაულერი 22), ჰიიპია, ჰეგემი (მერფი 6), ბერგერი, ბარმბი (შმიცერი 81), მაკალისტერი, კარაგერი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ბარლი, ბარმბი
30 532 მაყურებელი

### არსენალი 1:0 ასტონ ვილა

1:0 ანრი (61)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ადამსი, გრიმანდი, სილვინიო, პარლოუ, ლორენი, ვიეირა, ბერხკამპი (ლუჟნი 85), ანრი (ვილტორდი 77), პირესი (კანუ 81)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი (ვასელი 71), საუთგეიტი, ალფაი, ბერი, ლ. ჰენდრი, სტოუნი, ტეილორი, დაბლინი (ბოატენგი 70), მერსონი, ჯოუჩიმი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ანრი, საუთგეიტი, ჰენდრი, სტოუნი
გაძევება: ჰენდრი (66)
38 042 მაყურებელი

### ქოვენთრი 2:1 ტოტენჰემი

1:0 ალოიზი (12), 2:0 ოსტიჩი (26), 2:1 რებროვი (53)
ქოვენთრი: კირკლენდი, ედვორთი, შოუ, ბრინი, ჩიპო, ჰაჯი, ტელფერი, პალმერი, ოსტიჩი, ალოიზი, ბელამი (კ. ჰენდრი 82)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, ტეტჩერი, პერი, ვეგა, შერვუდი, ანდერტონი, ფროინდი (ივერსენი 77), ლეონარდსენი (დომინგუში 84), რებროვი, ლ. ფერდინანდი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
გაფრთხილება: კარი, ვეგა, პერი, ანდერტონი, ტეტჩერი
გაძევება: პალმერი (72)
21 435 მაყურებელი

### ევერტონი 1:1 საუთჰემპტონი

0:1 დოდი (76), 1:1 ბოლი (81პ)
ევერტონი: ჟერარი, უოტსონი, ვეირი, ნიარკო, ე. კემპბელი, პემბრიჯი (ს. ჰიუზი 61), ბოლი, დანი, გრაველსენი, გესქოინი, მ. ჰიუზი (მური 46)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, მარსდენი, ლუნდეკვამი, ოკლი, დევისი, პახარსი, ბრიჯი, ელ ხალეჯი, კაჩლული, სოლტვედტი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: გესქოინი, მარსდენი, კაჩლული, დევისი
29 491 მაყურებელი

### იფსვიჩი 1:1 ვესტ ჰემი

1:0 სტიუარტი (5), 1:1 დი კანიო (72)
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, კლაპამი, ვენუსი, მაკგრილი, ჰრეიდარსონი, ჰოლანდი, მეჯილტონი, სტიუარტი (შოუკროფტი 72), ჯ. რაიტი, ნეილორი (ჯონსონი 83)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რ. ფერდინანდი, პირსი, შტიმაცი (პოტსი 90), ტ. სინკლერი, უინტერბერნი (მონკუ 56), ლომასი, ლამპარდი, ჯ. კოული, კანო, დი კანიო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: პირსი, კანო, მონკუ, კოული
22 243 მაყურებელი

### ლიდსი 3:1 ჩარლტონი

1:0 სმიტი (38), 2:0 ვიდუკა (73), 2:1 იენსენი (84), 3:1 ვიდუკა (90)
ლიდსი: მარტინი (პ. რობინსონი 71), ჰ. კელი, ჰარტი, ვუდგეიტი, მილსი, ბარნსი, ბოიერი, ბაკე, მატეო, ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ჩარლტონი: კიელი, კონჩესკი (შილდსი 77), პაუელი, რუფუსი, ბრაუნი, სტიუარტი, კინსელა, იენსენი, ს. რობინსონი (მაკდონალდი 69), იოჰანსონი, ლისბი (სალაკო 77)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: პაუელი
38 837 მაყურებელი



REUTERS

დერბი ქაუნთი — ლივერპული 0:4. ჰოსპიტალში წაყვანამდე მაიკლ ოუენს ექვსი ნაკერი დაადეს

### ლესტერი 0:3 მანჩესტერი

0:1, 0:2 შერინგემი (37, 55), 0:3 სოლსკიაერი (90)
ლესტერი: ფლაუერსი, როუეტი, დევიდსონი, ჯილკრისტი, მ. ელიოტი, იმპი (გაპი 59), ლენონი, სევიჯი, იზეტი (ფ. სინკლერი 72), აკინბი (კროსველი 59), იდი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
მანჩესტერი: ბარტეზი, ირვინი, ბრაუნი, სილვესტრი, იონსენი, ბათი, კინი, სოლსკიაერი, ფორჩუნი, შერინგემი (გიგზი 72), იორკი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
22 132 მაყურებელი

### მანჩესტერ სიტი 2:0 ბრედფორდი

1:0 დიკოვი (30), 2:0 ჰაალანდი (45)
სიტი: ვიბერი, უიტლი, ჰაალანდი, ვიკენსი, პრიორი, ჰაუი (ბიშოპი 67), რიჩი, ვანჩოპე, დიკოვი, ტიატო, კენედი
მწვრთნელი: ჯო როილი
ბრედფორდი: კლარკი, ნოლანი, მაკკოლი, ვეზეროლი, ლოურენსი, უორდი, კარბონე, ბიგრი, უინდასი, აზერტონი, პეტრესკუ
მწვრთნელი: კრის ჰაჩინგსი
გაფრთხილება: უინდასი
34 229 მაყურებელი

### სანდერლენდი 1:0 ჩელსი

1:0 ფილიპსი (63პ)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, გრეი, კრადოკი, ტომე, კილბეინი, რაე (ტირლველი 78), უილიამსი, არკა, ნ. ქუინი (დიჩიო 80), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ჩელსი: დე გუი, ფერერი, ლე სო, დესაი, ლებეფი (ბოგარდი 31), უაიზი, მელხიორი, დალა ბონა, გუდიონსენი (ბაბაიარო 73), ძოლა, ჰასელბაინკი (ფლო 46)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: ლე სო
გაძევება: კილბეინი (66), ლე სო (66)
45 078 მაყურებელი

### მიდლსბრო — ნიუკასლი

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**ძალიან** ცუდი ამბავი: კვირას, საღამოს თერთმეტის ნახევარზე ქალაქ ლივერპულის რესტორან „ჯალონსში“ მოულოდნელად ვიღაც შევარდა და პირველივე მაგიდაზე დანას ეტაკა. აშკარად ეტყობოდა, მოსდევდნენ. წამში მდევრებიც გამოჩნდნენ. სამნი იყვნენ, აქედან ერთი პისტოლეტით შეიარაღებული. ატყდა სროლა. სულ ოთხი გასროლა მოასწრო თავდამსხმელმა და ორი კაცი დაჭრა — ერთი ბარძაყში, მეორე ფეხში. პოლიციამ ოდნავ დააგვიანა — დამნაშავეებმა „ვოქსჰოლ ვექტრათი“ გაქცევა მოასწრეს. სად ერეკლე და სად პრემიერლიგის მეცხრე ტურის მიმოხილვაო, სანამ გაიფიქრებთ, გეტყვით, რომ სწორედ ამ რესტორანში და ზუსტად ამ დროს „ლივერპულის“ ფეხბურთელები ცოლებითა და მეგობარი გოგონებითურთ „დერბი ქაუნთიზე“ გამარჯვებას აღნიშნავდნენ (ეს ციგეს, ჰამანის და ვესტერფელდის საყვარელი რესტორანი ყოფილა). საბედნიეროდ, დაჭრილთა შორის საფეხბურთო კლუბის წევრები არ არიან.

მეორე ცუდი ამბავი: სისხლი ამ შემთხვევამდე რამდენიმე საათით ადრე დერბის „პრაიდ პარკზეც“ დაიღვარა, როცა მასპინძელთა ნორჩი მცველის კრის რიგოტის მუხლი მაიკლ ოუენს სახეში მოხვდა. სანამ სტუმართა ფორვარდს ადგილობრივ ჰოსპიტალში გააქანებდნენ, ექიმებმა ექვსი ნაკერის დადება მოასწრეს, თუმცა... „საკაცით რომ გაჰყავდათ, მაიკლი მომიტრიალდა და მითხრა, ორი წუთი მაცალეთ, აზრზე მოვალ და ალბათ ვითამაშებო, მაგრამ ექიმმა თავი გააქნია“ — გაიხსენა „ლივერპულის“ მწვრთნელმა ჟერარ ულიემ. ისე, ამ ამბავსაც არცთუ უიმედო დასასრული აქვს — იმავე ღამეს ოუენი ჰოსპიტალიდან ლივერპულს დაბრუნდა. მისი დაზიანება არც ისე სერიოზული გამოდგა და შესაძლოა, ოუენმა უკვე მომავალ ტურში ითამაშოს.

მეტად ცუდი ამბავი გიო ქინქლაძის „დერბისთვის“: „ცხვრებმა“ არათუ ვერ მოიგეს, არამედ განადგურდნენ და კვლავ ერთადერთნი არიან ლიგაში, ვისაც მოგებათა გრაფაში ნოლი უწერია. რიგოტისა და ოუენის შეჯახებიდან ორიოდ წამში ემილ ჰესკიმ თავისი გუნდის ბოლო ხუთ შეხვედრაში პირველ გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი. ფინეთთან უსუსური თამაშისთვის გაკრიტიკებულმა ფორვარდმა მეორე ტაიმში კიდევ ორჯერ გაუტანა ესტონელ მარტ პოომს და კარიერაში პირველი ჰეთ-ტრიქი შეასრულა. მერე ბერგერმაც გლიჯა აულებელი, ბოლოსკენ კი თამაში ლიტვა-საქართველოს ამასწინანდელ შეხვედრას დაემსგავსა — აშკარად ფორმაში ვერმყოფი ფაულერი მომენტს მომენტზე აფუჭებდა, თორემ „დერბი“ გაუგონარი ანგარიშით დამარცხდებოდა. ისე, „ცხვრების“ გაცხარებული ქომაგებისთვის 0:4-იც საკმარისი გამოდგა: ისინი მწვრთნელ ჯიმ სმიტის გადადგომას მოითხოვდნენ. „მესმის გულშემატკივრების, მაგრამ არც მე დავნებდები და არც მაგათ მოვუწოდებ დაწყნარებისკენ. ჩვენ ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ. ხვალ ფეხბურთელებთან ერთად დავსხდებით და ვილაპარაკებთ. პასუხისმგებლობას თავი არც მათ უნდა აარიდონ“. ამ სიტყვებით ჯიმ სმიტმა, ვინც 1995 წლიდანაა „დერბის“ მწვრთნელი, დღეს კი 60 წლისა ხდება, ყველა მიახვედრა, რომ წასვლას ჯერჯერობით არ აპირებს, მითუმეტეს, რომ მწვრთნელს მხარში ფეხბურთელებიც უდგანან: „ქომაგებს არ ვადანაშაულებ. მათ ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი, მაგრამ მარტო სმიტის დადანაშაულება სწორი არაა. ფეხბურთელებსაც გვაკლდა შემართება და გამარჯვების ჟინი“ — თქვა გუნდის კაპიტანმა დერილ პაუელმა.

ასეა თუ ისე, „დერბი“ კვლავ ბოლო ადგილზეა და ქულით ჩამორჩება ბოლოსწინა „ბრედფორდს“. ამათ შორის სხვაობა რომ არ გაიზარდა, ქინქლაძე თავის ყოფილ გუნდს უნდა უმადლოდეს — სქოთი პოლ დიკოვისა და ნორვეგიელი ალფ-ინგე ჰაალანდის გოლებით „ბრედფორდი“ სწორედ „მანჩესტერ სიტიმ“ დაამარცხა, თუმცა ერთი ცუდი ამ ამბავი ამ გუნდშიც მოხდა: სათადარიგოობა ვერ აიტანა და კლუბი მიატოვა ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა, ლიბერიელმა ჟორჟ ვეამ.

ცუდი რამ შეემთხვა ლიდერ „ლესტერს“: წააგო და მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა. ერთადერთი დამამშვიდებელი ლესტერელებისთვის ისაა, რომ ამ სეზონში მათი პირველი დამმარცხებელი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გამოდგა. დერბის მსგავსად, თავი ამ მატჩშიც ჰელსინკიში იმედგაცრუებულმა გამოიჩინა — პირველი ორი გოლი მასპინძელთა კარში ტედი შერინგემმა შეაგდო.

ნაკრებისგან უარყოფილმა, ლიგის შარშანდელმა მთავარმა მეგოლემ კევინ ფილიპსმა კი სეზონში მეოთხე გოლი პენალტით გაიტანა და „ჩელსი“ მე-15 ადგილამდე ჩასწია. კიდევ ორი ცუდი ამბავი კლაუდიო რანიერისთვის: სანდერლენდელ კევინ კილბეინთან ერთად მოედნიდან გააძევეს გრემ ლე სო, გუნდს წაყოლილმა ლონდონელმა ქომაგებმა კი მატჩის მიწურულს ერთხმად დააგუგუნეს — ვიალი დაგვიბრუნეთო.

კვლავ გაიტანა ტიერი ანრიმ, რითაც ფერგიუსონის გუნდს წინ გასვლის საშუალება არ მისცა. ამ ორს თეორიულად ქულით ჩამორჩება „ლიდსი“, რომელმაც „ბეშიქთაშსა“ და „ტოტენჰემს“ ახლა „ჩარლტონიც“ მიაყოლა.

**გიგა ქობახიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 23:8 | 15 | 18 | 4 | 3 | 1 | 0 | 14:3 | 11 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 8 |
| 2 | არსენალი | 9 | 5 | 3 | 1 | 15:9 | 6 | 18 | 5 | 5 | 0 | 0 | 11:4 | 7 | 15 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 3 |
| 3 | ლესტერი | 9 | 4 | 4 | 1 | 7:5 | 2 | 16 | 5 | 2 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 3:0 | 3 | 8 |
| 4 | ლივერპული | 9 | 4 | 3 | 2 | 16:13 | 3 | 15 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 5 |
| 5 | ლიდსი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:10 | 4 | 14 | 5 | 3 | 0 | 2 | 11:8 | 3 | 9 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 |
| 6 | ნიუკასლი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:7 | 1 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 7 | ასტონ ვილა | 8 | 3 | 3 | 2 | 11:8 | 3 | 12 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 |
| 8 | იფსვიჩი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:11 | 1 | 12 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 0 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 1 | 6 |
| 9 | ჩარლტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:16 | -1 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 5 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:13 | -6 | 4 |
| 10 | სანდერლენდი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:11 | -3 | 12 | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 11 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 |
| 11 | ტოტენჰემი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | -1 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 4 | 10 | 5 | 0 | 1 | 4 | 5:10 | -5 | 1 |
| 12 | სიტი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:14 | -2 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:6 | 2 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 4 |
| 13 | ქოვენთრი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:15 | -5 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 7 |
| 14 | მიდლსბრო | 8 | 2 | 4 | 2 | 14:12 | 2 | 10 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 2 | 4 | 2 | 2 | 0 | 10:6 | 4 | 8 |
| 15 | ჩელსი | 9 | 2 | 4 | 3 | 13:13 | 0 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 7 | 5 | 0 | 3 | 2 | 4:7 | -3 | 3 |
| 16 | საუთჰემპტონი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:13 | -1 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | -1 | 4 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 0 | 6 |
| 17 | ევერტონი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:16 | -4 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:9 | -2 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 4 |
| 18 | ვესტ ჰემი | 9 | 1 | 5 | 3 | 11:12 | -1 | 8 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 3 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 5 |
| 19 | ბრედფორდი | 9 | 1 | 3 | 5 | 4:14 | -10 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 1 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:12 | -11 | 1 |
| 20 | დერბი ქაუნთი | 9 | 0 | 5 | 4 | 14:23 | -9 | 5 | 5 | 0 | 4 | 1 | 8:12 | -4 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 6:11 | -5 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 7 |
| პახარსი (საუთჰემპტონი) | 6 |
| ანრი (არსენალი) | 6 |
| სმიტი (ლიდსი) | 6 |

### X ტური

21 ოქტომბერი
ბრედფორდი — იფსვიჩი
ჩარლტონი — მიდლსბრო
ჩელსი — ქოვენთრი
ლივერპული — ლესტერი
მანჩესტერი — ლიდსი
ნიუკასლი — ევერტონი
ტოტენჰემი — დერბი
ვესტ ჰემი — არსენალი
22 ოქტომბერი
ასტონ ვილა — სანდერლენდი
23 ოქტომბერი
საუთჰემპტონი — სიტი

## პირველი დივიზიონი

XII ტური

### ბოლტონი 2:1 ვულვერჰემპტონი

1:0 ჰოლდსუორთი (28), 1:1 დინინგი (53პ), 2:1 ბერგსონი (68)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, ნეილორი, რობინსონი, პოლეტი (ლესკოტი 69), ემბლენი (პიკოკი 76), ბაზელი, ოსბორნი, ბრენჩი, სინტონი (ძეცბაია 82), დინინგი, პრუდლოკი
მწვრთნელი: კოლინ ლი
15 585 მაყურებელი

### ფულემი 2:1 ბლექბერნი

0:1 იანსენი (4), 1:1 ფერნანდესი (15), 2:1 საჰა (68პ)

### ბარნსლი 3:4 ნოტინგემი

0:1 ბარტ-უილიამსი (10პ), 0:2 როჯერსი (24), 0:3 ბარტ-უილიამსი (54), 1:3, 2:3 შიპერლი (67, 68), 2:4 ბლეიქი (69), 3:4 დიერი (80)

### ბირმინგემი 2:1 კრ. პალასი

0:1 მორისონი (66), 1:1 ბერჩილი (72), 2:1 ადებოლა (85)

### ბარნლი 2:1 სტოკპორტი

1:0 პეიტონი (20), 2:0 ბრენჩი (25), 2:1 ტოდი (56)

### გრიმსბი 1:0 ჰადერსფილდი

1:0 ალენი (27)

### პორტსმუთი 2:1 უენსდი

1:0 ტოგერსენი (24), 2:0 კლარიჯი (48), 2:1 მორისონი (67)

### პრესტონი 1:0 ტრანმერი

1:0 ბეშამი (57)

### შეფილდ იუნაიტედი 1:0 ქრიუ

1:0 სანტოსი (89)

### უოტფორდი 3:1 ქუინზ პარკი

1:0, 2:0 კოქსი (2, 22), 2:1 კონოლი (56), 3:1 ნოელ-უილიამსი (66)

### ვესტ ბრომვიჩი 2:3 ნორვიჩი

0:1 დერველდი (10), 1:1 კლემენტი (38), 1:2 ლეველინი (43), 2:2 ჰიუზი (65პ), 2:3 კენტონი (86)

### უიმბლდონი 4:4 ჯილინგემი

1:0 ფრანცისი (5), 1:1, 1:2 ტომსონი (19, 21), 2:2 ჰართსონი (23), 2:3 სონდერსი (25), 3:3 იუელი (58), 4:3 ჰართსონი (78), 4:4 ასაბა (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 10 | 10 | 0 | 0 | 28:5 | 30 |
| უოტფორდი | 10 | 9 | 1 | 0 | 25:9 | 28 |
| ბოლტონი | 11 | 7 | 3 | 1 | 17:9 | 24 |
| ბირმინგემი | 11 | 7 | 2 | 2 | 18:10 | 23 |
| პრესტონი | 11 | 6 | 3 | 2 | 15:9 | 21 |
| ვესტ ბრომი | 12 | 6 | 2 | 4 | 12:13 | 20 |
| ბარნლი | 11 | 5 | 4 | 2 | 13:11 | 19 |
| შეფილდ იუნ. | 10 | 5 | 2 | 3 | 10:9 | 17 |
| ნოტინგემი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:13 | 17 |
| უიმბლდონი | 10 | 3 | 5 | 2 | 16:9 | 14 |
| ბარნსლი | 11 | 4 | 2 | 5 | 19:21 | 14 |
| ჯილინგემი | 12 | 3 | 5 | 4 | 18:21 | 14 |
| პორტსმუთი | 12 | 3 | 4 | 5 | 12:15 | 13 |
| ტრანმერი | 12 | 4 | 1 | 7 | 12:18 | 13 |
| ბლექბერნი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:13 | 12 |
| ვულვზი | 11 | 2 | 5 | 4 | 11:11 | 11 |
| ქუინზ პარკი | 10 | 2 | 5 | 3 | 11:14 | 11 |
| ნორვიჩი | 10 | 2 | 4 | 4 | 9:13 | 10 |
| ქრიუ | 11 | 2 | 3 | 6 | 7:13 | 9 |
| კრ. პალასი | 11 | 2 | 2 | 7 | 7:14 | 8 |
| გრიმსბი | 10 | 2 | 2 | 6 | 5:12 | 8 |
| სტოკპორტი | 12 | 1 | 5 | 6 | 12:20 | 8 |
| ჰადერსფილდი | 11 | 1 | 3 | 7 | 10:17 | 6 |
| უენსდი | 11 | 1 | 2 | 8 | 8:22 | 5 |

## მეორე დივიზიონი

მე-12 ტური: ბორნმუთი — როტერჰემი 0:1; ბრენტფორდი — პიტერბრო 1:0; მილუოლი — ბერი 4:0; ნოტსი — უიგანი 2:2; ოლდემი — სუინდონი 1:0; ოქსფორდი — რექსჰემი 3:4; პორტვეილი — კოლჩესტერი 3:1; რედინგი — უიკომბი 2:0; სუონსი — სტოკი 2:1; უოლსოლი — ბრისტოლი 0:0; როვერსი — ნორთჰემპტონი 0:1; კემბრიჯი — ლუთონი 2:1

## მესამე დივიზიონი

მე-12 ტური: ბრაიტონი — სკანთორპი 0:0; კარლაილი — ბარნეტი 0:2; დარლინგტონი — ტორკი 2:0; ექსეტერი — ჩესტერფილდი 1:1; ჰალიფაქსი — ჰალი 0:2; ლეიტონი — კარდიფი 2:1; ლინკოლნი — კიდერმინსტერი 3:3; მაკლსფილდი — ჩელტენემი 2:1; მენსფილდი — შრიუსბერი 1:0; პლიმუთი — ბლექპული 2:0; როჩდეილი — ჰარტლპული 2:1; საუთენდი — იორკი 1:0

## იტალია

### II ტური

**ბოლონია 2:1 მილანი**

1:0 ბია (19), 1:1 შევჩენკო (61), 2:1 პიაჩენტინი (90)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია, კასტელინი, ნერვო, ოლივე (პიაჩენტინი 73), ლიმა, ვომე, ლოკატელი, ხულიო კრუზი (ოლივეირა 51; გორეტი 81), სინიორი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
მილანი: აბიატი, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა, სალა, გულიელმინპიეტრო (ბობანი 46), გატუზო, ჯუნტი, ამბროზინი (შელვეგი 90), კოკო, ხოსე მარი (ალბერტინი 78), შევჩენკო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ხულიო კრუზი, ნერვო, ვომე, როკე ჟუნიორი
გაძევება: ჯუნტი (75)
35 000 მაყურებელი

**ბრეშა 0:0 პარმა**

ბრეშა: სრნიჩეკი, პეტრუცი, კალორი, ბონერა (გალი 66), ესპოზიტო, ილანა (ე. ფილიპინი 88), ბიზოლი, რ. ბაჯო, დიანა, უბნერი, გონსალესი (ა. ფილიპინი 61)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
პარმა: ბუფონი, ტურამი, სარტორი (ბენარივო 84), კანავარო, სერჟიუ კონსეისაუ, ლამუში, ალმეიდა, ფალსინი, მიკუ (ფუზერი 63), ამოროზო (დი ვაიო 90), მილოშევიჩი
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
გაფრთხილება: პეტრუცი, ბიზოლი, მილოშევიჩი
12 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 2:1 რეჯინა**

0:1 მარაზინა (68), 1:1 ნუნო გომეში (85), 2:1 ლეანდრო (90)
ფიორენტინა: ტოლდო, ტორიჩელი, ადანი, პიერინი, ვანოლი (კიეზა 61), კ. ამორუზო (ბრეშანი 78), რუი კოშტა, როსიტო, დი ლივიო, ნუნო გომეში, მიატოვიჩი (ლეანდრო 73)
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
რეჯინა: ტაიბი, კანეირა, სტოვინი, ოზადოგანი, მორაბიტო, კოცა (ბერნინი 62), ვარგასი, ბრევი, ძანჩეტა, ბოსანცინი (და კოშტა 64), მარაზინა (ბოგდანი 82)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: და კოშტა, ვარგასი, კოცა, დი ლივიო
27 000 მაყურებელი

**ინტერი 3:1 ნაპოლი**

1:0 დი ბიაჯო (9), 2:0 სამორანო (37), 3:0 ბლანი (45), 3:1 სესა (60)
ინტერი: ფრეი, ფერარი, ბლანი, კორდობა, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო, ფარინოსი (კოე 57), მაჩელარი, ზეედორფი, სამორანო (მაქან შუქური 85), კინი (რეკობა 66)
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
ნაპოლი: კოპოლა, საბერი (ტროისე 72), ბალდინი, ფრეზი, ბაჩინი, მატუზალემი, პეკია (მაგონი 66), ტედესკო, სესა (დი ვიჩინო 78), ნ. ამორუზო, სტელონე
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
გაფრთხილება: ბაჩინი, მაგონი
62 655 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:0 ბარი**

1:0 კოვაჩევიჩი (2), 2:0 ზიდანი (90)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ბირინდელი, ფერარა, იულიანო, ბაკინი (ტუდორი 58), კონტე, დავიდსი, პესოტო, ზიდანი, ტრეზეგე (ტაკინარდი 80), კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ბარი: ჯ. როსი, დე როსა, ინოჩენტი, ნექროიზი (ვალდესი 82), მაცარელი, კოლაუტო (მადსენი 71), დ. ანდერსონი, პეროტა (სპინეზი 62), ბელავისტა, ოსმანოვსკი, კასანო
მწვრთნელი: ეუჯენიო ფაკეტი
გაფრთხილება: ფერარა, ბირინდელი, ნექროიზი, ანდერსონი, დე როსა, ტრეზეგე
20 000 მაყურებელი

**ვიჩენცა 1:2 ატალანტა**

1:0 ტონი (47), 1:1 დონი (68), 1:2 როსინი (80)
ვიჩენცა: სტერჩელე, კარდონე, ფატორი, დიკარა, დალ კანტო, როსი (პალადინი 64), ვივიანი, ლონგო (ფირმანი 72), ძაული, ტონი, კალონი (ლუიზო 78)
მწვრთნელი: ედუარდო რეია
ატალანტა: პინატო, სივილია (ვენტოლა 64), კარერა, პაგანინი, ზაური, კ. ძენონი, დ. ძენონი, დონატი, დონი, როსინი (დუნდიერსკი 90), განცი (ბელინი 89)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: ძაული, პალადინი, დ. ძენონი
14 000 მაყურებელი

**ვერონა 1:1 უდინეზე**

1:0 ჯილარდინო (50), 1:1 მუცი (63)
ვერონა: ფერონი, ოდო, ლაურსენი, გონელა, ცვიტანოვიჩი, ჯ. კოლუჩი, მაცოლა, ლ. კოლუჩი (იტალიანო 43), სალვეტი (სერიჩი 58), მუტუ (ბონაცოლი 46), ჯილარდინო
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
უდინეზე: ტურჩი, გარგო, სოტილი, ბერტოტო, ბისგაარდი, ფიორე, ჯანიკედა (იაკინტა 54), იორგენსენი (ძამბონი 58), დიასი, სოსა, მუცი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: მუცი, ჯილარდინო
13 000 მაყურებელი

**ლეჩე 0:4 რომა**

0:1 ბატისტუტა (42), 0:2 ტომაზი (47), 0:3 ბატისტუტა (80), 0:4 ტოტი (90პ)
ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი, ვიალი, სავინო, ბალერი (მატეო 31), კონტიკიო, პიანჯერელი, ტონეტო (ოსორიო 64), კოლონელო, ვუგრინეცი, კ. ლუკარელი (ოლივარესი 81)
მწვრთნელი: ალბერტო კავასინი
რომა: ანტონიოლი, ძებინა, ძაგო, სამუელი, კაფუ, კ. ძანეტი, ტომაზი, კანდელა, ტოტი, ბატისტუტა, დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ძებინა, კაფუ, პიანჯერელი
გაძევება: სავინო (90)
12 000 მაყურებელი

**ლაციო 3:0 პერუჯა**

1:0 კრესპო (44), 2:0 მიხაილოვიჩი (68პ), 3:0 ინძაგი (78)
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა (ფერნანდუ კოუტუ 46), მიხაილოვიჩი, ფავალი, სტანკოვიჩი, სიმეონე (ბარონიო 46), ნედვედი, ვერონი, კლაუდიო ლოპესი, კრესპო (ს. ინძაგი 69)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
პერუჯა: მაცანტინი, მონაკო, მატერაცი, რივალტა, ზე მარია, ტედესკო, ლივერანი, ბაიოკო, პიერი (ანი 72), ბუჩი (გინაზუ 60), ვრიზასი
მწვრთნელი: სერსე კოსმი
გაფრთხილება: რივალტა, მონაკო
60 000 მაყურებელი

# გრიპი მილანში




REUTERS მილანიდან

ინტერი — ნაპოლი 3:1. ჯიგარი ხარ, დი ბიაჯო. მარკო ტარდელი ბიჭებმა ცხრა წუთში წამოახტუნეს

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების დამარცხების შემდეგ 21 წლამდელი იტალიელების თავკაცმა მარკო ტარდელიმ ახალ სამსახურს მიაშურა და პირველი წარმატებული ნაბიჯი გადადგა — „ინტერმა“ შინ, „სან სიროზე“ „ნაპოლი“ 3:1 დაამარცხა. ასეთ დროს ხალხის ბუნებრივი რეაქცია მწვრთნელის ქებაა: „აი, მოვიდა ახალი კაცი და უკუღმა მიმავალი საქმე ხელის ერთი დაკვრით შეატრიალა“, მაგრამ თავად ტარდელიმ მახვილი ფეხბურთელებზე გააკეთა:

„მოთამაშეები უნდა აქოთ, მე კი არა. მათ დაამტკიცეს, რომ იმ სიტყვებს, რომლებიც ჩემმა წინამორბედმა მარჩელო ლიპიმ საჯაროდ აკადრა, არ იმსახურებდნენ. არც ლიპი იმსახურებს საყვედურს. ფეხბურთელები, რომელთაც „ნაპოლი“ დაამარცხეს, მისი მომზადებულია.“

ერთი სიტყვით, ლიპის მომზადებულმა თუ ტარდელის შეგულიანებულმა „ინტერმა“ ანგარიში მე-10 წუთზევე გახსნა, როდესაც კლარენს ზეედორფმა კუთხური ჩააწოდა, ხოლო ლუიჯი დი ბიაჯო მაღლა აზტა და თავური დაარტყა. ახალი მწვრთნელის საამებლად მილანელებმა 38-ე წუთზე ანგარიში ორამდე გაზარდეს: სტუმართა მეკარემ ფერდინანდო კოპოლამ დი ბიაჯოს მიერ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი ხელში ვერ დაიჭირა და ჩილელმა ივან სამორანომ ბადეში შეაგდო. მესამე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ლორან ბლანმა გაიტანა. ეს გახლდათ ინდივიდუალური ოსტატობის შედეგი: მოედნის შუაში ზეედორფთან მინი-კომბინაციის გათამაშებამ ფრანგს მოწინააღმდეგის დაცვაში გასვლის საშუალება მისცა, ხოლო იქ, მეკარე კოპოლას ჯობნის შემდეგ, მესამე გოლის გატანას წინ აღარაფერი ედგა.

ნეაპოლელებმა კი ერთადერთი საპასუხო ასე შეაგდეს: დავიდე სესამ საჯარიმო დაარტყა, ბურთი ზეედორფს შეეხო, აისხლიტა და „ინტერის“ გოლკიპერი სებასტიან ფრეი შეაცდინა.

ამას გარდა ცნობილი ჩეხი სპეციალისტის, ზდენეკ ზემანის ქვეშევრდომებმა ველარაფერი შეძლეს. ის კი არა, ირლანდიელ რობი კინსა და სამორანოს მეტი სიზუსტე რომ გამოემჟღავნებინათ, ანგარიში „ინტერის“ სასარგებლოდ გაცილებით დიდი იქნებოდა.

მილანელებს, უფრო სწორად კი იტალიური ფეხბურთის ხელმძღვანელებს, ოდითგან ასეთი წესი აქვთ: თუ „ინტერი“ „სან სიროზე“ თამაშობს, „მილანი“ სტუმრად მიდის და პირიქით. ასე იყო ამჯერადაც. „შავ ლურჯებმა“, როგორც გითხარით შინ „ნაპოლის“ აჯობეს, „შავ წითლებმა“ კი ამასობაში ბოლონიაში წააგეს. ეს შედეგი სერია A-ს მეორე ტურში ყველაზე სენსაციურად მიიჩნიეს.

მილანელებს არ ჰყავთ კაპიტანი პაოლო მალდინი. იგი გრიპიანი შინ იწვა და ვინძლო ამის გამოც ჩამორჩნენ უკვე მე-19 წუთზე, როდესაც მრავალგუნდმოვლილი მცველი ჯოვანი ბია მათი კარის სიახლოვეს აღმოჩნდა. 31-ე წუთზე ანდრეი შევჩენკოს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მის თავურს ოდესღაც ნაკრებსა და „ინტერში“ თამაშით ცნობილი ჯანლუკა პალიუკა შეეგება სხარტი ნახტომით.

მაგრამ შევჩენკო ის კაცი არაა, მოედანი უგოლოდ დატოვოს — 61-ე წუთზე ხოსე მარის მაღალი პასი და უკრაინელის თავური წარმატებით დასრულდა. შემდეგ კი, საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე „შავ წითლებს“ ნახევარმცველი, ფედერიკო ჯუნტი გაუძევეს მოედნიდან. ამის მიუხედავად, ალბერტო ძაკერონის გუნდი თითქოს ბოლომდე უძლებდა, თითქოს სტუდენტური ქალაქიდან შინ ქულით ბრუნდებოდა, მაგრამ მსაჯის წამატებული დროის მეოთხე წუთზე, როდესაც ჯოვანი პიაჩენტინიმ დაახლოებით 25 მეტრიდან მეხივით გაისროლა, ყველაფერი შეიცვალა — „მილანმა“ სტადიონი მოწყენით დატოვა.

ჩემპიონმა „ლაციომ“ „პერუჯას“ უმასპინძლა და 3:0 მოუგო. ამ შეხვედრის მარილი „პარმასგან“ 55 მილიონ დოლარად ნაყიდი არგენტინელი თავდამსხმელის, ერნან კრესპოს რომაული კლუბის შემადგენლობაში დებიუტი გახლდათ. იტალიური სატრანსფერო რეკორდის მპყრობელმა კინაღამ მე-3 წუთზევე გახსნა ანგარიში, როდესაც 20 მეტრიდან დააბზრიალა ბურთი პერუჯელთა კარისკენ, მაგრამ მეკარე ანდრეა მაცანტინიმ მისი კუთხურზე გადაგდება შეძლო.

შემდეგ იყო ერთი საინტერესო ეპიზოდი: „ლაციოს“ მეკარემ, პალიუკას მსგავსად ადრე ნაკრების და დიდი „იუვენტუსის“ წევრობით განთქმულმა ანჯელო პერუციმ, პერუჯელთა მიერ შორიდან დარტყმული ბურთი იხელთა, მაგრამ, როგორც ტელეგამეორებებმა აჩვენეს, ხაზს შიგნით. მსაჯებმა ეს ვერ შენიშნეს.

გამოხდა ხანი და პაველ ნედვედის კუთხურს კრესპომ თავური დააყოლა. ამან ხარიხის შეზანზარება გამოიწვია, თუმცა ბოლოს ნავსი მაინც გატყდა: სინიშა მიხაილოვიჩის დარტყმულ ჯარიმას არგენტინელმა თავური გოლით დაუსვა წერტილი.

ამის შემდეგ სვენ გორან ერიკსონის ფეხბურთელებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს.

**ბაჩუნა ძიდია**




REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — ბარი 2:0. მატჩის დაწყებიდან ორი წუთია გასული, ტურინელი დარკო კოვაჩევიჩი კი უკვე ზეიმობს

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რომა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 |
| 2 | იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 3 | ლაციო | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 4 | უდინეზე | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 5 | ფიორენტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 6 | ატალანტა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 7 | ინტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 8 | მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 9 | რეჯინა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 10 | ბოლონია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 11 | პარმა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 12 | ვერონა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 | ბრეშა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 0 |
| 14 | ბარი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 15 | პერუჯა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 16 | ლეჩე | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | -4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 17 | ნაპოლი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 18 | ვიჩენცა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (რომა) | 2 |
| ტოტი (რომა) | 2 |
| შევჩენკო (მილანი) | 2 |
| ამოროზო (პარმა) | 2 |
| მიხაილოვიჩი (ლაციო) | 2 |
| სიმონე ინძაგი (ლაციო) | 2 |
| კოვაჩევიჩი (იუვენტუსი) | 2 |
| მარაზინა (რეჯინა) | 2 |
| მუცი (უდინეზე) | 2 |

**III ტური**

21 ოქტომბერი
მილანი — იუვენტუსი
უდინეზე — ინტერი
22 ოქტომბერი
ბარი — ატალანტა
ბრეშა — ფიორენტინა
ნაპოლი — ბოლონია
პერუჯა — პარმა
რეჯინა — ლეჩე
რომა — ვიჩენცა
ვერონა — ლაციო

**სერია C1/A**

მე-7 ტური: ალბინოლეფე — ჩეზენა 2:1; ალესანდრია — ბრეშელო 0:0; ალძანო — ლუმეცანე 1:2; კარარეზე — არეცო 1:0; ლეკო — პიზა 0:0; ლივორნო — კომო 2:1; ლუკეზე — მოდენა 0:1; რეჯანა — სპალ 2:2; ვარეზე — სპეცია 0:1

**სერია C1/B**

მე-7 ტური: აველინო — ატლეტიკო 2:1; ბენევენტო — ტორესი 0:0; დი სანგრო — ლოდიჯანი 4:1; კატანია — სავოია 1:1; ფერმანა — აკილა 0:0; ფ. ანდრია — ასკოლი 1:1; ჯულიანოვა — პეზარო 1:0; ვიტერბეზე — პალერმო 1:1; მესინა — ნოჩერინა წუხელ გვიან გაიმართა

## გერმანია

VIII ტური

### დორტმუნდი 1:0 ფრაიბურგი

1:0 ჰაინრიხი (83)
დორტმუნდი: ლემანი, ვიორნსი, მეცელდერი, ჰაინრიხი, კაპეტანოვიჩი (ტანკო 46), ოლისე, დედე, ადო, ევანილსონი, რეინა (ჰერლიხი 79), ბობიჩი (ნიკიპაუსი 90)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ფრაიბურგი: გოლცი, ჰერმელი (შუმანი 72), დიარა, ვილი, კობიაშვილი, ა. ცაიერი, კელი, ცქიტიშვილი, ბაია (ვაისჰაუპტი 61), კულიბალი, იაშვილი (რამდანე 46)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ევანილსონი, კულიბალი, ვილი
62 000 მაყურებელი

### კიოლნი 2:0 ბოხუმი

1:0 ტიმი (82), 2:0 კურტი (86)
კიოლნი: პრიოლი, კულმანი, ლოტნერი, სიჩონე, ჰაუპტმანი, კელერი (დჟივიორი 59), შერცი, ტიმი, შპრინგერი, კურტი, ა. არველაძე (კროიცი ჩ პივალიევიჩი 72)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ბოხუმი: ვან დუინოვენი, რისტაუ, მამიჩი, მილინოვიჩი, შინდცილორცი (ბემბენი 36), დიკჰაუტი, პეშელი, მანდრეკო, ბასტურკი, მ. მარიჩი (ვებერი 68), ბაკლი (ფრაერი 77)
მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი
გაფრთხილება: დჟივიორი, კროიცი, მილინოვიჩი, ბემბენი, მანდრეკო
33 500 მაყურებელი

### კოტბუსი 1:0 ბაიერნი

1:0 შებოკი (14)
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, პუჯოროვიჩი, ბეეკი, მატიუში, სკერბე, ლატუნდი (ფრანკლინი 72), აკპაროვიჩი, მიჩევსკი (ვატა 88), ჰელბიგი, ლაბაკი (კობილანსკი 78)
მწვრთნელი: ედუარდ გეიერი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ანდერსონი, ლინკე, ტარნატი, ვისინგერი (პაულო სერჟიო 46), იერემისი, ფინკი (სალიჰამიჯიჩი 46), შოლი, იანკერი, ელბერი (სანტა კრუზი 62)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: აკპაროვიჩი, იერემისი, ტარნატი, შოლი, იანკერი, სალიჰამიჯიჩი, სანიოლი
20 500 მაყურებელი

### ვერდერი 3:3 ლევერკუზენი

0:1, 0:2 ნოივილი (20, 55), 1:2 ბაუმანი (70), 1:3 ბალაკი (81პ), 2:3 ბოდე (88), 3:3 აილტონი (90პ)
ჰერცოგმა ვერ გაიტანა პენალტი (88, მეკარე)
ვერდერი: როსტი, ფრინგსი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, ბოდე, ფ. ერნსტი (ვიკი 90), აილტსი (ბანოვიჩი 58), ჰერცოგი, სტალტერი, აილტონი, ბოგდანოვიჩი (პიზარო 46)
მწვრთნელი: თომას შააფი
ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, ჟივკოვიჩი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, რეები, რამელო, ბალაკი, გრეშკო, ნოივილი (პონტე 83), ზე რობერტო (ბ. შნაიდერი 75), კირსტენი (ბრდარიჩი 75)
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: ვერლაატი, ფრინგსი, ბაუმანი, პიზარო, როსტი, კოვაჩი, რეები
გაძევება: ცუბერბიულერი (90)
29 053 მაყურებელი

### შალკე 4:0 აინტრახტი

1:0 ბიომე (38), 2:0 ლატალი (51), 3:0 ბიომე (53), 4:0 ჰაპე (62)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ჰაპე, კამპუსისი, ნემეცი, ლატალი, ბიომე (ბიუსკენსი 79), მიოლერი, სანდი, მპენზა (ასამოა 56; მულდერი 67)
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, ხუბჩევი, კრახტი, ვიმერი, შური, რასიევსკი (ზირიჩი 46), გებჰარდტი (ბინდევალდი 56), გუიე-მიენი, ჰელდტი, რაიხენბერგერი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: მიოლერი, ჰაიტო, ნემეცი, ვალდოხი, კუჩერა
გაძევება: ვიმერი (47)
44 100 მაყურებელი

# ბაიერნი და ფრაიბურგი: არავითარი განსხვავება


REUTERS ბრემენიდან

ტურის მშვენება: ვერდერი — ლევერკუზენი 3:3. „ვერდერის“ ბრაზილიელი ფორვარდი აილტონი პენალტის გატანამ გაახარა

### მიუნხენი 0:4 კაიზერსლაუტერნი

0:1 ჰ. კოხი (14პ), 0:2 ლოკვენცი (56), 0:3 პეტერსონი (83), 0:4 რაიხი (87)
მიუნხენი: იენჩი, შტრანცლი, პასლაკი, კურცი (ტაბალოვიჩი 33), ბორიმიროვი, მიუკლანდი, ჩერნი (ბაიერლე 64), ბაიროფკა (ტაისი 54), ჰესლერი, აგოსტინო, მაქსი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, რამზი, კლოსი, ბუკი, გრამოცისი, შტრასერი, ბასლერი (ბჟიჩი 88), პეტერსონი, ხრისტოვი (რაიხი 80), კლოსე (ლოკვენცი 51)
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: კურცი, ჰესლერი, ბასლერი, ხრისტოვი, შტრასერი
გაძევება: შტრანცლი (49)
33 500 მაყურებელი

### შტუტგარტი 3:3 ჰამბურგი

0:1 კოვაჩი (17), 1:1 ლისტეში (21), 2:1 დანდი (28), 2:2 ბარბარესი (33), 3:2 დანდი (46), 3:3 ბარბარესი (59)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ტ. შნაიდერი (ჰოსნი 46; განია 86), ტოდტი, ბორდონი, მაისნერი, ტიამი, ზაიცი (პინტო 77), გერბერი, ლისტეში, ბალაკოვი, დანდი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი, ნ. კოვაჩი, ტოფტინგი, ჰოლერბახი (ფიშერი 23), ბარბარესი, პრეგერი, იებოა, ჰაინცი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: ტიამი, ტოდტი, ლისტეში, ჰოლერბახი, ბარბარესი, პანადიჩი
26 000 მაყურებელი

### ჰანზა 0:2 ჰერტა

0:1 დაისლერი (3), 0:2 ბაინლიხი (72)
ჰანზა: პიკენჰაგენი, შრიოდერი, იაკობსონი, ოსვალდი (აგალი 61), ვიბრანი, იასერი, რიდლევიჩი, ემარა, ბრანდი (ბრაიტკროიცი 65), ბაუმგარტი, არვიდსონი (კოვაჩეკი 78)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ჰერტა: კირალი, რემერი, შმიდტი, სვერისონი, ვაიტი, ბაინლიხი, ჰარტმანი, დაისლერი, ვოში (კონსტანტინიდისი 76), პრეეცი, რაისი (დარდაი 55)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: რიდლევიჩი, ოსვალდი, ბაუმგარტი, შმიდტი, დარდაი
გაძევება: დაისლერი (54), იასერი (84)
16 500 მაყურებელი

### უნტერჰახინგი 0:3 ვოლფსბურგი

0:1 კუჰბაუერი (39), 0:2 იუსკოვიაკი (54), 0:3 აკპობორი (63)
უნტერჰახინგი: ტრემელი, ბერგენი, შტრემელი, ზაიფერტი, შვარცი, ჰირში (ბრაიტენრაიტერი 46), მატიას ციმერმანი, შტრაუბე, ობერლაიტნერი, ზდრილიჩი (სპიზაკი 63), რაკლი (ბუგერა 63)
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი, ბილიშკოვი (მალტრიცი 57), ჰენგენი, აკონორი, ნოვაკი, კუჰბაუერი (ვოსი 70), სებესკენი (გრაინერი 73), ვაისერი, იუსკოვიაკი, აკპობორი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ჰირში, შტრაუბე, სებესკენი
7 500 მაყურებელი

ბოლო წლებია, „ფრაიბურგმა“ ერთი ტრადიცია დაიმკვიდრა. ისეთი რიხით იწყებს ხოლმე სეზონს, კაცი იფიქრებს, ეგაა და სამეულს თუ არა, უეფას თასის საგზურს მაინც გამოჰკრავს ხელსო, მაგრამ საწყის ტურებში მოგროვებული ქულების მარაგს მერე წვალებ-წვალებით, ნელ-ნელა ზრდის.

წლეულსაც ასეა. პირველი ხუთი ტურის შემდეგ ალექსანდრე იაშვილის, ლევან კობიაშვილისა და ლევან ცქიტიშვილის გუნდს ცხრა ქულა და მხოლოდ ორი გაშვებული ბურთი ჰქონდა მარაგში. მას შემდეგ ბუნდესლიგაში სამი ტური ჩატარდა, „ფრაიბურგს“ ისევ ცხრა ქულა აქვს, საკუთარ კარში კი კიდევ ხუთი გოლი მიიღო.

პარასკევს ფოლკერ ფინკეს შეგირდები „დორტმუნდს“ ეწვივნენ და ზედიზედ მესამე მარცხი განიცადეს. თავისუფლად შეიძლებოდა, სტუმრებს ამ შეხვედრაში ქულა მოეპოვებინათ, მაგრამ ეს დიდი უსამართლობა იქნებოდა. მასპინძლები „ვესტფალენშტადიონზე“ სრულად გაბატონებულიყვნენ (განსაკუთრებით მეორე ტაიმში), მომენტებსაც საკმაოდ ქმნიდნენ, მაგრამ გატანას ვერ ახერხებდნენ. დორტმუნდელებს ორი ქულა იორგ ჰაინრიხის დაგვიანებულმა გოლმა შეუნარჩუნა. მასპინძელთა მცველმა ფრაიბურგელი კოლეგების უხეში შეცდომით ისარგებლა და 83-ე წუთზე ახლოდან ბურთი კარში შეაგორა.

პირველი ნახევარი „ფრაიბურგმა“ შედარებით აქტიურად ჩაატარა. სტუმრები დაცვაში კი იხვდნენ, მაგრამ მეტოქის კარისკენაც ხშირად იხედებოდნენ. ორჯერ რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს, ორჯერვე იაშვილმა ითამაშა კარგად, ორი ისეთი პასი მიაწოდა კელისა და ცაიერს, ესენი ვალდებულნი იყვნენ, გაეტანათ, მაგრამ... იაშვილს მეტი სახეირო, ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია, ალბათ ამიტომაც იყო, რომ ფინკემ ჩვენებური, რომელმაც „კიკერისგან“ ხუთიანი მიიღო, შესვენებისას შეცვალა. კობიაშვილმა და ცქიტიშვილმა, მართალია, 90 წუთი ითამაშეს, მაგრამ ბევრად უკეთესი შეფასება ვერც მათ დაიმსახურეს: ცქიტოს 4,5 ერგო, კობი კი იაშვილს არ ჩამორჩა.

მეორე ტაიმში მომენტები მხოლოდ ერთ მხარეს, „ფრაიბურგის“ კართან იქმნებოდა. რიხარდ გოლციც, სანამდეც შეძლო, შეეშველა გუნდს, 83-ე წუთზე კი ჰაინრიხს ველარც იგი გაუმკლავდა. არადა მეკარე ბურთს ჰაინრიხამდე არ მიუშვებდა, დიარას რომ არ შეეშალა ხელი (ფეხი).

ისე, „ფრაიბურგის“ ზედიზედ სამი წაგება რა გასაკვირია, როცა ეს სენი მიუნხენის „ბაიერნს“ შეჰყრია. ბავარიელებმა ჯერ ჩემპიონთა ლიგაში ფრანგულ პსჟ-სთან წააგეს 0:1, მერე ჩემპიონატში შერცხვნენ — შინ „ჰანზასთან“ და ახლა სტუმრად დებიუტანტ „კოტბუსთან“. აგერ უკვე 270 წუთია, მიუნხენელებს გოლის სიტკბო აღარ უგემიათ.

ბოლო კვირებში შემთხვეული უსიამოვნებები შაბათსაც თუ გაგრძელდებოდა, ამას ვერავინ წარმოიდგენდა. მაშინ, როცა „ბაიერნისგან“ მოგებას ელოდნენ, გერმანულმა სუპერკლუბმა ამ სეზონში შინაურ ასპარეზზე მესამე მარცხი იწვნია და უმალ გუნდის კრიზისზეც ალაპარაკდნენ.

„პარიზში წაგებამ გუნდზე, როგორც ჩანს, ძალიან იმოქმედა და გონს ჯერაც ვერ მოეგო. დღეს ძალიან ცუდად ვითამაშეთ, უკმაყოფილო ვარ. ვეცდებით, პსჟ-სთან საპასუხო მატჩს მომზადებულნი შევხვდეთ“ — თქვა „ბაიერნის“ თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა თამაშის შემდეგ.

მიუნხენელებს ამ შეხვედრაში ტრავმამოშუშებული იერემისი და პაულო სერჟიო დაუბრუნდნენ, თუმცა ეს გუნდს მაინცდამაინც არ დასტყობია. სტუმრები „კოტბუსის“ კარს სულ რამდენჯერმე დაემუქრნენ, ერთხელ გაიტანეს კიდეც, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა. სამაგიეროდ, მასპინძლებმა შეაგდეს ბურთი წესების სრული დაცვით — მე-16 წუთზე უნგრელმა ვილმოშ შებოკმა აკპაროვიჩის პასი მიიღო და ახლოდან გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

„ბაიერნის“ წაგებით ისარგებლა „შალკემ“, რომელმაც შინ „აინტრახტი“ პირწმინდად დაჩაგრა (4:0) და ისევ პირველ ადგილზე აინაცვლა. მასპინძლები პირველი ნახევრის მიწურულისკენ ბიომეს გოლით დაწინაურდნენ. მერე სტუმრებს უხეშობისთვის ვიმერი გაუძევეს. „შალკემაც“ ამის შემდეგ გადაუარა მეტოქეს. ლატალმა, ბიომემ და ჰაპემ 62-ე წუთისთვის მოუთავეს „აინტრახტს“ ხელი.

კრისტოფ დაუმს კი ისევ თმების დასაგლეჯად გაუხდა საქმე. არა, ამჯერად „ლევერკუზენის“ თავკაცისთვის ანალიზების ჩაბარება არავის უთხოვია, უბრალოდ შეგირდებმა გაამწარეს. გამწარდებოდა კაცი, აბა რა — 88-ე წუთზე „ლევერკუზენი“ ბრემენში „ვერდერს“ 3:1-ს უგებდა, დაუმსაც სამი ქულა უკვე ჯიბეში ეგულებოდა, მაგრამ კრუგმა რომ საფინალო დაუსტვინა, ტაბლოზე 3:3 ენთო. თანაც მესამე გოლი სტუმრებმა პენალტიდან გაუშვეს, პენალტი კი მეკარე ცუბერბიულერს გაძევებად დაუჯდა.

კიდევ ერთი თვალსასეირო მატჩი გაიმართა შტუტგარტში, რომელსაც „ჰამბურგი“ ეწვია. მე-18-დან 31-ე წუთამდე სტადიონზე მისულმა 35 ათასმა ქომაგმა ოთხი გოლი იხილა. გულშემატკივრები ჯერ დამწუხრდნენ, მერე ორჯერ გაიხარეს და ბოლოს ისევ განაწყენდნენ, პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიშიც თანაბარი იყო — 2:2. მეორე ნახევარში გუნდებმა კიდევ თითო გოლი გაცვალეს და შეხვედრაც 3:3 მორჩა.

არჩილ არველაძე „კიოლნის“ ძირითადში კი იყო, მაგრამ კიოლნელებმა „ბოხუმს“ უმისოდ მოუგეს. ქართველი ფორვარდი მატჩის დებიუტშივე დაშავდა და მე-8 წუთზე შესაცვლელი შეიქნა.

**განო ოქრობირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | შალკე | 8 | 5 | 2 | 1 | 19:5 | 14 | 17 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 8 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 7 |
| 2 | დორტმუნდი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:12 | 2 | 16 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 6 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:5 | 5 | 10 |
| 3 | ბაიერნი | 8 | 5 | 0 | 3 | 16:8 | 8 | 15 | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 6 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 2 | 6 |
| 4 | ჰერტა | 8 | 5 | 0 | 3 | 20:13 | 7 | 15 | 4 | 4 | 0 | 0 | 14:2 | 12 | 12 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:11 | -5 | 3 |
| 5 | ჰამბურგი | 8 | 3 | 3 | 2 | 19:17 | 2 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:6 | 2 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 11:11 | 0 | 5 |
| 6 | ლევერკუზენი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:11 | 0 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 2 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:9 | -2 | 5 |
| 7 | მიუნხენი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:12 | -1 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:7 | -1 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 |
| 8 | ვოლფსბურგი | 8 | 3 | 2 | 3 | 17:14 | 3 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 12:7 | 5 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | -2 | 3 |
| 9 | ლაუტერნი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:8 | 1 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 |
| 10 | აინტრახტი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 8 | 10 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:11 | -9 | 1 |
| 11 | ბოხუმი | 8 | 3 | 1 | 4 | 7:15 | -8 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:8 | -3 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:7 | -5 | 4 |
| 12 | ჰანზა | 8 | 3 | 1 | 4 | 4:12 | -8 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 4 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 6 |
| 13 | ფრაიბურგი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:7 | 3 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:2 | 6 | 7 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | -3 | 2 |
| 14 | ვერდერი | 8 | 2 | 3 | 3 | 12:12 | 0 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:7 | 1 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 |
| 15 | შტუტგარტი | 8 | 2 | 3 | 3 | 12:15 | -3 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 10:6 | 4 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | -7 | 1 |
| 16 | კიოლნი | 8 | 2 | 2 | 4 | 12:13 | -1 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | -5 | 1 |
| 17 | კოტბუსი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:17 | -9 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:11 | -8 | 1 |
| 18 | უნტერჰახინგი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:16 | -9 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 0 | 5 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:11 | -10 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 7 |
| აგოსტინო (მიუნხენი) | 6 |
| ჰერლიხი (დორტმუნდი) | 6 |
| იანკერი (ბაიერნი) | 6 |
| სანდი (შალკე) | 6 |
| მპენზა (შალკე) | 6 |

### IX ტური

20 ოქტომბერი
ლაუტერნი — ვერდერი
21 ოქტომბერი
ბაიერნი — მიუნხენი
შტუტგარტი — უნტერჰახინგი
ვოლფსბურგი — კიოლნი
ჰერტა — კოტბუსი
ჰამბურგი — აინტრახტი
ლევერკუზენი — დორტმუნდი
22 ოქტომბერი
ფრაიბურგი — შალკე
ბოხუმი — ჰანზა

## მეორე ბუნდესლიგა

VIII ტური

### ზანქტ პაული 3:3 ფიურტი

1:0, 2:0 მეგლე (3, 24), 3:0 კლასნიჩი (41), 3:1 სურმანი (68), 3:2, 3:3 მასენმუტლი (71, 74)

### როიტლინგენი 1:0 კიკერსი

1:0 ჰოფაკერი (72)

### ობერჰაუზენი 5:2 ოსნაბრუკი

1:0 ვაიერი (17), 2:0, 3:0 იუდტი (46, 67), 3:1 ენოხსი (73), 3:2 კლაასენი (76), 4:2 მადზარი (82), 5:2 ტობორგი (88)

### მაინცი 1:0 ზაარბრიუკენი

1:0 ტურკი (31)

### ულმი 3:3 ჰანოვერი

1:0 როსლერი (41), 1:1 დაბრიცი (50პ), 2:1 შარინგერი (55), 2:2 მორინასი (84), 2:3 მოლატა (86პ), 3:3 ლეანდრო (90პ)

### ალემანია 1:2 ქემნიცი

0:1 კრუპნიკოვიჩი (6), 0:2 პოლეჩეკი (68), 1:2 გუზიკი (73)

### ვალდჰოფი 1:0 დუისბურგი

1:0 კატიჩი (24)

### ალენი 1:1 არმინია

1:0 ფაინბერი (36), 1:1 ვან დერ ვენი (89)

### ნიურნბერგი — გლადბახი

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 7 | 6 | 1 | 0 | 16:4 | 19 |
| ზაარბრიუკენი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:10 | 16 |
| ჰანოვერი | 8 | 4 | 3 | 1 | 17:8 | 15 |
| არმინია | 8 | 4 | 2 | 2 | 13:9 | 14 |
| გლადბახი | 7 | 3 | 4 | 0 | 15:6 | 13 |
| ზტ. პაული | 8 | 4 | 1 | 3 | 23:16 | 13 |
| ობერჰაუზენი | 8 | 4 | 1 | 3 | 15:11 | 13 |
| როიტლინგენი | 8 | 4 | 1 | 3 | 14:15 | 13 |
| მაინცი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:10 | 12 |
| ფიურტი | 8 | 3 | 2 | 3 | 16:11 | 11 |
| ალემანია | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 11 |
| ვალდჰოფი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:16 | 11 |
| ულმი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:16 | 8 |
| ქემნიცი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:17 | 7 |
| კიკერსი | 8 | 1 | 3 | 4 | 6:15 | 6 |
| დუისბურგი | 8 | 1 | 2 | 5 | 9:12 | 5 |
| ალენი | 8 | 0 | 4 | 4 | 11:21 | 4 |
| ოსნაბრუკი | 8 | 1 | 1 | 6 | 8:18 | 4 |

## ესპანეთი

### V ტური

#### რეალი 3:0 დეპორტივო

1:0 რაული (19), 2:0 იერო (45პ), 3:0 გუტი (87)
რეალი: კასილიასი (სესარი 69), კარანკა, რობერტო კარლოსი, იერო, სალგადო (ჯერემი 32), გუტი, მაკელელე, ფლავიო კონსეისაო (ელგერა 63), ფიგუ, რაული, მუნიტისი
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
დეპორტივო: მოლინა, სეზარ სამპაიო (ვალერონი 55), რომერო, ნაიბეტი, მანუელ პაბლო, ფრანი (ემერსონი 8), სკალონი (ვიქტორ სანჩესი 70), მაურო სილვა, დონატო, დიეგო ტრისტანი, ტურუ ფლორესი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: სეზარ სამპაიო, მუნიტისი, დონატო
75 000 მაყურებელი

#### სოსიედადი 0:6 ბარსელონა

0:1 რივალდო (2), 0:2, 0:3 ალფონსო (16, 19), 0:4 რივალდო (30პ), 0:5 ლუის ენრიკე (36), 0:6 სიმაო (40)
სოსიედადი: ასპერი, პიკაბეა (ხაურეგი 46), ლორენი, არანსაბალი, კორინო, ლოპეს რეკარტე, არანბურუ, ხოხლოვი (ხაბილონდო 51), არიფი (დე პაულა 46), იანკაუსკასი, კოლე
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ბარსელონა: დუტრუელი, სერხი, აბელარდო, პუიოლი, კოკუ (დე ბური 59), ლუის ენრიკე (გაბრი 69), ხავი, პეტი (დე ლა პენია 64), რივალდო, ალფონსო
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
გაფრთხილება: ლორენი, გაბრი, იდიაკესი
25 000 მაყურებელი

#### ვილიარეალი 1:1 ვალენსია

0:1 ხუან სანჩესი (59), 1:1 მოიზესი (64)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ბერუე, კანია, ამორი, გალვანი, ვიქტორი, კრაიოვიანუ (მოიზესი 60), კალეხა, ხორხე ლოპესი (ესკუდა 60)
მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე
ვალენსია: კანისარესი, კარბონი, ჯუკიჩი (პელეგრინო 70), აიალა, ანგლომა, ანგულო (ზაჰოვიჩი 76), ბარახა (ალბელდა 70), მენდიეტა, კარეუ, ხუან სანჩესი, კილი გონსალესი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
16 000 მაყურებელი

#### ნუმანსია 0:0 ბილბაო

ნუმანსია: ნუნიესი, პაჩეტა, გუსტავო, მუნისი, მანელი, მარინი, ნაგორე, ოქტავიო, ოხედა (როსუ 46), რუბენ ნავარო (დელგადო 62), ინიაკი (ხოსე მანუელი 85)
მწვრთნელი: ფრანსისკო ერერა ლორენსო
ბილბაო: ლაფუენტე, რობერტო რიოსი, ლაკრუსი, ლარასაბალი, ალკორტა, ალკისა (იესტე 56), ი. გერერო, ურუტია, ოსკარ ვალესი, ხავი გონსალესი (ესკერო 79), ურსაისი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო
გაფრთხილება: რობერტო რიოსი, მარინი, ლაკრუსი, დელგადო, ოსკარ ვალესი, ნაგორე, ურსაისი, ალკორტა
10 000 მაყურებელი

#### სარაგოსა 0:0 ვალიადოლიდი

სარაგოსა: ხუანმი, მონტენეგრო, რებოსიო, პაკო ხემესი, აგუადო, პაბლო, მარტინ ველისკა (ფერონი 73), გარიტანო (არაგონი 17), აკუნია, იორდი (პეტერნაკი 73), ხუანელე
მწვრთნელი: ლუის კოსტა
ვალიადოლიდი: რიკარდო, მარკოსი, გარსია კალვო, პაინცე, პენა, ტორეს გომესი, ჩირიჩი (კამინერო 79), ტურიელი, ეუსებიო, ფერნანდო სალესი (ჩემა 90), კავიედესი (ალბერტო 17)
მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო
გაფრთხილება: მარტინ ველისკა, ფერნანდო სალესი, ტურიელი, ჩირიჩი
24 000 მაყურებელი

#### ოსასუნა 0:0 ოვიედო

ოსასუნა: ნუნო, იანგუსი, მატეო, ვიდაკოვიჩი, კრუჩაგა, ალფრედო, პალასიოსი, ანხელი, არმენტანო (ივან როსადო 61), საბინო (ლეკუმბერი 39), სენა (ანხელ ლუისი 73)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ოვიედო: ესტებანი, ონოპკო (ნადი 9), ბორისი, მარტინოვიჩი, დანჟუ, ტომიჩი, ივან ანია, ამიევა (რუბენი 63), კეიტა, ოლი (მიოლერი 74), ლოსადა
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: იანგუსი, ალფრედო
გაძევება: იანგუსი (26)
14 938 მაყურებელი

#### სელტა 1:1 ალავესი

0:1 ხავი მორენო (3), 1:1 კარპინი (4)
სელტა: პინტო, მანოლო, ჯოროვიჩი, კასერესი, ველასკო, მოსტოვოი (ხესული 67), კარპინი, ჯოვანელა, დორივა, მაკარტი, გუსტავო ლოპესი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ალავესი: ერერა, ჟელი, ტელიესი, კარმონა, კონტრა, პაბლო (იბონ ბეგონია 77), ასტუდილიო, ტომიჩი, დესიო, ხავი მორენო, კრუიფი (მაგნო 72)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: მანოლო, ჟელი, ჯოვანელა, დესიო
20 000 მაყურებელი

#### ესპანიოლი 0:0 რაიო ვალეკანო

ესპანიოლი: მორა, პოჩეტინიო, ნანდო (მორალესი 46), კრისტობალი, ოსკარი (მანელი 67), არტეაგა (დე ლუკასი 62), ველამასანი, გალკა, სერხიო, როხერი, მარტინ პოსე
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, მინგო, ბალესტეროსი, დე კინტანა, ალკასარი, მიჩელი, სეტვალსი (მაურო 53), პოშნერი, კევედო, პელდერი (პაბლო სანსი 62; ივან იგლესიასი 72), ბოლო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ველამასანი, მინგო, არტეაგა, დე კინტანა, პოშნერი
გაძევება: პოშნერი (85)
12 100 მაყურებელი

#### მალიორკა 2:1 რასინგი

0:1 რუშფელდტი (45), 1:1 ლუკე (52), 2:1 კარლოსი (85)
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, ნადალი, ფერნანდო ნინიო, ოლაიზოლა, ნოვო (იბაგასა 49), მარკოსი (კარლოსი 65), ენგონგა, ფინიდი (ჩიჩი სოლერი 74), ლუკე, ეტოო
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
რასინგი: სებალიოსი, ნაფტი, სიეტესი, მელბერგი, ამავისკა (კოლსა 82), ესპინია, ხაიმე, პრეხიადო (მორანი 53), რუშფელდტი, პინედა, მანხარინი (ჩემა 66)
მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა
გაფრთხილება: ოლაიზოლა, მელბერგი, სიეტესი, ჩემა, კოლსა
14 695 მაყურებელი

#### ლას პალმასი 2:1 მალაგა

0:1 ვალკარსე (60), 1:1 ულარე (76), 2:1 ხორხე (83)
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ბაიანო (ედუ ალონსო 77), პაკუი, შურერი, მოლინა, გიარე (ორლანდო 74), ხორხე, სემვისი, ულარე, პაბლო ლაგო, ანხელი
მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი
მალაგა: კონტრერასი, ვალკარსე, ლარაინსარი, ბრავო, ზარატე (ბასტი 65), დე ლოს სანტოსი, მოვილია, რუფეტე, რუანო, დელი ვალდესი, აგოსტინო (სანდრო 83)
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: შურერი, რუანო, ბრავო, ხორხე, ლარაინსარი
18 000 მაყურებელი

# ვილას ახსოვს გვარდიოლა



REUTERS სან სებასტიანიდან

სოსიედადი — ბარსელონა 0:6. სიმაო საბროსა (ფრენა) არანსაბალის (ხოხვის) წინააღმდეგ

**ათ მატჩში** ექვსი ფრე, მათგან ოთხი — 0:0. რაღა შორეულ წარსულში ვეძიოთ, წინა სეზონში იყო ამის მსგავსი ერთი ტური, 37-ე, ბოლოსწინა. მაშინ, 14 მაისს, უგოლოდ „სოსიედადი" — „ბარსელონაც" დასრულდა...

აშკარად არ გაუმართლათ ბასკებს. მთელი ბოღმა, რომელიც კატალონიელებს ოთხი წაგებისა და ლანძღვაგინების შემდეგ დაგროვებოდათ, მათზე იყარეს. ან ეს 0:6 რა უბედურებაა, არც წინა ოთხ ტურში და არც წინა სეზონში ასეთი ანგარიშით ერთი შეხვედრაც არ დასრულებულა, ხოლო „სოსიედადი" 1968 წელს „რელთან" 1:9 წაგების მერე ასე არ შერცხვენილა.

ამას სტუმართა უჩვეულო სასტარტო შემადგენლობაც დავუმატოთ, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით რაიციგერი, ფრანკ დე ბური, გვარდიოლა, ხერარდი, ოვერმარსი და კლუივერტი აკლდა. მოკლედ, „ბარსელონამ" საკუთარ თავს არ უღალატა — ის ან საზიზღრად თამაშობს, ან დიდებულად.

თითოეული ბარსელონელი ფეხბურთელი შექების ღირსია, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოვარჩიოთ — 20 წლის ხავი ერნანდესი. ესპანეთში სეზონი თვეზე მეტია, რაც დაიწყო, მაგრამ ხავი პირველად გამოჩნდა კლუბში, რაკილა იქამდე ნაკრებს ეხმარებოდა ოლიმპიური ვერცხლის მოპოვებაში. ხავი აკონტროლებდა მოედნის ცენტრს, განსაზღვრავდა შეტევის მიმართულებებს. ერთი სიტყვით, აკეთებდა იმას, რაც ჩვეულებრივ ხოსეპ გვარდიოლას მოვალეობაა და რაც მთავარია, აკეთებდა გვარდიოლასავით. მატჩის შემდეგ ბარსელონელთა მწვრთნელმა ლორენს სერა ფერერმა თქვა: „ხავიმ გვარდიოლას არყოფნა დაგვავიწყა".

ახლა „სოსიედადი" ბოლო ადგილზეა, ფერერმა კი ბარსელონელებს კვირას დასვენება უბოძა. ფეხბურთელებს ეს ნამდვილად სჭირდებათ — მათი მომდევნო მეტოქეები „მილანი", „რეალი" და „ლიდსი" არიან.

აქამდე ოთხ დაუმარცხებელ გუნდს ერთი გამოაკლდა — „დეპორტივო", მისმა მძლეველმა „რეალმა" კი მეხუთე ადგილიდან პირველზე აინაცვლა.

„სამეფო კლუბმა" პირწმინდად დაჯაბნა მოქმედი ჩემპიონი. მე-19 წუთზე რაულმა და ფიგუმ სკეპტიკოსებს დაუმტკიცეს, რომ ეჭვი მათი შეუთამაშებლობის შესახებ საფუძველს მოკლებულია. მერე სტუმართა საჯარიმოში წააქციეს რობერტო კარლოსი. ეს, მართალია, პირველი ტაიმის, მაგრამ მაინც ბოლო წუთზე მოხდა, რამაც ხალხს რაულის გაფუჭებული პენალტები გაახსენა. თუმცა „რეალს" ჰყავს უბადლო მეპენალტე ფერნანდო იერო, რომელიც თამაშში ძველებურად ვეღარ ბრწყინავს, თერთმეტი მეტრიდან კი ბურთს კარს არ აცილებს. მატჩის მიწურულს გუტიმ მესამეც შეაგდო. ამ ფეხბურთელმა ახლახან 2005 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი მადრიდულ კლუბთან.

„ვილიარეალი" პრიმერადივიზიონის ახალწვეულია, „ვალენსია" — ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი. ამის გათვალისწინებით მათი თამაშის შედეგი, ფრე, თითქოს ვილიარეალელთა გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს, რომ პირველი გოლი ვალენსიელებმა შეაგდეს. თუმცა არც მთლად ასე იყო. სტუმრები საკმაოდ დაბნეულები ჩანდნენ და საგოლე მომენტებიც მეტოქეზე ნაკლები ჰქონდათ. ამ მატჩზე კიდევ ის ვთქვათ, რომ ხუთ მატჩში ექვსი გოლის გამტანი ვალენსიელი ხუან სანჩესი უპირველესი ბომბარდირია.

„ვალენსიას" რომ მოეგო, „რეალი" ლიდერი ვერ იქნებოდა. „რეალი" ვერც იმ შემთხვევაში ალზევდებოდა ცხრილის სათავეში, „სელტას" „ალავესთან" ქულა რომ არ გაეყო.

მატჩის ოქმიდან ჩანს, რომ ვიგოში ყველაფერი ხუთ წუთში მოთავებულა. ყველაფერში გოლებს ვგულისხმობთ, თორემ საგოლე მომენტები „ალავესის" კართან იმდენი იყო, თვლა გაჭირდება. ვალერი კარპინი და ანტონიო ხესული, ბენი მაკკარტი და გუსტავო ლოპესი — მომენტი ყველას ჰქონდა. საოცარია, ასეთი რა ჯადო ეცხო მარტინ ერერას კარს.

მივულოცოთ „მალიორკას" და „ლას პალმასს". მათ პირველი გამარჯვება მიითვალეს, ბოლო და ბოლოსწინა ადგილებს ასცდნენ და აუტსაიდერობა, ზემოთაც ვთქვით, „სოსიედადს" დაუთმეს. ისე, სან სებასტიანელებს კიდევ არა უშავთ, წვიმის გამო გადადებული მეორე ტაიმი „ესპანიოლთან" მარაგში აქვთ (პირველი ტაიმის მერე 2:1 იგებენ), „სარაგოსას" ასეთი დაკნინება განა უცნაური არ არის? გუნდი წინა სეზონში მეოთხე იყო, ყველაზე ცოტა მატჩი წააგო და ბედის უკუღმართობით ვერ მოხვდა ჩემპიონთა ლიგაში. კიდევ კარგი, ვერ მოხვდა! აბა, გვინდა ასეთი გუნდი ლიგაში?

**გიორგი დარჯანია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:5 | 7 | 11 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 9 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 2 | ვალენსია | 5 | 3 | 1 | 1 | 14:4 | 10 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 |
| 3 | დეპორტივო | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 |
| 4 | სელტა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 3 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 5 | რაიო | 5 | 2 | 3 | 0 | 10:3 | 7 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 5 |
| 6 | ბარსელონა | 5 | 3 | 0 | 2 | 12:7 | 5 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 7:5 | 2 | 3 |
| 7 | ალავესი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 8 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 5 |
| 8 | ვილიარეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:6 | -2 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 9 | ვალიადოლიდი | 5 | 1 | 4 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 |
| 10 | ბილბაო | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | -2 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 3 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | -5 | 1 |
| 11 | ნუმანსია | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 |
| 12 | ოვიედო | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | -2 | 1 |
| 13 | ოსასუნა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 14 | ლას პალმასი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:12 | -6 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:7 | -4 | 1 |
| 15 | ესპანიოლი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 16 | მალაგა | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 3 |
| 17 | მალიორკა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | -5 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |
| 18 | სარაგოსა | 5 | 0 | 3 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 19 | რასინგი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | -6 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 1 |
| 20 | სოსიედადი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:13 | -9 | 2 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:9 | -6 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხუან სანჩესი (ვალენსია) | 6 |
| ხავი მორენო (ალავესი) | 5 |
| გუტი (რეალი) | 4 |
| რივალდო (ბარსელონა) | 4 |

### VI ტური

21 ოქტომბერი
ბარსელონა — რეალი

22 ოქტომბერი
რაიო — სოსიედადი
ალავესი — ესპანიოლი
ოვიედო — სელტა
ვალიადოლიდი — ოსასუნა
ვალენსია — სარაგოსა
მალაგა — ვილიარეალი
ბილბაო — ლას პალმასი
რასინგი — ნუმანსია
დეპორტივო — მალიორკა

## მეორე დივიზიონი

### VII ტური

#### ბეტისი 2:0 უნივერსიდადი

1:0 ამატო (40), 2:0 ხოაკინი (69)

#### ბადახოსი 0:0 ატლეტიკო

#### ხეტაფე 1:2 სალამანკა

1:0 პარადო (24), 1:1 კ. მუნტიანუ (80), 1:2 კიკე მარტინი (83)

#### ლევანტე 2:3 მურსია

0:1 მენდესი (5), 1:1 კაიკუ (18), 2:1 სალილიასი (33), 2:2 ლორეტო (82), 2:3 ლუის ხილი (87)

#### ელჩე 1:1 ლეგანესი

1:0 ნინიო (9), 1:1 მიგელ ანხელი (17)

#### ალბასეტე 2:1 ლეიდა

0:1 ტორილი (20პ), 1:1 რამონი (29), 2:1 კორონა (62)

#### სპორტინგი 3:0 სევილია

1:0 ჩერიშევი (14), 2:0 სანჩეს ხარა (78), 3:0 სოტო (87)

#### უელვა 3:0 ეიბარი

1:0 ხისკო (7), 2:0, 3:0 დავიდი (56, 81)

#### ხაენი 0:0 ესტრემადურა

#### კომპოსტელა 0:2 ტენერიფე

0:1 ლუის გარსია (18), 0:2 ბარატა (25)

#### ფეროლი 0:2 კორდობა

0:1 ტენა (38), 0:2 მანოლო (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 7 | 5 | 1 | 1 | 9:6 | 16 |
| კორდობა | 7 | 4 | 2 | 1 | 6:2 | 14 |
| ხაენი | 7 | 4 | 2 | 1 | 5:2 | 14 |
| უელვა | 7 | 3 | 4 | 0 | 6:1 | 13 |
| ტენერიფე | 7 | 3 | 3 | 1 | 10:3 | 12 |
| ლევანტე | 7 | 3 | 3 | 1 | 11:6 | 12 |
| მურსია | 7 | 3 | 2 | 2 | 12:10 | 11 |
| ელჩე | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 11 |
| სალამანკა | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 10 |
| ლეგანესი | 7 | 2 | 4 | 1 | 8:7 | 10 |
| ალბასეტე | 7 | 3 | 1 | 3 | 6:8 | 10 |
| სპორტინგი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:5 | 9 |
| ბეტისი | 7 | 2 | 3 | 2 | 6:5 | 9 |
| ბადახოსი | 7 | 1 | 5 | 1 | 4:4 | 8 |
| ესტრემადურა | 7 | 1 | 4 | 2 | 4:6 | 7 |
| ეიბარი | 7 | 1 | 4 | 2 | 3:5 | 7 |
| ატლეტიკო | 7 | 1 | 3 | 3 | 5:8 | 6 |
| კომპოსტელა | 7 | 1 | 2 | 4 | 4:8 | 5 |
| ფეროლი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:12 | 5 |
| ლეიდა | 7 | 1 | 2 | 4 | 3:9 | 5 |
| ხეტაფე | 7 | 1 | 2 | 4 | 3:10 | 5 |
| უნივერსიდადი | 7 | 0 | 3 | 4 | 1:7 | 3 |

# ნემსაძემ იცის...

## შოტლანდია

XI ტური

**აბერდინი 0:2 დანდი**

0:1 ბონეტი (29), 0:2 კანიჯა (90)

აბერდინი: დუგლასი, სმიტი, მაროკო, დე მარკი, ტვიდი, არტერო (კარანცა 81), ბონეტი, რაე, რომანო, სარა (ნემსაძე 58), მილნი (კანიჯა 44)

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

14 750 მაყურებელი

**სელტიკი 2:0 სენტ მირენი**

1:0 სატონი (33), 2:0 ლარსონი (85)

**დანდი იუნ. 0:4 ჰართსი**

0:1 ტომაშეკი (8), 0:2, 0:3 კირკი (25, 30), 0:4 ჯეიმსი (80)

**ჰიბერნიანი 1:0 რეინჯერსი**

1:0 ზიტელი (23)

**კილმარნოკი 2:1 დანფერმლაინი**

0:1 კროუფორდი (30), 1:1 კანერო (37პ), 2:1 მოლტი (83)

**მოზერუელი 4:0 სენტ ჯონსტონი**

1:0 დოდსი (20ს.კ.), 2:0 მაკკალოხი (26), 3:0 ბრანანი (64), 4:0 ელიოტი (71)

„ბოლო წუთი იყო, როცა გიორგი ნემსაძემ მოედნის შუაგულში იხელთა ბურთი და „აბერდინის“ კარისკენ დაიძრა. გზად დამხვდურნი მოატყუა და შედგა... მიხვდა, რას ელოდა დანდიდან ჩასული 3 ათასამდე კაცი და ბურთი კლაუდიო კანიჯას გაუჭრა. ამანაც ზუსტი დაარტყა.“ ასე აღწერს ერთ-ერთი შოტლანდიელი მიმომხილველი „დანდის“ მეორე გოლს, პირველი კი მასპინძელთა კარში ჯერ კიდევ 29-ე წუთზე მოთამაშე-მწვრთნელმა ივანო ბონეტიმ შეაგდო 25 მეტრიანი დარტყმით. ამ დროს მოედანზე არც ნემსაძე იყო და არც კანიჯა.

სახელგანთქმული არგენტინელის სანახავად აბერდინის „დენს პარკზე“ 14 750 კაცი მოგროვდა. კანიჯა სასტარტოში არ იყო, მაგრამ მისი დებიუტი მხოლოდ 44 წუთით გადაიდო — შესვენებამდე ორიოდ წუთით ადრე მილნი დაშავდა და ივანოს ძმამ, დარიო ბონეტიმ „რომას“ და „ბოკა ხუნიორსის“ ყოფილი ფორვარდი იხმო. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კლაუდიოს პირველი მატჩი პროვინციულ სქოთურ გუნდში წარმატებული გამოდგა. გოლი ერთია და მანამდე, კანიჯასთან უხეშად თამაშისთვის, მასპინძლებს ახალგაზრდა ფილიპ მაკგაირი გაუძევეს. ამით მსაჯმა გუნდების შემადგენლობები გაათანაბრა — 55-ე წუთზე დანდელმა გევინ რაემ დაარტყა სახეში იმავე მაკგაირს. „ასეთ რამეს აღარასდროს ჩავიდენ“ — შეპირდა მწვრთნელს რაე. „ჩაიდენ და 5 ათასსაც გადაიხდი“ — იყო პასუხი.

სანამ „დანდი“ აბერდინში ხარობდა, ქალაქის მეორე გუნდი „იუნაიტედი“ მე-11 მატჩში მეცხრედ მარცხდებოდა. შედეგად, ერთ დროს ცნობილი კლუბის თავმჯდომარემ, 61 წლის ჯიმ მაკლინმა პოსტი მიატოვა. ამ კაცმა „დანდი იუნაიტედი“ 1971 წელს ჩაიბარა და მეორეხარისხოვანი გუნდის სახელი ევროპაშიც გაიტანა: 1983 წელს „იუნაიტედი“ შოტლანდიის ჩემპიონი გახდა, მომავალ სეზონში ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გავიდა (სადაც „რომამ“ მსაჯების დახმარებით დაამარცხა), 1987-ში კი უეფას თასი მხოლოდ ფინალში, შვედურ „გიოტებორგთან“ დათმო.

„დანდი იუნაიტედი“ ახალ თავმჯდომარეს მომავალ კვირაში აირჩევს, თუმცა ახლა ამას თავი ვანებოთ და სქოთური ფეხბურთის ყველა დროის ლიდერებს მივხედოთ.

დახეთ ცხრილს? დედაქალაქის „ჰიბერნიანი“ მურმანის ეკალივით გაჩხერილა ორ გლაზგოურ ბობოლას შორის. „სელტიკს“ ეს ნაკლებად ადარდებს — შაბათს კრის სატონმა სეზონში თავის მეცხრე გოლით გახსნა ანგარიში „სენტ მირენთან“, მერე კი ჰენრიკ ლარსონმა თავის მე-14 გოლი ჯარიმიდან შეაგდო.

აი, „რეინჯერსმა“ კი წააგო. წააგო სწორედ ეკლიან „ჰიბერნიანთან“, რომლის ფრანგ თავდამსხმელ დავიდ ზიტელის „რეინჯერსის“ კარის აღება არ ესწავლება — ჯერ კიდევ 1997-ში მისი დახმარებით „სტრასბურმა“ სქოთური კლუბი უეფას თასიდან გააძევა. ახლაც ზიტელიმ შეაგდო. და რადგან გაძევებაც ვახსენეთ, ისაც ვთქვათ, რომ რუს კანჩელსკის, სანამ მოედნიდან დაითხოვდნენ, ყვითელი ბარათი სიმულაციისთვის უჩვენეს.

კმაყოფილი გახლდათ „ჰიბსის“ მწვრთნელი ალექს მაკლიში, თუმცა: „თუ „სელტიკისა“ და „რეინჯერსის“ ფინანსურ ძალას გავითვალისწინებთ, ასეთ მარათონში მათთან ბრძოლა ძალიან ძნელია, მთლად თუ შეუძლებელი არა. ისე, სანამ ტრავმები არ გვაწუხებს, შანსი გვაქვს“ — მაკლიში ყველაფერს რეალურად აფასებს.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 10 | 9 | 1 | 0 | 24:8 | 28 |
| ჰიბერნიანი | 11 | 8 | 2 | 1 | 20:5 | 26 |
| რეინჯერსი | 10 | 7 | 1 | 2 | 21:13 | 22 |
| კილმარნოკი | 11 | 6 | 2 | 3 | 14:11 | 20 |
| ჰართსი | 11 | 4 | 4 | 3 | 17:11 | 16 |
| დანდი | 11 | 4 | 4 | 3 | 14:10 | 16 |
| აბერდინი | 10 | 2 | 5 | 3 | 11:13 | 11 |
| სტ. ჯონსტონი | 10 | 2 | 5 | 3 | 9:15 | 11 |
| დანფერმლაინი | 11 | 2 | 3 | 6 | 8:17 | 9 |
| მოზერუელი | 11 | 2 | 2 | 7 | 9:15 | 8 |
| სენტ მირენი | 11 | 2 | 1 | 8 | 6:16 | 7 |
| დანდი იუნ. | 11 | 0 | 2 | 9 | 6:25 | 2 |




ჰიბერნიანი — რეინჯერსი 1:0. გლაზგოელი თურქი თუგაი (მარჯვნივ) მასპინძელ ჯონ ონილთან ბრძოლაში

## ბელგია

IX ტური

**აალსტი 0:2 ბრიუგე**

0:1 იანსენი (70), 0:2 ვერმანტი (90)

**ვესტერლო 2:1 ლუვიე**

1:0 მახელსი (10), 1:1 ბიულინქსი (20), 2:1 მიტროვიჩი (46)

**ჰარელბეკე 1:0 მეხელენი**

1:0 ვოსტინი (2)

**ანდერლეხტი 2:1 გენტი**

1:0 რაძინსკი (1), 1:1 კრუჩე (28), 2:1 კოლერი (40)

**შარლერუა 1:0 ლოკერენი**

1:0 დ. ბრონი (63)

**ბევერენი 0:3 სტანდარდი**

0:1 დრაგუტინოვიჩი (17), 0:2 გუსენსი (27), 0:3 აარსტი (66)

**სენტ ტრუიდენი 3:2 ბეერსხოტი**

1:0 ისაიაში (28), 2:0 მბონაბუკა (43), 3:0 ტემერსი (53), 3:1, 3:2 სევერინსი (78, 88)

**ანტვერპენი 1:0 მუსკრონი**

1:0 გოოტსი (48)

**ლიერსი 1:1 გენკი**

1:0 სომერსი (58), 1:1 პაასი (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 9 | 9 | 0 | 0 | 34:8 | 27 |
| ანდერლეხტი | 9 | 7 | 2 | 0 | 29:11 | 23 |
| სტანდარდი | 9 | 6 | 1 | 2 | 27:12 | 19 |
| შარლერუა | 9 | 6 | 0 | 3 | 18:16 | 18 |
| ვესტერლო | 9 | 5 | 2 | 2 | 18:15 | 17 |
| მუსკრონი | 9 | 5 | 1 | 3 | 21:10 | 16 |
| ლიერსი | 9 | 5 | 1 | 3 | 18:12 | 16 |
| გენტი | 9 | 5 | 1 | 3 | 21:17 | 16 |
| ლოკერენი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:11 | 13 |
| ბეერსხოტი | 9 | 4 | 0 | 5 | 15:15 | 12 |
| გენკი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:10 | 10 |
| ბევერენი | 9 | 2 | 2 | 5 | 5:16 | 8 |
| ჰარელბეკე | 9 | 2 | 1 | 6 | 13:27 | 7 |
| სტ. ტრუიდენი | 9 | 1 | 3 | 5 | 9:15 | 6 |
| ანტვერპენი | 8 | 2 | 0 | 6 | 7:15 | 6 |
| ლუვიე | 9 | 1 | 3 | 5 | 6:18 | 6 |
| აალსტი | 9 | 1 | 1 | 7 | 6:25 | 4 |
| მეხელენი | 9 | 0 | 2 | 7 | 10:25 | 2 |

## თურქეთი

მე-8 ტური. ერზურუმი — გენჩლერბირლიგი 1:2; ფენერბაჰჩე — რიზე 1:0; სამსუნი — ქოჯაელი 0:1; ანკარაგიუჯიუ — ანთალია 1:1; გალათასარაი — იეთფა 4:1; გაზიანთეფი — იოზგათი 3:1; ბურსა — ისთანბული 2:5; ტრაბზონი — ბეშიქთაში 2:0; ადანა — დენიზლი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 8 | 6 | 1 | 1 | 24:6 | 19 |
| ტრაბზონი | 8 | 6 | 1 | 1 | 16:5 | 19 |
| ფენერბაჰჩე | 8 | 6 | 0 | 2 | 16:9 | 18 |
| გაზიანთეფი | 8 | 5 | 2 | 1 | 20:9 | 17 |
| ბეშიქთაში | 8 | 5 | 1 | 2 | 18:10 | 16 |
| გენჩლერბირ. | 8 | 5 | 1 | 2 | 12:10 | 16 |
| ანთალია | 8 | 3 | 3 | 2 | 11:8 | 12 |
| სამსუნი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | 11 |
| დენიზლი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | 11 |
| ანკარაგიუჯიუ | 8 | 3 | 2 | 3 | 9:13 | 11 |
| ისთანბული | 8 | 3 | 2 | 3 | 9:13 | 11 |
| ადანა | 8 | 2 | 3 | 3 | 14:13 | 9 |
| იოზგათი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:11 | 8 |
| ერზურუმი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:18 | 7 |
| რიზე | 8 | 1 | 3 | 4 | 5:8 | 6 |
| ქოჯაელი | 8 | 1 | 1 | 6 | 4:14 | 4 |
| ბურსა | 8 | 0 | 3 | 5 | 6:20 | 3 |
| იეთფა | 8 | 0 | 2 | 6 | 10:24 | 2 |

# ბრძოლაც და დაჭრილიც

## საფრანგეთი

XI ტური

**ოსერი 0:2 ბორდო**

0:1 ლევცინსკი (23), 0:2 აგბო (76ს.კ.)

**სტრასბური 0:5 ნანტი**

0:1 სავინო (17), 0:2 არმანი (27), 0:3, 0:4 ვაირუა (41, 45), 0:5 კარიერი (88)

**რენი 1:0 ლანსი**

1:0 ლუკასი (44)

**სედანი 2:1 სენტ ეტიენი**

1:0 მიონე (8), 1:1 სანჩესი (20), 2:1 სატორა (54)

**მეცი 2:2 ტრუა**

1:0 ალი (52), 1:1 სელესტინი (60), 1:2 ს. ჯუკიჩი (89), 2:2 ბატიკლი (90)

**ლილი 1:1 გენგამი**

1:0 ბუტუა (50), 1:1 კოლო (55)

**ბასტია 0:2 მონაკო**

0:1 გალიარდო (65), 0:2 ელუა (67)

**პარი სენ ჟერმენი 2:0 მარსელი**

1:0 რობერი (62), 2:0 კრისტიანი (90)

**ლიონი — ტულუზი**

ძლიერი წვიმის გამო გადაიდო

ტურში ბევრი საინტერესო თამაში იყო, მაგრამ თქვენს ყურადღებას მხოლოდ ერთ მათგანზე შევაჩერებთ: „პარი სენ ჟერმენმა“ „მარსელს“ უმასპინძლა. ესენი ერთმანეთისთვის მეტოქეებზე მეტად მტრები არიან და მათი თამაშები ბრძოლებს უფრო ჰგავს ხოლმე, ვიდრე უცოდველ ბურთის გორებას.

ამჯერადაც ძალიან დაძაბულად წარიმართა შეხვედრა, თუმც სანახაობრივად დიდი ვერაფერი გამოდგა. პირველი შეტევა პირველივე წუთზე სტუმრებმა განახორციელეს, მაგრამ ბაკაიოკოს თავური ლეტიზის კარს ასცდა. შემდეგ ერთგვარი სიმშვიდე გამეფდა მოედანზე, თითქოს მატჩის მნიშვნელობამ ფეხბურთელები დააძაბუნაო. პირველი ამ სეზონში მარსელიდან პარიზში გადაბარგებული ლუქსენი გამოერკვა და მე-14 წუთზე დაახლოებით 16 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ ტრევიზანი საიმედოდ იდგა. ტაიმის მიწურულს ინიციატივა მთლიანად „მარსელის“ მხარეს გადავიდა და მათ ბრაზილიელ ლეგიონერ მარსელინიოს ორჯერ შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ორჯერვე ლეტიზიმ ითამაშა მშვენივრად და ძნელი ბურთები მოიგერია.

შესვენების შემდეგ თამაში ორმხრივი იერიშებით განახლდა. გოლის გატანა შეეძლოთ ბაკაიაკოსა და ანელკას, მაგრამ ბოლო მომენტებში სცოდავდნენ. ახლოს იყო მიზანთან მარსელინიოც, ოღონდ ლეტიზიმ კიდევ ერთხელ იხსნა თავისიანები. წუთში კი ალჟერინოს ჩაწოდებით რობერმა თავისი მერვე გოლი გაიტანა ჩემპიონატში. ამის მერე კი უპირატესობა მთლიანად მასპინძელთა მხარეს იყო და მიუხედავად ნგოტის 25 მეტრიდან საშინელი ძალით დარტყმული ჯარიმისა, გოლის გატანა უფრო პარიზელებს შეეძლოთ და მოახერხეს კიდეც — ანელკამ მსაჯის მიერ წამატებულ დროში კრისტიანს ისეთი პასი მისცა, არ გაეტანა, არ იქნებოდა.

თუ ფეხბურთელები ამჯერად შედარებით მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს, სამაგიეროდ, „მარსელის“ ერთი ქომაგი კინაღამ საიქიოს გზას გაუყენეს პარიზელებმა. წარმოშობით ტრუას მკვიდრ 18 წლის ბიჭს, რომელიც ქვედა იარუსზე იჯდა, ზევიდან პარიზელების მიერ ნასროლი სკამი მოხვდა და თავი გაუტყდა. ექიმების თქმით, ჭრილობა საკმაოდ სერიოზულია, მაგრამ ახალგაზრდას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სამართალდამცავებმა კი თავის მხრივ ქვეყანა დაარწმუნეს, ხულიგანს უეჭველად ვიპოვით, მისი სკამის ნომერიც ვიცით და ვიდეოჩანაწერიც გვაქვსო. ვაი-გულშემატკივრის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში თავად „პარი სენ ჟერმენმა“ შეიტანა.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 11 | 6 | 3 | 2 | 23:14 | 21 |
| ბასტია | 11 | 6 | 1 | 4 | 15:12 | 19 |
| მონაკო | 11 | 5 | 3 | 3 | 18:14 | 18 |
| სედანი | 11 | 5 | 3 | 3 | 15:13 | 18 |
| ბორდო | 11 | 4 | 4 | 3 | 16:12 | 16 |
| ლილი | 11 | 4 | 4 | 3 | 13:9 | 16 |
| ტრუა | 11 | 4 | 4 | 3 | 17:15 | 16 |
| ლანსი | 11 | 4 | 4 | 3 | 11:11 | 16 |
| რენი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:10 | 15 |
| ნანტი | 11 | 4 | 3 | 4 | 18:17 | 15 |
| გენგამი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:13 | 15 |
| მეცი | 11 | 4 | 3 | 4 | 10:11 | 15 |
| ლიონი | 10 | 3 | 5 | 2 | 11:9 | 14 |
| მარსელი | 11 | 4 | 2 | 5 | 12:14 | 14 |
| ოსერი | 11 | 4 | 1 | 6 | 10:13 | 13 |
| სენტ ეტიენი | 11 | 2 | 4 | 5 | 17:22 | 10 |
| სტრასბური | 11 | 3 | 1 | 7 | 10:27 | 10 |
| ტულუზი | 10 | 1 | 3 | 6 | 8:14 | 6 |

### მეორე დივიზიონი

მე-15 ტური: მონპელიე — ნანსი 1:1; ანჟერი — კრეტეი 1:1; კანი — ლორიანი 1:2; შატორუ — ლავალი 0:0; ლე ავრი — ვასკეალი 1:1; მარტიგი — ბოვე 0:0; ნიორი — კაენი 2:0; სოშო — გენიონი 3:0; ლე მანი — ნიცა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 15 | 9 | 3 | 3 | 28:12 | 30 |
| ლავალი | 15 | 9 | 3 | 3 | 21:12 | 30 |
| მონპელიე | 14 | 8 | 4 | 2 | 21:12 | 28 |
| ნიორი | 15 | 7 | 5 | 3 | 21:14 | 26 |
| ლორიანი | 14 | 7 | 5 | 2 | 19:12 | 26 |
| ნანსი | 15 | 6 | 5 | 4 | 16:9 | 23 |
| ლე ავრი | 15 | 5 | 7 | 3 | 18:12 | 22 |
| შატორუ | 15 | 5 | 6 | 4 | 19:17 | 21 |
| კრეტეი | 15 | 5 | 5 | 5 | 14:13 | 20 |
| ნიმი | 14 | 5 | 4 | 5 | 18:22 | 19 |
| კაენი | 15 | 5 | 4 | 6 | 17:22 | 19 |
| ვასკეალი | 15 | 4 | 6 | 5 | 15:14 | 18 |
| ლე მანი | 15 | 3 | 8 | 4 | 15:15 | 17 |
| მარტიგი | 15 | 3 | 8 | 4 | 11:13 | 17 |
| ნიცა | 15 | 5 | 2 | 8 | 14:22 | 17 |
| ბოვე | 15 | 2 | 7 | 6 | 12:19 | 13 |
| ანჟერი | 15 | 2 | 6 | 7 | 15:25 | 12 |
| გენიონი | 15 | 2 | 6 | 7 | 9:19 | 12 |
| აიაჩო | 14 | 3 | 3 | 8 | 9:20 | 12 |
| კანი | 15 | 2 | 5 | 8 | 18:26 | 11 |

## რუსეთი

XXVII ტური

**ცსკა 5:0 ნ. ნოვგოროდი**

1:0 კულიკი (3), 2:0 საველიევი (30), 3:0 ფილიპენკოვი (32), 4:0 სემაკი (56პ), 5:0 ბიჩკოვი (87)

**ანჟი 2:2 დინამო**

0:1 გოგნიევი (5), 1:1 ბუდუნოვი (15), 1:2 რომაშჩენკო (78), 2:2 ალექსეევი (87)

**როტორი 3:0 სატურნი**

1:0 პავლიუჩენკო (7), 2:0 ოსინოვი (33), 3:0 ესიპოვი (45პ)

**ფაკელი 2:2 ჩერნომორეცი**

1:0 დეგტიარევი (13), 1:1 პრიზეტკო (28), 1:2 პოპოვი (36), 2:2 გარასი (62)

**კრილია 0:1 ზენიტი**

0:1 ოგოროდნიკი (76)

**ლოკომოტივი 3:0 როსტსელმაში**

1:0 ტერიოხინი (14), 2:0 ლოსკოვი (22პ), 3:0 ჯანაშია (33)

**ურალანი 0:4 ალანია**

0:1 აშვეთია (6), 0:2, 0:3 თედეევი (12, 67), 0:4 ბაზაევი (71)

„**ჩვენ** ეს სტადიონი დავიქირავეთ, ამიტომ გულშემატკივრებს უფლება არ აქვთ, სკამები მოგლიჯონ და მაშხალები აანთონ, მაგრამ არც ომონელებს ეკადრებათ ხალხის ასე უმოწყალოდ ცემა. ალბათ, ასეთ სიტუაციაში მართებული იქნებოდა ცოტა ხნით მატჩი შეგვეჩერებინა. მართალი გითხრათ, ჩვენი გულშემატკივრების ასეთი ქცევა გამიკვირდა, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ყოველთვის მინდა, ისინი როგორმე დავიცვა“ — მოსკოვის „ლოკომოტივის“ მწვრთნელის, იური სიომინის ეს სიტყვები ალალად ჟღერს.

სიომინი მართლაც ვაჟკაცურად მოიქცა. მისი გუნდი მოსკოვის გარეუბანში, რამენსკოეში „როსტსელმაშს“ 3:0 უგებდა, როცა მასპინძელ გულშემატკივრებსა და ომონს შორის ჩხუბი ატყდა. ამბობენ, სიომინი რომ დროზე არ ჩარეულიყო, დიდი ამბები დატრიალდებოდაო.

„ლოკომოტივმა“ სტუმრებს პირველ ტაიმშივე მოუთავა ხელი. დაწყებიდან ნახევარ საათს სულ სამი წუთი გადასცდენოდა, როცა ზაზა ჯანაშიამ მესამე შეაგდო და ბრძოლაც დამთავრდა. სხვათა შორის, ზაზამ, რომელსაც წინა ტურში ტვინის შერყევა დაემართა და ქართველთა ეროვნულ გუნდს ლიტვა-იტალიაში ვერ გაჰყვა, იმ შუალედში ამხანაგურის თამაშიც მოასწრო და გაციებაც. „როსტსელმაშთან“ პირველი ტაიმის შემდეგ ის შეცვალეს. სიომინმა კი ეს თქვა: „ზაზას სიცხე ჰქონდა და დასუსტებულია. თანაც, პიმენოვსაც ვერ დავტოვებთ უთამაშებელს“. ალბათ მიხვდით, ჯანაშია პიმენოვმა შეცვალა.

ამ გამარჯვების შემდეგ „ლოკომოტივი“ სამი ქულით ჩამორჩება „სპარტაკს“ და მართალია ჩვენი რუსი კოლეგები ამბობენ, „სპარტაკი“ უკვე ჩემპიონიაო, რკინიგზელებს თავისი ვარსკვლავისა ჯერ კიდევ სჯერათ.

„ბრინჯაოს მატჩი“ მახაჩყალაში გაიმართა. იქაურმა „ანჟიმ“ დამთავრებამდე სამი წუთით ადრე გაათანაბრა და ერთი ქულა მიითვალა, მოსკოვის „დინამოს“ კი ორი დააკარგვინა. ახლა „ანჟი“ ისევ მესამე პოზიციაზეა და ორი ქულით უსწრებს დედაქალაქელ ტორპედოელებს, მაგრამ დარჩენილი კალენდარი ერთობ რთული აქვს და როგორც ამბობენ, დღევანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 27 | 20 | 1 | 6 | 64:28 | 61 |
| ლოკომოტივი | 27 | 17 | 7 | 3 | 38:16 | 58 |
| ანჟი | 27 | 14 | 6 | 7 | 41:28 | 48 |
| ტორპედო | 27 | 13 | 7 | 7 | 37:28 | 46 |
| დინამო | 27 | 12 | 8 | 7 | 41:33 | 44 |
| ჩერნომორეცი | 27 | 11 | 10 | 6 | 41:26 | 43 |
| ზენიტი | 27 | 12 | 7 | 8 | 34:23 | 43 |
| ალანია | 27 | 10 | 7 | 10 | 33:33 | 37 |
| ცსკა | 27 | 10 | 5 | 12 | 36:34 | 35 |
| სატურნი | 27 | 9 | 8 | 10 | 25:29 | 35 |
| როტორი | 27 | 8 | 8 | 11 | 34:47 | 32 |
| როსტსელმაში | 27 | 5 | 13 | 9 | 21:25 | 28 |
| ფაკელი | 27 | 6 | 10 | 11 | 24:42 | 28 |
| კრილია | 27 | 6 | 5 | 16 | 23:43 | 23 |
| ნ. ნოვგოროდი | 27 | 3 | 8 | 16 | 15:42 | 17 |
| ურალანი | 27 | 2 | 6 | 19 | 16:46 | 12 |

# პრეზიდენტს აგინეთ, გუნდი ხელშეუხებელია



REUTERS ფოტო

ჯერ ტრიბუნებზე, რამდენიმე წუთში მოედანზეც-

**აუ, რა** ჩხუბი იყო! სტაჟიანი ბელგრადელი გულშემატკივრები ამბობენ, „პარტიზან“ — „ცრვენა ზვეზდას“ მშვიდად არასდროს ჩაუვლია, მაგრამ ახლა რაც მოხდა, არასდროს გვინახავსო.

შორიდან მოვუაროთ. იუგოსლავია ორ ბანაკადაა გაყოფილი, მილოშევიჩის (სინიშა არ გეგონოთ) მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ასევეა კლუბებშიც. მაგალითად, „პარტიზანის“ პრეზიდენტი მირკო მარიანოვიჩი სერბეთის პრემიერ-მინისტრიცაა და მილოშევიჩის კაცად ითვლება. აი, კლუბის ქომაგები დემოკრატიულ რელსებზე გადასულან და მარიანოვიჩის გაგონებაც არ სურთ, რისი დასტურიც მათ მიერ „პარტიზანი“ — „ცრვენა ზვეზდას“ მატჩისას გამოფენილი ტრანსპარანტები იყო.

იუგოსლავიელთა ახალი პრეზიდენტი ვოისლავ კოშტუნიცა მშვიდობის მოყვარული კაცია და პარტიზანელ ქომაგთა პროტესტიც მშვიდობიანი კალაპოტიდან არ ამოვარდებოდა, რომ არა მეტოქე გულშემატკივართაგან ცეცხლზე ნავთის დასხმა. რედსტარელთა სექტორში ასეთი ტრანსპარანტი გამოფინეს: „მირკო — ციხეში, „პარტიზანი“ — მეორე დივიზიონში“.

მირკო მარიანოვიჩის ციხეში გაშვებას პარტიზანებიც ითხოვენ, მაგრამ საძულველი ცრვენელებისგან ამის მოსმენა მაინც არ ესიამოვნათ. აი, მათი გუნდის მეორე დივიზიონში გადაყვანას აშკარად პროვოკაციის სუნი სდიოდა და ისინიც წამოეგნენ. ატყდა ჩხუბი — მოგლეჯილი სკამებისა და მაშხალების სროლის თანხლებით. „ცრვენა ზვეზდას“ ქომაგებმა იგრძნეს, რომ ძალები უთანასწორო იყო, პარტიზანელები აშკარად სჭარბობდნენ და ხერხს მიმართეს — მინდორზე გაცვივდნენ: თერთმეტი პარტიზანის ცემა უფრო ადვილი იყო, ვიდრე მათი ათასობით მხარდამჭერისა. ტაქტიკაც სანაქებო შეარჩიეს — ფეხბურთელები რომ არ გაქცეოდათ, გასახდელისკენ მიმავალი გზა ჩახერგეს. მოგვიანებით „პარტიზანის“ კაპიტანი საშა ილიჩი იხსენებდა: „გავრბოდით. ისინი მოგვდევდნენ. კიდევ კარგი, „ცრვენა ზვეზდას“ ფეხბურთელები გადაგვეფარნენ და იოლად გადავრჩით“.

მერე მინდორზე „პარტიზანის“ ქომაგებიც შეიჭრნენ, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა — პოლიციამ იყოჩაღა. ოფიციალური ცნობა იუწყება, რომ დაჭრილია ორმოცი კაცი, მათგან ერთი — მძიმედ.

ჩხუბი მატჩის მესამე წუთზე დაიწყო.

**გიორგი დარჯანია**

## ჰოლანდია

VIII ტური

**სპარტა 1:4 ფეიენოორდი**

0:1 კორნეევი (33), 1:1 მარბუსი (40), 1:2 ბოსველტი (85), 1:3 პაუვე (88), 1:4 კალუ (90)

**ვიტესი 3:2 აიაქსი**

1:0 სიკორა (7), 1:1 მახლასი (35), 1:2 კიფუ (55პ), 2:2 იანსენი (62), 3:2 ამოა (78)

**როზენდალი 2:4 გრააფსხაპი**

0:1 ტურპინი (14), 1:1 ფოსი (20), 2:1 კალუ (27), 2:2 ჩანგაი (30), 2:3 ვალეევი (35), 2:4 ფრანქელი (73)

**ტვენტე 1:1 სიტარდი**

1:0 ჰესელინკი (33), 1:1 გერიტსენი (49)

**ტილბურგი 6:2 უტრეხტი**

1:0 ლანდზაატი (28), 2:0 სესაი (43), 3:0 ბომბარდა (47), 3:1 გლუშევიჩი (56), 4:1 არტსი (65პ), 4:2 გლუშევიჩი (69), 5:2 ვან დერ ჰააგი (75ს.კ.), 6:2 აბდელაუი (88)

**ჰერენვენი 1:1 ვალვაიკი**

1:0 ტალანი (17), 1:1 ჰუმანი (46)

**პსვ ეინდჰოვენი 0:0 ნაიმეგენი**

**როდა 2:0 გრონინგენი**

1:0, 2:0 ანასტასიუ (19, 60)

**ალკმარი 3:1 ბრედა**

1:0 ნელისე (22), 2:0 ვან გალენი (33), 3:0 ბუსაჰა (74), 3:1 კრისტიანო (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტესი | 8 | 6 | 1 | 1 | 21:12 | 19 |
| ფეიენოორდი | 5 | 5 | 0 | 0 | 14:5 | 15 |
| პსვ | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 14 |
| ბრედა | 8 | 4 | 1 | 3 | 15:9 | 13 |
| როდა | 6 | 3 | 3 | 0 | 14:8 | 12 |
| ტილბურგი | 7 | 3 | 3 | 1 | 15:10 | 12 |
| ნაიმეგენი | 8 | 2 | 6 | 0 | 13:9 | 12 |
| ვალვაიკი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:9 | 12 |
| აიაქსი | 8 | 3 | 2 | 3 | 16:12 | 11 |
| ტვენტე | 8 | 2 | 4 | 2 | 13:13 | 10 |
| ჰერენვენი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 9 |
| გრააფსხაპი | 8 | 3 | 0 | 5 | 14:17 | 9 |
| ალკმარი | 7 | 3 | 0 | 4 | 13:16 | 9 |
| გრონინგენი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:19 | 8 |
| უტრეხტი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:15 | 7 |
| სპარტა | 7 | 1 | 1 | 5 | 12:20 | 4 |
| როზენდალი | 8 | 1 | 0 | 7 | 11:21 | 3 |
| სიტარდი | 6 | 0 | 2 | 4 | 3:16 | 2 |

## პორტუგალია

VII ტური

**ბენფიკა 1:0 ბელენენსეში**

1:0 მარჩენა (34)

**ამადორა 4:0 კამპომაიორენსე**

1:0 გაუჩო გომეში (34პ), 2:0 სოუზა (43), 3:0 ანტონიუ სემედუ (78), 4:0 გაუჩო გომეში (87)

**ბეირა მარი 0:2 ფარენსე**

0:1 ფერნანდესი (22), 0:2 ნადერი (88)

**სალგეირუში 3:1 ალვერკა**

1:0 ნევეში (31), 2:0 რამოსი (73), 2:1 მანტორაში (84), 3:1 რამოსი (90)

**პორტუ 2:0 გიმარაეში**

1:0 შაინიუ (19), 2:0 პენია (88)

**ლეირია 1:0 მარიტიმუ**

1:0 დუა (55)

**ბრაგა 3:1 ჟილ ვისენტე**

1:0 ჟოზე ბაროსო (11პ), 1:1 კასკილია (37), 2:1 მ. ფეპერი (62), 3:1 დეუში (81)

**ავეში 3:4 სპორტინგი**

0:1 დიმაში (18), 1:1 ლიმა (32), 2:1 კუიზინიუ სილვა (69), 2:2 დიმაში (50), 3:2 ანდრე კრუზი (51ს.კ.), 3:3 ზა პინტუ (55), 3:4 ალბერტუ აკოსტა (65პ)

**ბოავიშტა 1:0 ფერეირა**

1:0 როჟერიუ (47)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 7 | 6 | 0 | 1 | 15:4 | 18 |
| ბრაგა | 7 | 5 | 2 | 0 | 13:7 | 17 |
| სპორტინგი | 7 | 5 | 1 | 1 | 16:8 | 16 |
| სალგეირუში | 7 | 5 | 0 | 2 | 10:7 | 15 |
| ბოავიშტა | 7 | 4 | 2 | 1 | 13:6 | 14 |
| ფერეირა | 7 | 4 | 0 | 3 | 14:8 | 12 |
| ბელენენსეში | 7 | 3 | 3 | 1 | 10:6 | 12 |
| ბენფიკა | 7 | 3 | 2 | 2 | 10:8 | 11 |
| ფარენსე | 7 | 3 | 1 | 3 | 7:7 | 10 |
| მარიტიმუ | 7 | 3 | 1 | 3 | 5:5 | 10 |
| ლეირია | 7 | 2 | 3 | 2 | 7:11 | 9 |
| გიმარაეში | 7 | 2 | 1 | 4 | 10:13 | 7 |
| ალვერკა | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | 6 |
| ავეში | 7 | 1 | 2 | 4 | 11:14 | 5 |
| ამადორა | 7 | 1 | 1 | 5 | 6:11 | 4 |
| კამპომაიორენსე | 7 | 0 | 4 | 3 | 6:16 | 4 |
| ბეირა მარი | 7 | 0 | 2 | 5 | 8:17 | 2 |
| ჟილ ვისენტე | 7 | 0 | 2 | 5 | 3:12 | 2 |

## შვეიცარია

XIV ტური

**ციურიხი 1:2 ლუგანო**

0:1 გიმენეზი (14), 1:1 ბიულმანი (26 პ), 1:2 როსი (42)

ციურიხი: პასკოლო, ოპანგო, ფიშერი, კვენტინი, პალასი, შელინგა, ჯამარაული, ჯანინი (შელდმანი 70), ყაველაშვილი, ბარტლეტი, ბიულმანი (კასტილიო 81)

**არაუ 1:1 სენტ გალენი**

0:1 განე (58), 1:1 ბაუდრი (87)

არაუ: ბენიტო, ბადერი, ეგიმანი, პავლიჩევიჩი, ფიხტერი (იოდიჩე 72), სკრეპიზაკი, პრევიტალი, ბაუდრი, დე ნაპოლი (ივანოვი 65), ხომერიკი (სალვო 83), ვიდერკერი

**ქსამაქსი 1:3 გრასჰოპერი**

0:1 იაკინი (13), 1:1 დიოპი (41), 1:2, 1:3 შაპუიზა (50, 86)

**ლუცერნი 0:2 ბაზელი**

0:1, 0:2 კოუმანტარაკისი (15, 35)

**ლოზანა 1:1 სერვეტი**

1:0 კუცბა (17), 1:1 ლონფატი (61)

**სიონი — ივერდონი** გადაიდო

**ციურიხის** მატჩს მსაჯმა სამი წუთი დაამატა. ნეტავ, არ დაემატებინა. 91-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა არბიტრმა ჯიბეზე გაიკრა ხელი და ჯერ ყვითელი ბარათი ამოაცურა, მერე კი წითელიც ამოაყოლა. წითელმა ბარათმა მიხეილ ყაველაშვილი იმსხვერპლა, რომელმაც მე-13 წუთზე მიღებული გაფრთხილება არ იკმარა, შეხვედრის ბოლო წუთებზე ისევ იუხეშა და გასახდელშიც თანაგუნდელებზე ორი წუთით ადრე შევიდა. მასსა და მის თანაგუნდელ გოჩა ჯამარაულს სხვა არაფრით გამოუჩენიათ თავი.

ამ შეხვედრაში კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტი მოხდა. წელიწადნახევრიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მინდორზე კვლავ გამოჩნდა დევიდ ოპანგო, რომელსაც მძიმე ტრავმა ჰქონდა. მავანთა გასაკვირად, ციურიხელთა თავკაცმა ჟილბერტ გრესმა ფეხბურთელი პირდაპირ ძირითად შემადგენლობაში დააყენა და 90 წუთი ათამაშა.

ოპანგოს დაბრუნება „ციურიხისთვის“ უიღბლო გამოდგა. მასპინძლები მიმდინარე სეზონში შინ პირველად დამარცხდნენ. ყველა გოლი პირველ ტაიმში გავიდა. ბიულმანმა, მართალია, პენალტით გაქვითა გიმენეზის მიერ მე-14 წუთზე გატანილი, მაგრამ როსის გოლს ციურიხელებმა მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ვერაფერი მოუხერხეს. მატჩიც ჩემპიონატის ლიდერმა „ლუგანომ“ 2:1 მოიგო.

„არაუ“ — „სენტ გალენის“ პირველი ნახევარი უგოლოდ მორჩა, მაგრამ პირველ 45 წუთში შექმნილი ორი ჩინებული მომენტიდან მასპინძელთა ქართველ თავდამსხმელ ლევან ხომერიკს ერთიც რომ გამოეყენებინა, „არაუ“ შესვენებაზე კარგ ხასიათზე წავიდოდა. არაუელებმა გოლით მაინც გაიხარეს. ეს გვიან, მატჩის მიწურულს მოხდა: ბაუდრიმ 87-ე წუთზე მასპინძლებს სამი კი არა, მხოლოდ ერთი ქულა მოუტანა, რადგან სტუმარმა განემ თავის გამოჩენა მეორე ნახევრის დასაწყისშივე მოასწრო.

ბოლო ექვს თამაშში „გრასჰოპერის“ თავდამსხმელმა შტეფან შაპუიზამ შვიდი გოლის გატანა მოახერხა. აქედან ორი მან შაბათს „ქსამაქსთან“ შეაგდო. შედეგად „კალიებმა“ 3:1 მოიგეს და ლიდერ „ლუგანოს“ გაქცევის საშუალება არ მისცეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 14 | 9 | 3 | 2 | 23:8 | 30 |
| გრასჰოპერი | 14 | 8 | 2 | 4 | 34:11 | 26 |
| ლოზანა | 14 | 8 | 1 | 5 | 26:20 | 25 |
| სენტ გალენი | 14 | 6 | 6 | 2 | 23:12 | 24 |
| ბაზელი | 14 | 6 | 4 | 4 | 27:20 | 22 |
| სერვეტი | 14 | 5 | 6 | 3 | 21:16 | 21 |
| ციურიხი | 14 | 3 | 7 | 4 | 23:18 | 16 |
| არაუ | 14 | 4 | 3 | 7 | 16:26 | 15 |
| სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 14:24 | 15 |
| ლუცერნი | 14 | 4 | 2 | 8 | 18:32 | 14 |
| ივერდონი | 13 | 3 | 3 | 7 | 15:26 | 12 |
| ქსამაქსი | 14 | 2 | 2 | 10 | 14:41 | 8 |

## ავსტრია

მე-14 ტური. ზალცბურგი — გრაცერი 4:0; რიდი — აუსტრია 1:3; რაპიდი — ბრეგენცი 2:4; შტურმი — ადმირა 5:0; ტიროლი — ლინცერი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 14 | 8 | 4 | 2 | 28:10 | 28 |
| რაპიდი | 14 | 8 | 4 | 2 | 28:14 | 28 |
| ტიროლი | 14 | 7 | 3 | 4 | 23:13 | 24 |
| ზალცბურგი | 14 | 7 | 2 | 5 | 21:20 | 23 |
| გრაცერი | 14 | 6 | 3 | 5 | 22:22 | 21 |
| შტურმი | 14 | 6 | 2 | 6 | 26:19 | 20 |
| რიდი | 14 | 5 | 4 | 5 | 25:20 | 19 |
| ბრეგენცი | 14 | 4 | 3 | 7 | 18:24 | 15 |
| ლინცერი | 14 | 3 | 2 | 9 | 12:32 | 11 |
| ადმირა | 14 | 1 | 3 | 10 | 9:38 | 6 |

# გინდ დაიჯერეთ, გინდ არა

## ედგარ დავიდსი არსენალმა იყიდა



**ერთ-ერთი** სააგენტოს მიერ გავრცელებული და „არსენალის“ საინტერნეტო გვერდზე დადასტურებული ინფორმაციით, ლონდონურმა კლუბმა „იუვენტუსისა“ და ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი ედგარ დავიდსი 15 მილიონ დოლარად შეიძინა. თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ ხსენებული სიახლე ოფიციალურად მხოლოდ კვირის ბოლოსთვის გაცხადდება, ხოლო ტურინული კლუბი ჰოლანდიელს მანამ არ გაუშვებს, სანამ ღირსეულ შემცვლელს არ გამონახავს. მოკლედ, ტრანსფერი ჯერ მთლიანად არ მოგვარებულა.

ჭორები ადრეც დაირხა, თითქოს არსენ ვენგერს დავიდსის ხელში ჩაგდება სურდა. ამით იგი გუნდის ნახევარდაცვის ცენტრის გამაგრებას აპირებდა. ფრანგი მწვრთნელის გეგმით, ედგარს ლონდონურ კლუბში ემანუელ პეტი უნდა შეეცვალა და პატრიკ ვიეირასთვის გაეწია პარტნიორობა. მოკლედ, თუ ამ ინფორმაციას ვენდობით, დავიდსი ახლა არსენალელია, თუმცა ჯერჯერობით არავინ იცის, როდის ჩაატარებს სადებიუტო მატჩს „ჰაიბერიზე“.

**ჩემპიონთა ლიგა. პირველი ჯგუფური ეტაპი**
**მეოთხე ტური. დღეს**

CHAMPIONS LEAGUE

# არ ჩავჯდებით, მეშინია

**ჩემპიონთა** ლიგის მეოთხე ტური მესამეს გამეორებაა, მხოლოდ სტუმარ-მასპინძლები ცვლიან ადგილს.

დღეს „ლაციო“ — „არსენალია“ და თუმცა ჯგუფში ჩარჩენა არც ერთს ემუქრება, გამორჩეულ თამაშს უნდა ველოდოთ.

რა შეიცვალა ამ სამ კვირაში? დავიწყოთ იმით, რომ შეიცვალა თავად „ლაციო“. ეს აღარაა ეროვნულ ჩემპიონატში გაუხურებელი გუნდი, რომელსაც ამასთანავე 54-მილიონიანი ერნან კრესპოც ტრავმირებული ჰყავდა. ახლა რომაელებს მოთელვა ჩატარებული აქვთ, სერია A-ს მეორე ტურში „პერუჯასთან“ არგენტინელის დებიუტიც შედგა და გოლიც გაიტანა. მოკლედ, სვენ გორან ერიკსონი კმაყოფილია.

იმავე „პერუჯასთან“ მატჩში კარგად გარჯილა შესვლაზე შესული რობერტო ბარონიო, რომელიც იტალიელ და ქართველ ახალგაზრდულ ნაკრებთა თამაშისას სათადარიგო იყო და შესაძლოა, ერიკსონმა დიეგო სიმეონეს ნაცვლად ათამაშოს. რაც შეეხება ერნან კრესპოს, მისთვის ადგილის დათმობა სიმონე ინძაგის მოუწევს.

არსენ ვენგერმა „ლაციოსთან“ მატჩის მოლოდინში შაბათს „ასტონ ვილასთან“ (1:0) მარტინ კიოუნი და ნვანკვო კანუ დაასვენა და ახლა მათი იმედი აქვს. ტრავმა მოუშუშებია და ალბათ ითამაშებს ტონი ადამსი, რომელიც ინგლისი — გერმანიის მატჩისას დაშავდა. „არსენალის“ ერთადერთი დანაკარგი დენის ბერხკამპი იქნება, რაკი რომში თვითმფრინავით ჩასვლაზე უარი განაცხადა, მანქანით მგზავრობით გადაღლილს კი რისი თავი ექნებოდა.

თქვენს მტერს, ისეთ დღეშია „ბაიერი“. ლევერკუზენელებს სამ თამაშში




ოდენ სამი ქულა დაუგროვებიათ, ბუნდესლიგაში „ვერდერს“ 88-ე წუთამდე 3:1 უგებდა, მაგრამ ფრესლა გამორჩა და ახლა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თავდაჯერებულ „რეალთან“ უწევს სტუმრობა. ეს ის „რეალია“, რომელთანაც კრისტოფ დაუმის გუნდი სამი კვირის წინ ორჯერ დაწინაურდა და მაინც დამარცხდა. ალბათ ნანობენ გერმანელები ემერსონისა და შტეფან ბაინლიხის გაყიდვას.

„რეალი“ მეტოქეს რამდენადმე გადახალისებული შემადგენლობით დაუხვდება. ტრავმირებულია იკერ კასილიასი, რომელსაც სესარ სანჩესი შეცვლის. ასევე ტრავმა აქვს მიჩელ სალგადოს და მის ნაცვლად ოლიმპიური ჩემპიონი ჯერემი ნჯიტაპი ითამაშებს. ვისენტე დელ ბოსკე შეტევაში პედრო მუნიტისის ბრაზილიელი სავიოთი შეცვლასაც აპირებს.

**გიორგი დარჯანია**

# ბიძია ელეკი



ელეკ შვარცი

**91 წლისა** გარდაიცვალა ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ელეკ შვარცი, რომელიც ეროვნულ გუნდს 1957-დან 1964 წლამდე ავარჯიშებდა. შვარცი, ვისაც ბიძია ელეკად მოიხსენიებდნენ, უნგრეთში დაბადებულა, ახალგაზრდობაში სამშობლო დაუტოვებია და საფრანგეთში წასულა სათამაშოდ, სადაც „კანის“, „სტრასბურისა“ და იმხანად სახელგანთქმული პარიზის „რედ სტარის“ ღირსება დაუცავს. შემდეგ იგი მწვრთნელი გახდა — ჯერ ჰოლანდიაში იმუშავა, იქიდან პორტუგალიაში გადავიდა და „ბენფიკას“ ჩაუდგა სათავეში, ბოლოს კი საფრანგეთში დაბრუნდა და „მონაკოსა“ და „ლე ავრში“ ილვაწა.

ბოლო ოცი წელი ბიძია ელეკი მეუღლესთან ერთად საფრანგეთის პატარა ქალაქ აჟენიონში ცხოვრობდა. ორი წლის წინ ჰოლანდიურ ჟურნალ „ფუტბალ ტოტალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, ძალიან მენატრება ჰოლანდია, იქ ბევრი მეგობარი მყავსო.

ელეკ შვარცის თავკაცობით ჰოლანდიის ნაკრებმა 19 თამაში მოიგო, 12 ფრედ დაასრულა და 18 წააგო. იგი სიამაყით იხსენებდა: „პელესდროინდელი ბრაზილიის ნაკრები დავამარცხეთ. მოვუგეთ საფრანგეთსაც, ხოლო როტერდამში ბელგია 7:1 გავანადგურეთ“.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისი. I დივიზიონი. მე-13 ტური**

**17 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 001 | ბარნსლი-ტრანმერი | 1,65 | 3,2 | 4,4 |
| 23.45 | 002 | ბირმინგემი-სტოკპორტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 003 | ბირმინგემი-სტოკპორტი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 004 | ბოლტონი-ნოტინგემი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.45 | 005 | ბარნლი-უენსდი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.45 | 006 | გრიმსბი-ქუინზ პარკი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 007 | პორტსმუთი-ქრიუ | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.45 | 008 | პრესტონი-ნორვიჩი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.45 | 009 | შეფილდი-ჰადერსფილდი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.45 | 010 | უოტფორდი-ჯილინგემი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 23.45 | 011 | ვესტ ბრომვიჩი-ვულვერჰემპტონი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**18 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 012 | ფულემი-კრისტალ პალასი | 1,35 | 3,6 | 6,5 |
| 23.45 | 013 | უიმბლდონი-ბლექბერნი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

**ინგლისი. II დივიზიონი. მე-13 ტური**

**17 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 014 | ბორნმუთი-უიგანი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 23.45 | 015 | ბრენტფორდი-კოლჩესტერი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.45 | 016 | როვერსი-როტერჰემი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 23.45 | 017 | კემბრიჯი-სტოკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.45 | 018 | მილუოლი-ბრისტოლი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 019 | ნოტსი-ბერი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 020 | ოლდემი-უიკომბი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 021 | ოქსფორდი-ლუტონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.45 | 022 | პორტ ვეილი-ნორთჰემპტონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.45 | 023 | რედინგი-რექსემი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.45 | 024 | სუონსი-სუინდონი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.45 | 025 | უოლსოლი-პიტერბრო | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**ინგლისი. III დივიზიონი. მე-13 ტური**

**17 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 026 | კარლაისლი-კარდიფი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 027 | დარლინგტონი-კიდერმინსტერი | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| 23.45 | 028 | ექსეტერი-ჰალი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.45 | 029 | ჰალიფაქსი-ჩელტენემი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 23.45 | 030 | ლეიტონი-შრიუსბერი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.45 | 031 | ლინკოლნი-იორკი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.45 | 032 | მაკლსფილდი-ტორკი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.45 | 033 | მენსფილდი-ბლეკპული | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 23.45 | 034 | პლიმუთი-სკანთორპი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 035 | როჩდეილი-ჩესტერფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 036 | საუთენდი-ბარნეტი | 1,9 | 3,3 | 3,6 |

**18 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 037 | ბრაიტონი-ჰარტლპული | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**ჩეხეთი**

**18 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 038 | ბუდეიოვიცე-ტეპლიცე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**თურქეთი**

**19 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 039 | ანთალია-გაზიანთეფი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**შოტლანდია**

**17 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 040 | სენტ ჯონსტონი-სელტიკი | 5,3 | 3,8 | 1,45 |

**შვედეთი**

**17 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 041 | ჰამარბი-ნორჩიოპინგი | 2,1 | 3,1 | 3,0 |

**ნორვეგია**

**18 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 042 | სტარტი-ლილესტრიომი | 1,8 | 3,3 | 2,5 |

**ჰოლანდია. თასის 1/16 ფინალი**

**18 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 043 | დენ ბოსხი-როზენდალი | 1,8 | 3,3 | 3,4 |

**19 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 044 | ცვოლე-ბრედა | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 23.00 | 045 | ნაიმეგენი-სპარტა | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 23.00 | 046 | სიტარდი-გრონინგენი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 047 | ჰელმონდი-ალკმაარი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 23.00 | 048 | მაასტრიხტი-უტრეხტი | 3,3 | 3,3 | 1,8 |

**ჩემპიონთა ლიგა. მე-4 ტური**

**17 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | სპორტინგი-სპარტაკი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.45 | 502 | რეალი-ლევერკუზენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 503 | ჰერენვენი-ოლიმპიაკოსი | 3,0 | 3,1 | [illegible] |
| 23.45 | 504 | ლიონი-ვალენსია | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.45 | 505 | შახტარი-სპარტა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 506 | ლაციო-არსენალი | 1,65 | 2,9 | 5,3 |
| 23.45 | 507 | რეინჯერსი-გალათასარაი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.45 | 508 | შტურმი-მონაკო | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**18 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 509 | დეპორტივო-იუვენტუსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.45 | 510 | პანათინაიკოსი-ჰამბურგი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.45 | 511 | ბაიერნი-პსჟ | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 512 | ჰელსინგბორგი-რუსენბორგი | 3,4 | 3,1 | 1,9 |
| 23.45 | 513 | ანდერლეხტი-დინამო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 514 | მანჩესტერი-ეინდჰოვენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 515 | მილანი-ბარსელონა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.45 | 516 | ბეშიქთაში-ლიდსი | 2,2 | 3,0 | 2,9 |

**აზიის თასი**

**17 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 517 | იაპონია-უზბეკეთი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 21.45 | 518 | საუდეთი-ყატარი | 1,5 | 3,3 | 5,3 |

**18 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 519 | ირანი-ერაყი | 1,7 | 2,0 | 4,4 |
| 21.45 | 520 | ლიბანი-ტაილანდი | 1,5 | 3,5 | 4,4 |

**ჰოკეი**

**17 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 901 | ფილადელფია-ოტავა | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 24.00 | 902 | ვაშინგტონი-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,0 |
| 24.00 | 903 | მონრეალი-ბუფალო | 2,0 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 904 | აილენდერსი-ანაჰაიმი | 2,0 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 905 | ატლანტა-ნიუ ჯერსი | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 24.00 | 906 | დეტროიტი-სენტ ლუისი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 907 | ნეშვილი-ლოს ანჯელესი | 2,0 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 908 | ედმონტონი-ბოსტონი | 1,6 | 4,0 | 2,7 |

**18 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 909 | კოლუმბუსი-კოლორადო | 3,4 | 4,0 | 1,4 |
| 24.00 | 910 | პიტსბურგი-კაროლინა | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 911 | დალასი-სან ხოსე | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 24.00 | 912 | მინესოტა-ტამპა ბეი | 1,9 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 913 | ჩიკაგო-რეინჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 914 | ვანკუვერი-კალგარი | 1,8 | 4,0 | 2,3 |
| 24.00 | 915 | ფინიქსი-ფლორიდა | 1,5 | 4,0 | 3,0 |

**19 ოქტომბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 916 | ოტავა-პიტსბურგი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 917 | ფილადელფია-მონრეალი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 24.00 | 918 | ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,0 | 2,0 |
| 24.00 | 919 | დეტროიტი-ნეშვილი | 1,3 | 4,0 | 4,4 |
| 24.00 | 920 | სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 921 | ედმონტონი-ტორონტო | 2,0 | 4,0 | 2,1 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**დროებით შეჩერებულია**
**კროკოს ბიუროს მუშაობა**
## ქუთაისში
**მუშაობის განახლების თარიღი**
**წინასწარ გამოცხადდება**

### კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

**ბათუმში მალე კვლავ ამუშავდება**
**კროკოს ბიურო ახალ მისამართზე:**
**მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის №21. ტელ. 7 30 75**

## საქართველოს ჩემპიონატი

# ბომბასკო!



ბასკო — ვითა. ბასკოელი ლევან ქარაბაკი (თეთრ ფორმაში) ყველაზე შედეგიანი იყო



ბასკო — ვითა. ბასკოელი ვახტანგ ნაცვლიშვილი (№13) საქართველოს ჩემპიონატს სამი წლის მერე დაუბრუნდა

### 7 ტური

14 ოქტომბერი. ბათუმი

**ბასკო 96:32 ვითა**

I ტაიმი 38:20

ბასკო: როჯერსი (18), ნიკოლაძე (6), ბეჟანიშვილი (13), ვ. ნაცვლიშვილი (14), ქარაბაკი (21), მ. მარკოიშვილი (4), კეშელავა (6), უსტიაშვილი (3), გ. ნაცვლიშვილი (9), ათუაშვილი, საყვარელიძე, ორმოცაძე (2)

ვითა: მარხვაშვილი (4), ჩიხლაძე, ბარბაქაძე (4), მდივანი (9), ნ. შანიძე, ერგემლიძე (6), ტ. ვაშაკიძე (7), ღვინაშვილი (2), ლვაბერიძე, კობახიძე, ბურკაძე, ტყეშელაშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

### 9 ტური

15 ოქტომბერი. ბათუმი

**ბასკო 108:55 შევარდენი**

I ტაიმი 49:37

ბასკო: როჯერსი (22), ნიკოლაძე (2), ორმოცაძე (7), ვ. ნაცვლიშვილი (24), ქარაბაკი (25), უსტიაშვილი (3), მ. მარკოიშვილი, ბეჟანიშვილი (10), საყვარელიძე (4), გ. ნაცვლიშვილი (7), კეშელავა (4), ათუაშვილი

შევარდენი: ნ. ნოზაძე (7), კაზანჯიანი (13), გ. ჩხეიძე (7), სუხიშვილი (7), ქევხიშვილი (5), გულხადარაშვილი (2), გიგაური (8), იშხნელი, ალავიძე (4), ზასეშვილი (2), მაქავარიანი, გოგუა

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

გიორგი ბიკაშვილი ბათუმიდან

**ამ** რეპორტაჟის ჩაკითხვამდე, ალბათ, გულდასმით ჩაიკითხეთ შეხვედრათა ოქმები. დარწმუნებული ვარ, ბევრ თქვენგანს ქვეცნობიერად უამრავი კითხვა გაუჩნდა და მავანს იქნებ ახლაც ანგარიშებისკენ გაურბოდეს თვალი. კარგად მესმის თქვენი, გაოცების საბაბი ნამდვილად გაქვთ, თუმც ჩვენს კომპეტენტურობაში არამცდაარამც შეგეპაროთ ეჭვი. ეს არ გახლავთ შეცდომა, ანგარიშები ზუსტია, თავად ვარ ყოველივეს თვითმხილველი და ახლავე მოგახსენებთ, რა და როგორ იყო.

მაგრამ სანამ ამ საქმეს შევუდგებოდე, ის უნდა ვთქვათ, რომ ბათუმში, სადაც ეს ამბები დატრიალდა შაბათს, საღამოს ხუთ საათზე საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს მეათე საკალათბურთო ჩემპიონატი. ზუსტად ერთი კვირის თავზე „სარბიელის" საკალათბურთო გვერდს რომ გადაშლით, ვერისბაღურ რეპორტაჟშიც ჩემპიონატის დაწყებას გამცნობთ, მაგრამ ნუ გაიკვირვებთ, ფედერაციის მიერ დაწერილი სცენარის მიხედვით (ალბათ, დიდი ფიქრის შემდეგ) მეათე ეროვნული ჯერ ზღვის პირას უნდა გახურდეს და დედაქალაქი მერეღა დააფასოს. ასე თუ ისე, ჩემპიონატის პირველი ოფიციალური მატჩის დაწყებამდე სავალდებულო რიტუალი შესრულდა, რომელიც ქვეყნის ჰიმნის აჟღერებითა და ეროვნული დროშის აღმართვით დაგვირგვინდა.

შემდეგ დაიწყო მატჩი, რომელმაც თვალნათლივ დაგვანახა, რომ „ვითას" მზე სამუდამოდ თუ არა, კარგა ხნით ჩაესვენა. ის, რაც ქვეყნის ამჟამინდელმა ჩემპიონატმა „ბასკომ" ახლო წარსულში ქართული კალათბურთის ფლაგმანს დამართა, არ გახლავთ მხოლოდ ერთი გუნდისგან მეორის დაჯაბვნა და დამარცხება. „ვითა" ყველა კომპონენტში დაეჩაგვრინა მასპინძელს, რომლის რეალური ძალა ვერ იხილა იმ დღეს ქომაგმა — ამ მატჩის მიხედვით, „ბასკოს" შესაძლებლობების განსაზღვრა შეუძლებელი იყო.

„ვითა" თავიდანვე წასაგებად იყო განწირული, რასაც უამრავი მიზეზი განაპირობებდა. უმთავრესი მაინც ის გახლავთ, რომ გუნდმა წინა სეზონთან შედარებით საფუძვლიანად იცვალა სახე და მთავარ მწვრთნელ გელა წულაძესაც პირტიტველა, უსახელო ბიჭები შერჩა ხელთ. ვერ ვიტყვი, ზურაბ ტომარაძის გუნდმა მოსაგებად მაქსიმუმი ;აილო-მეთქი, რადგან ასე ნამდვილად ; ყოფილა, „ბასკო" ზედმეტი ძალისხმევის გარეშეც იოლად გადიოდა ფონს.

ამ შეხვედრაში შედგა ამერიკელი ლეგიონერის, ჯეფ როჯერსის დებიუტი „ბასკოში". მატჩის ხასიათიდან გამომდინარე მასზე სრულფასოვანი აზრის შექმნა ძალიან გაჭირდა და ეს საქმე მეორე დღისთვის გადავდე, როცა „ბასკო" „შევარდენს" შეებმებოდა. თუმცა კიდევ ერთხელ გამიცრუვდა იმედი, ვერც მეორე თბილისური გუნდი აღმოჩნდა ბათუმელთა ღირსი მეტოქე და როჯერსის შესაძლებლობებიც, ბუნებრივია, ბოლომდე ვერ გამოჩნდა. ერთის თქმა კი ახლავე შეიძლება: ამერიკელი, ისევე როგორც „ბასკოს" სხვა ახალწვეულები, ახალ გარემოსთან ბოლომდე მორგებული ვერაა, თუმც კალათბურთის თამაში ნამდვილად იცის. ოკეანისგაღმელი გამთამაშებელი ერთი შეხედვით საუკეთესოა იმ უცხოელთა შორის, ვისაც როდესმე საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში უთამაშია.

თქვენს ყურადღებას ერთ რამეზეც მივაპყრობ, მსურს საგანგებოდ გამოვყო „ბასკოს" კიდევ ერთი შენაძენი ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომელსაც ტრავმის გამო ძალიან ბევრი გაუცდა. უნდა ითქვას, რომ ნაკრების კაპიტანი უჩვეულოდ მონდომებულია, ჩანს, სეზონისთვის კარგადაც მოემზადა და რიგ ეპიზოდებში ჩვეულად ბრწყინავდა.

შაბათის მატჩში სწორედ ნაცვლიშვილმა გახსნა ანგარიში ზუსტი საჯარიმოებით. შემდეგ ბეჟანიშვილმა ივარგა, რასაც ქარაბაკის აქტიურობა მოყვა და „ვითაც" აღმოჩნდა მდევრის როლში. „ბასკო" დაცვაში სულ მთლად უშეცდომოდ როდი მოქმედებდა, მაგრამ მეტოქე გუნდს საიმისოდ კლასი არ ჰყოფნიდა, მასპინძელთა ხარვეზებით ესარგებლა და ანგარიშში სხვაობაც ნელ-ნელა იზრდებოდა. მთლიანობაში თამაში ქაოსური იყო, ცალკეულ მოთამაშეთა ინდივიდუალიზმზე აგებული, რამაც ასევე „ბასკოს" წისქვილზე დაასხა წყალი, რადგან ტომარაძეს ბევრად უკეთესი შემსრულებელი ჰყავს, ვიდრე წულაძეს. პირველ პერიოდს იმავე ნაცვლიშვილმა დაადგა გვირგვინი, ვატომ ჩაჭრა ბურთი და როჯერსს გააწოდა, ამ უკანასკნელმა გონივრული პასით „ვითას" დაცვა უსაქმოდ დატოვა, ბურთს ჰაერში შეეგება ნაცვლიშვილი და ისე მიმზიდველად ჩატენა, ლამის ხუთ წუთს გაგრძელდა ტაშის გრიალი — 20:4.

მეორე მეოთხედში ტომარაძემ სათადარიგოებს უხმო მოედანზე და ოდნავ ამოისუნთქა „ვითამ". მაგრამ მეორე ტაიმში ბათუმელთა თავკაცმა ისევ ძირითად ხუთეულს დააწყებინა, რამაც სტუმარი გუნდი საბოლოოდ წელში გატეხა და ისედაც უინტერესო მატჩს სულ მთლად აზრი დაუკარგა.

„ბასკო" — „შევარდენის" მატჩში მეტოქეებმა ზონური დაცვა ირჩიეს. თბილისელთაგან ეს მოსალოდნელიც იყო, რასაც ვერ ვიტყვით მასპინძლებზე, რომელთაც ამ ექსპერიმენტმა საწყის წუთებში სასიკეთო ვერაფერი მოუტანა. ტომარაძემ შევარდენთა შეტევებს ამპლუით თავდამსხმელი ლევან ქარაბაკი შეაგება და დანარჩენი მოთამაშეებიც მის უკან განალაგა. შედეგად „ბასკოს" საკუთარ ფარქვეშ სიძნელეები შეექმნა. რამდენჯერმე ლადო სუხიშვილმა ძალიან საჭირო ბურთი მოხსნა და თავისიანებს ხელახლა შეტევის განხორციელების საშუალება მისცა. სტუმართაგან ყველაზე გამორჩეულ უკანახაზელი გია კაზანჯიანი გახლდათ, რომელმაც მცირე მონაკვეთში ორი ბურთი ჩაჭრა და ორი სამიანიც ჩააგდო — 16:11 „შევარდენის" სასარგებლოდ.

ტომარაძემ საფრთხე იყნოსა, ზონური დაცვა პერსონალურზე გადააწყო და ინერტულად მოთამაშე შეგირდებს გამოფხიზლებისკენ მოუწოდა, რამაც დადებითად იმოქმედა „ბასკოზე". ნაცვლიშვილისა და ბეჟანიშვილის ძალისხმევით ზღვისპირელებმა პირველი პერიოდი თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს.

მეორე პერიოდში კიდევ უფრო გააქტიურდა „ბასკო", მასპინძლებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს დაცვა და შეტევებიც ერთიორად ააჩქარეს. შეუჩერებელი გახდა ჯეფ როჯერსი, მან თანაგუნდელები პასებით მოამარაგება იწყო და პირველ შეტევაზე გაქცეულმა თავადაც არაერთი ქულა მოინაგრა. თავის მხრივ, „შევარდენიც" არ გამოიყურებოდა ურიგოდ, თუმც სტუმარ გუნდს აშკარად ეტყობოდა, რომ საკუთარი წარმატებისა თავადაც არ სჯეროდა. ყოველივე ამან ისიც გვაფიქრებინა, რომ კაზანჯიანი, რომელიც თბილისელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ, დიდად აღარ დააჯაფა სერგო იშხნელმა და სათადარიგოებში გაამწესა. ტაიმი, მართალია, არცთუ დიდი სხვაობით მოიგო „ბასკომ", მაგრამ, მიუხედავად ამისა, „შევარდენმა" ნაადრევად შეწყვიტა ბრძოლა და ალბათ ძირითადი მოთამაშეების დაზოგვის მიზნით, უმეტესად შემცვლელები ათამაშა. ამ დროისთვის „ბასკო" საბოლოოდ გამორკვეულიყო და სხვაობის ზრდასთან ერთად მოტივაციაც ეზრდებოდა — ბათუმელი კალათბურთელები ერთთავად იმაზე ზრუნავდნენ, რაც შეიძლება დიდი სხვაობით დაემარცხებინათ მეტოქე...

დღეს ბათუმში „მაკაბისა" და შავკანიანების მოზღვავებას ელიან. „მაკაბის" კამერუნელ ტუჯანის და დაჩუმის, შესაძლოა, „ბასკომაც" ორი შავი კაცი შეაგებოს. ახლა, როცა ამ წერილს კითხულობთ, ბათუმში უკვე ჩამოსული იქნება ზღვისპირელთა მეორე ამერიკელი, ოღონდ არა ოვერსტრიტი. ამაზე უფრო დაწვრილებით „სარბიელის" მომდევნო ნომერში.



ბასკო — შევარდენი. ამგვარი დაძაბული მომენტები იშვიათად იყო

# ცრემლის და მადლიერების ზღვა განდიდებულთაგან

**კალათბურთის „დიდების დარბაზის"** წევრად არჩევა სპორტის ამ სახეობით დაკავებული ნებისმიერი ადამიანისთვის უდიდესი პატივია. იქ რომ აირჩიონ მოთამაშე, მწვრთნელი თუ ადმინისტრატორი, იგი სხვებისგან უნდა გამოირჩეოდეს, რაღაც წვლილი უნდა ჰქონდეს შეტანილი კალათბურთის განვითარებაში.

13 ოქტომბერს კალათბურთის „დიდების დარბაზმა", რომელიც ტერიტორიულად მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ სპრინგფილდში მდებარეობს, სწორედ იქ სადაც იშვა კალათბურთი, ექვს ახალ წევრს ზარზეიმით გაუღო კარები. ესენი არიან 80-იან-90-იანი წლების ლეგენდარული გამთამაშებელი აზია ტომასი, 70-იანი და 80-იანი წლების ცენტრი ბობ მაკადუ, 50-იანი წლების „სირაკუზ ნეშნელზის" ყოფილი მფლობელი, აწ გარდაცვლილი ჯო ბაიზონი, კენტუკის უნივერსიტეტის ყოფილი დირექტორი სი. ემ. ნიუტონი, დემატას სკოლის საკალათბურთო გუნდის ყოფილი მწვრთნელი მორგან ვუტენი და სტუდენტ კალათბურთელ ქალთა სახელოვანი მწვრთნელი, ქალბატონი პატ სამიტი. ამ ხალხს ამერიკის საკალათბურთო წრეებში კარგად იცნობენ და ეთაყვანებიან, „დიდების დარბაზმაც" დიდი აჟიოტაჟით მიიღო ისინი.

ექვსივე ახალი წევრი „დიდების დარბაზში" რამდენიმე თვის წინ აირჩიეს. მათი წარდგენა კი 13 ოქტომბერს მოხდა. ამ ექვსი სახელოვანი ადამიანიდან ჩვენში ყველაზე უკეთ ალბათ აიზია ტომასს იცნობენ. კალათბურთის ქართველ ქომაგებს მისი თამაში ნანახიც ექნებათ. ტომასს, როგორც ყოველთვის, არც იმ დღეს შორდებოდა სახიდან ღიმილი. იგი მაშინაც კი იღიმებოდა, როცა მღელვარებამორეულს ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდიოდა. ტომასმა სიტყვით გამოსვლისას თავისი ბავშვობა გაიხსენა და მინიმუმ ათჯერ მაინც გადაუხადა მადლობა დედამისს მერი ტომასს იმის გამო, რომ მან, 14 წლის გოგონამ, ოდესღაც მიატოვა მისისიპის შტატის მივარდნილი ქალაქი ვიკსბურგი და ბედნიერების საძებნელად გიგანტურ სამრეწველო ქალაქ ჩიკაგოს მიაშურა. „ის ცხოვრებას ებრძოდა, რათა მისი შვილები ბედნიერები ვყოფილიყავით. ერთხელ ბავშვობისას ვნახე „ჰარლემ გლობტროტერზის" შოუ. ისინი ბურთს ისე ვირტუოზულად ათამაშებდნენ, თითქოს პიანინოზე უკრავდნენ. მე მაშინვე შინ გავიქეცი და დედაჩემს ვუთხარი: „დედა, მინდა ასეთივე ვიყო". და მან მეორე დღეს ბურთი მიყიდა. ის ყველაფერს აკეთებდა, რომ ჩვენ სიღარიბე არ გვეგრძნო" — ამბობდა ცრემლმორეული ტომასი. ტიროდა ქალბატონი მერი ტომასიც, რომელიც იქვე, პირველ რიგებში საპატიო სტუმართა შორის იჯდა და სანაქებო შვილის ცქერით ვერ ძღებოდა.

გრძნობები იმ დღეს ყველას მოეძალა, განსაკუთრებით კი „დიდების დარბაზის" ახალ წევრ მანდილოსან პატ სამიტს, „დიდების დარბაზის" წევრად არჩევა საკალათბურთო ცხოვრების გვირგვინია — ამბობდა ის — ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ანგელოზი ვიყო სამოთხეში". სიტყვით გამოვიდნენ დარბაზის ახალი წევრებიც. მათი მონოლოგებიც, რომლებშიც ხშირად ფიგურირებდა ფრაზა „ულრმესი მადლობა", სავსე დარბაზის ტაშის გრიალში ჩაინთქა. ერთი სიტყვით, კალათბურთის დამაარსებლის, ჯეიმს ნეისმიტის სახელობის დარბაზმა მართლაც დიდებით და პატივით მიიღო ექვსი ადამიანი, რომელთაც კალათბურთის განვითარებაში და წინსვლაში თავიანთი „მოკრძალებული" წვლილი შეიტანა.

სათითაოდ გავიცნოთ ექვსი ახალი განდიდებული. აიზია ტომასი თუნდაც იმის გამო უნდა ქცეულიყო ლეგენდად, რომ მისი თაოსნობით „დეტროიტ პისტონზმა" ზედიზედ ორჯერ იჩემპიონა, თან მაშინ, როდესაც ეს ყველაზე ძნელი იყო. ტომასი გახლდათ იმ „ცუდი ბიჭების" მეთაური, რომლებმაც 1989 და 1990 წლებში აჯობეს — მეჯიქ ჯონსონს, ლარი ბერდს, მაიკლ ჯორდანს, ქარიმ აბდულ-ჯაბარს (ალბათ საკმარისია ჩამოთვლა). ტომასი ლიგის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია. მას ზედიზედ თორმეტ „ოლ სტარში" უთამაშია. 1997 წელს ნბა-ს დაარსების 50 წლისთავზე ტომასი შეიყვანეს ნბა-ს ყველა დროის 50 საუკეთესო მოთამაშეს შორის, მას იქ ალბათ იმ შემთხვევაშიც შეიყვანდნენ, თუკი ეს სია 25-კაციანი იქნებოდა.

კიდევ ერთ განდიდებულ ლეგენდარულ კალათბურთელს, ბობ მაკადუს ჩვენში ნაკლებად იცნობენ ალბათ უფრო იმის გამო, რომ იმ დროს, როდესაც ეს კაცი მეტოქეთა კალათს ბომბავდა, ჩვენში ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაზე ბევრიც არაფერი იყო ცნობილი. მაკადუმ ნბა-ში 1972 წელს შეაბიჯა და მაშინვე ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ იქცა. იგი ზედიზედ სამჯერ 1974-76 წლებში ასოციაციის პირველი ბომბარდირი გახლდათ, 1975 წელს კი სეზონის უძვირფასესი მოთამაშის წოდებაც ირგუნა. მაკადუმ ბევრი კლუბი გამოიცვალა, 1982 და 85 წლებში „ლეიკერსის" რიგებში ჩემპიონიც გახდა, 1986 წელს კი შებერებულმა ევროპას, კერძოდ კი იტალიას მიაშურა და აქ ექვსი ნაყოფიერი წელი გაატარა. ბობ მაკადუს თამაშის მანერა ლამის რევოლუციურად შეირაცხა. მან სახელი გაითქვა, როგორც იშვიათი სნაიპერული თვისებებით დაჯილდოებულმა ცენტრმა. 205-სანტიმეტრიან მაკადუს არ უჭირდა პერიმეტრზე თამაში, მისი შორეული ზუსტი სროლები მეურვეებს აიძულებდა, ფარისგან უჩვეულოდ შორს ასდევნებოდნენ.

1992 წელს გარდაცვლილი დენი ბაიზონი იმ შორეული დროის გამოჩენილი საკალათბურთო მოღვაწე გახლდათ, როდესაც ნბა ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა. კლუბ „სირაკუზ ნეშნელზის" მფლობელი ბაიზონი მათ შორის იყო, რომელთაც პროფესიული საკალათბურთო ლიგის შექმნა განიზრახეს და ეს ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანეს. ევროპაში სულ ახლახან შემოვიდა წესი, რომელიც გუნდს შეტევისთვის 24 წამს აძლევს. ამ იდეას ავტორი კი 45 წლის წინ სწორედ ბაიზონი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ იმ 1955 წელს მისმა გუნდმა „სირაკუზმა" პირველად და უკანასკნელად მოიპოვა ნბა-ს ჩემპიონობა.

წარსულის გამოჩენილი მოღვაწე გახლავთ სი. ემ. ნიუტონიც. იგი 50-იან წლებში კენტუკის უნივერსიტეტს წვრთნიდა. შემდგომში კი ამ გუნდის დირექტორიც გახლდათ. მაშინ, 50-იან წლებში, იგი პირველი იყო, ვინც იმ დროს შტატებში ღრმადფესვებგამდგარ რასისზს არ შეეპუა და გუნდში პირველი შავკანიანი მოთამაშე აიყვანა. მაშინ გაუგონარ თავხედობას საზოგადოების გარკვეული ფენები აღშფოთებით შეხვდნენ, მაგრამ, მოგეხსენებათ, თანამედროვე კალათბურთი წარმოუდგენელია ზანგების გარეშე. მოგვიანებით ნიუტონმა როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა საუნივერსიტეტო გუნდების მწვრთნელებად შავკანიანები მიიწვია.

მორგან ვუტენი ლეგენდარული სასკოლო მწვრთნელი გახლავთ. იგი 44 წელი წვრთნიდა სხვადასხვა სასკოლო საკალათბურთო გუნდს და 1391 შეხვედრიდან მათ 1210 მოაგებინა. ვუტენს მრავალი სახელოვანი კალათბურთელი აღუზრდია. მათ შორის ქარიმ აბდულ-ჯაბარია აღსანიშნავი.

ქალბატონი პატ სამიტი 26 წელი წვრთნიდა ტენესის უნივერსიტეტის ქალ კალათბურთელებს და მათ 878 შეხვედრიდან 728 მოაგებინა. მან ექვსჯერ გააჩემპიონა ტენესელი მანდილოსნები. იგი წვრთნიდა აგრეთვე იმ ამერიკელ ქალთა ნაკრებს, რომელმაც 1984 წლის ლოს ანჯელესის ოლიმპიადაზე ჩემპიონობა მოიპოვა.

**ივანე ძოზიაშვილი**



აჩ უკვე „დიდების დარბაზის" წევრის აიზია ტომასის ცრემლიანი სამადლობელი



შაქილ ონილი

# შაკილი ფულის თქეშში 88 მილიონი სამ წელიწადში!

**„კარიერის** ბოლო მატჩს „ლეიკერსის" მაისურით ვითამაშებ, მანამდე კი ამ გუნდის რიგებში კიდევ ბევრჯერ მოვიპოვებ ნბა-ს ჩემპიონის ტიტულს. გასულ სეზონში ჩვენ გავიმარჯვეთ და ეს მხოლოდ დასაწყისია. ერთი ჩემპიონობა, ერთი მანქანის ყოლას ჰგავს, მე კი ბევრი მინდა და ამ სურვილის სისრულეში მოყვანაში „ლეიკერსი" დამეხმარება — თქვა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" 28 წლის ცენტრმა შაკილ ონილმა 13 ოქტომბერს და იქვე დასძინა — ჩვეულებრივ 13, თან როცა პარასკევია, უიღბლოა, თუმცა შეგვიძლია დღევანდელი დღე სასიამოვნო გამონაკლისად ჩავთვალოთ."

მოგეხსენებათ, თერთმეტი წლის განმავლობაში მშიერი „ლეიკერსი" გასულ სეზონში ნბა-ს ჩემპიონი გახდა, რაშიც უმთავრესად შაკილ ონილს უნდა უმადლოდეს. კლუბის ხელმძღვანელობამაც კაცს, რომელმაც ტიტულიან კლუბში დიდი ხნის ნანატრი, ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი დააბრუნა, მადლობა ამგვარად გადაუხადა — პარასკევს, 13 ოქტომბერს, კონტრაქტი განუახლა. უფრო ზუსტად, „ლეიკერსმა" და შაკილ ონილმა წინასწარ გააფორმეს ახალი კონტრაქტი, რომელიც ძალაში 2003-04 წლების სეზონის დაწყების წინ შევა, ანუ მაშინ, როდესაც ძველს ვადა გაუვა. პირობებს აღარ იკითხავთ? ისინი მართლაც ზღაპრულია, რომლის მსგავსიც დღეს არც ერთ კალათბურთელს არ დაესიზმრება — 88,5 მილიონი დოლარი მხოლოდ სამ სეზონში. ეს თანხა ასე განაწილდება — შაკი 2003-04 წლების სეზონში გასამრჯელოდ 26,5 მილიონს მიიღებს, მომდევნო სეზონში 29,5 მილიონს, მესამე წელს კი — 32,5 მილიონს. კონტრაქტის ბოლო სეზონში ონილის კუთვნილი თანხა ნბა-ს ისტორიაში სარეკორდოა. შაკილმა ამ მხრივ აჯობა მაიკლ ჯორდანს, რომელმაც 1997-98 წლების სეზონში გასამრჯელოდ ერთი მილიონით ნაკლები აიღო. ამ რეკორდს ალბათ კარგა ხანი ვერავინ შესწვდება, თუ, ცხადია, მანამდე არ გამოჩნდა ვინმე, ვისთვისაც ამდენ ფულს გაიმეტებენ. ეს კი დღევანდელი გადასახედიდან ნაკლებად რეალური ჩანს. ახლა შაკილი ნბა-ს მოთამაშეთა შორის უმდიდრესია და შეუძლია, თავს ნება მისცეს, მეგობრებს საჩუქრები უძღვნას. „მათ უმრავლესობას როლექსის საათი უნდა" — ამბობს ღიმილით ონილი.

„ლოს ანჯელეს ლაიკერსის" ხელმძღვანელობას ონილისთვის ფული არასდროს ენანებოდა. 1996 წელს კლუბში ახალგადმოსულმა კალათბურთელმა 120 მილიონიანი და შვიდწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ლეიკერსთან" და ჯორდანის წასვლის შემდეგ ისედაც მსოფლიოს ყველაზე დიდხელფასიან კალათბურთელად იქცა. ახალი ზესარფიანი ხელშეკრულება ხომ ნებისმიერი თანამედროვე კალათბურთელისთვის მხოლოდ და მხოლოდ ოცნება შეიძლება იყოს. აი, ასე გადაუხადა მადლობა „ლეიკერსმა" მას, ვინც გუნდის მეთორმეტე გაჩემპიონებაში ლომის წილი დაიდო. კი მაგრამ, შაკილი არც პირველია და არც უკანასკნელი, ვინც თავის გუნდს ტიტული მოუტანა, მაგრამ სხვებისთვის ამის ნახევარიც არ მიუციათო იფიქრებთ და მართალიც იქნებით. თუნდაც ტიმ დანკანი ავიღოთ. მან „სან ანტონიო" უკვე მეორე სეზონშივე გააჩემპიონა, მაგრამ მილიონების ამგვარ თქეშში არავინ მოახვედრა. მაგრამ შაკილ ონილი ხომ ის კაცია, რომლის გარშემოც ყოველთვის დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. ამის მიზეზი კი თავად ონილი და მისი თამაშია. გასული სეზონი მართლაც შაკილ ონილისა იყო და ამას მხოლოდ ციფრებიც ადასტურებს. მის მიერ თამაშში საშუალოდ გაკეთებული 29,7 ქულა საუკეთესო მაჩვენებელი იყო ლიგაში. ონილი გახდა „ოლ სტარის" უძვირფასესი მოთამაშე (დანკანთან ერთად). მან უზარმაზარი უპირატესობით გაიმარჯვა სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოსავლენ გამოკითხვაში (121 ამომრჩევლიდან ონილის პირველობას 120-მა მისცა ხმა) და ამასთანავე ხვდა პატივი, ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშეც ყოფილიყო. („ინდიანასთან" ფინალური სერიის ექვს მატჩში ონილს თავისი გუნდისთვის საშუალოდ 38 ქულა და 16,6 მოხსნა მოჰქონდა). ამგვარად, ონილი გახდა მესამე კალათბურთელი ვილის რიდის და მაიკლ ჯორდანის შემდეგ, ვინც ერთ სეზონში სამი პირადი ჯილდო — „ოლ სტარის", სეზონისა და ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშის წოდება მოიპოვა. იგი დღეს ლიგის უძლიერესი კალათბურთელია და „ლეიკერმაც" ესოდენ საჭირო კაცი კიდევ სამი წლით დაიტოვა.

გამართლებულია თუ არა თუნდაც ასეთი კალათბურთელისთვის ასეთი დიდი თანხის მიცემა? წარსულის ლეგენდარულ მოთამაშეებს უყვართ იმის თქმა, რომ სამწუხაროდ, კალათბურთმა დაკარგა ძველი ეშხი და ელფერი და დღეს მილიონების კეთების საშუალებად იქცა. ძნელი სათქმელია, რამდენად გამართლებულია სპორტსმენებისთვის ამხელა ფულის გადახდა, მაგრამ ის კი დღესავით ნათელია, რომ თუ ვინმე უნდა იღებდეს სამ წელიწადში 88 მილიონს, ეს უცილობლად შაკილ ონილი უნდა იყოს.

„შაკილი მსოფლიოში უძლიერესი კალათბურთელია და ჩვენთვის იგი შეუცვლელია. თამამად შეგვიძლია შაკი ისეთი ბუმბერაზი ცენტრების გვერდით დავაყენოთ, როგორებიც არიან: უილტ ჩემბერლენი, ბილ რასელი, ქარიმ აბდულ-ჯაბარი. ჩვენ გვიხარია და ამის საბაბიც გვაქვთ, კიდევ ექვსი წელი გვეყოლება შაკილ ონილი" — „ლეიკერსის" გენერალურ მენეჯერ მიჩ კუპჩაკს შაკილისთვის მიცემული მილიონები სულაც არ მიაჩნია გადაყრილად, პირიქით.

შაკილ ონილი კი მინიმუმ ექვსი წელი ითამაშებს „ლეიკერსის" 34-ნომრიანი მაისურით და ამ ხნის განმავლობაში ჯამში (ძველი და ახალი კონტრაქტების მიხედვით) 152 მილიონს მიიღებს. ამის საფასურად კი გუნდს (როგორც თავად იქადნება) კიდევ რამდენიმე უმაღლეს ტიტულს შეჰმატებს.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ათენში შეხვედრამდე

## კახი კახიაშვილი ეთნოისტორიულ კვარცხლბეკზე და სამთავრობო დონეზე

### პირველ ქართველს, მეორე ბერძენს და მესამე ძალოსანს საქართველოში ლამის მთელი საბერძნეთი მოჰყვება

*ერთ სოფელში* *ვცხოვრობდით, მთავარ ქუჩასთან ახლოს, ჩვენს ბინებს ხამასიოდე მეტი აშორებდა. ის — 578-ში იყო, მე — 794-ში. სახლებიც ერთნაირი, სტანდარტული ორსართულიანი, ოღონდ — დროშები განსხვავებული. იქით საბერძნეთისა, აქეთ — საქართველოსი. ორი კვირა ისე გავიდა, არსად შემხვედრია. მართალი გითხრათ, არც მიცდია. ვანო გრიქუროვისგან ვიცი: შეჯიბრების წინ კახი პრესასთან კონტაქტს ერიდება. შეჯიბრების მერე — კი ბატონო. „მერეც" არაფერი გამოვიდა. დღეგამოშვებით, დროს რომ მოვიხელთებდი, ვაკითხავდი, მაგრამ, აბა, სახლში ვინ გააჩერებდა კახიაშვილს... შემთხვევით, სოფლის სასადილოში შევეფეთე — პირველ ოქტომბერს, დახურვის ცერემონიის დაწყებამდე საათნახევრით ადრე...*

*იქვე მაგიდასთან ჩამოვსხედით.*

**— სახლში გეძებდი და აგერ გიპოვე. რასა იქმ, როგორ ხარ?**

— გმადლობთ, კარგად. ცოტა კი დავიღალე, მაგრამ ეგ არაფერი.

**— შეჯიბრებას ერთი კვირის წინ მორჩი და...**

— აქ ვინ დაგასვენებს, წარამარა შეხვედრებზე დავდივარ. აქეთ — გულშემატკივრები, იქით — დელეგაციის ხელმძღვანელობა, მთავრობის ხალხი, ტელევიზია... გეუბნებიან, ასეა საჭიროო და მეც თავს ვუქნევ.

**— წარმომიდგენია, იქ, ათენში რა იქნება... დახურვაზე არ მიდიხარ?**

— არა, ტელევიზორში ვნახავ. ოთხი საათი ფეხზე ვერ დავდგები. ისევ მტკივა.

**— ალბათ, ხანგრძლივი დასვენება მოგიწევს.**

— მიზეზიც მაქვს და ამ შემთხვევას ხელიდან არ გავუშვებ.

**— სად აპირებ?**

— ჯერ არ გადამიწყვეტია. რამეს მოვიფიქრებ.

**— საქართველოში როდის გვესტუმრები?**

— ნოემბერში ან დეკემბერში, საახალწლოდ. ჩემზეც არ არის დამოკიდებული. ბერძნების დიდი დელეგაცია მომყვება — ასი, ასორმოცდაათი კაცი. ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია, დეტალებიც მალე დაზუსტდება, ალბათ, სამთავრობო დონეზე.

**— დელეგაციის შემადგენლობისა რა იცი?**

— ძირითადად საბერძნეთის ოლიმპიელთა კლუბის წევრები იქნებიან. ეს კლუბი გეორგიოს ლიანისმა დააფუძნა, ყველა დროის ოლიმპიელებს აერთიანებს და ძალზე ავტორიტეტულია. ლიანისიც ჩვენთან იქნება. თბილისში ჩამოვლენ 2004 წლის ათენის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრებიც.

**— არა მარტო სასურველი, საქმიანი და სასარგებლო შეხვედრა გამოდის...**

— იმედია, ასეც იქნება, მომავალი ოლიმპიადის ორგანიზატორებთან ახლო ნაცნობობა საერთო საქმეს წაადგება.

*მომავალი ოლიმპიადა ვახსენეთ, დღევანდელზე კი არაფერი გვითქვამს. უკვე ყველა ქულა განაწილებულია, ყველა მედალი — ჩამორიგებული. ჩემპიონი ბევრია, გმირი — რამდენიმე. ერთ-ერთი გმირთაგანი, აგერ, ჩემს გვერდით ზის: პირველი ქართველი — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; მეორე „ბერძენი" — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; მესამე ძალოსანი — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი. სულეიმანოღლუ, დიმასი, კახიაშვილი... სამგზისანი სულ სამნი არიან. ჯერ იყო ბარსელონა, მერე — ატლანტა, ბოლოს — სიდნეი. ბედმა გამიღიმა და სამივე ოლიმპიადა ვნახე, კახიაშვილის სამივე გმირობის უშუალო მოწმე გავხდი. გაიხსენეთ ბარსელონა: ატაცში სირცოვთან 12,5 წააგო, მაგრამ აკვრაში მსოფლიოს რეკორდი (235) გაიმეორა და გაიმარჯვა. გაიხსენეთ ატლანტა: 90-დან 100 კგ წონით კატეგორიაში გადავიდა, მაგრამ მაინც იპირველა; გაიხსენეთ სიდნეი: კუნთი გაუწყდა, მაგრამ წონა მაინც აიღო. როგორი ამბავია: კუნთი გაუწყდა და არაფერი შეიმჩნია. საშინელ ტკივილს გაუძლო, საქმე ბოლომდე მიიყვანა, მაყურებელს მადლობა გადაუხადა, გაუღიმა კიდეც. მაყურებელს კი არაფერი გაუგია და როცა მომდევნო ცდები გამოტოვა, მაშინღა იკითხა: „სად არის კახიაშვილი", „რა მოუვიდა კახის?"*

— ოლიმპიადისთვის საგანგებოდ ვემზადებოდი, კარგ ფორმაშიც ვიყავი,



**სიდნეი. 2000 წლის 24 სექტემბერი. კახი კახიაშვილი მესამედ შედგა ოლიმპიური პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე. ამჯერად მის გვერდით დადგნენ პოლონელი სიმონ კოლეცკი (მარცხნივ) და რუსი ალექსეი პეტროვი**

მაგრამ აქ, ოლიმპიურ სოფელში, ვარჯიშისას ტრავმა მივიღე: ფეხის ოთხთავა კუნთი დამეჭიმა. ამის შემდეგ, ბოლო ერთი კვირა, თითქმის არ მივარჯიშია, სერიოზული დატვირთვა არ მიმიღია. გუნდის ექიმებმა ინტენსიური მკურნალობის კურსი დამინიშნეს. ავსტრალიელ ექიმსაც გავესინჯე. მირჩია, შეჯიბრებაზე ნუ გამოხვალ, უარესი დაგემართებაო.

**— გამოდის, რომ რისკზე წასული ხარ...**

— რას იზამ, ზოგჯერ ასეც ხდება. ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და გადაწყვეტილება მერე მივიღეთ. სპორტში, მით უმეტეს, ძალოსნობაში, ტრავმა ჩვეულებრივი ამბავია. სულ მეტის და მეტის გაკეთებას ცდილობ, ორგანიზმი კი ამდენს ვერ უძლებს.

**— უშუალოდ შეჯიბრებაზე რა მოხდა?**

— აკვრაში, პირველ ცდაზე 220 შევუკვეთეთ. შტანგა მკერდამდე ატანილი არ მქონდა, როცა ის დაშავებული კუნთი გამიწყდა. უფრო ზუსტად, გაიხა, გაიფხრიწა. ხმაზე მივხვდი, რომ საქმე ცუდად იყო. თვალებში სისხლი მომაწვა, ფიზიკურმა ტკივილმა შემაწუხა, სხეული არ მემორჩილებოდა.

**— ასე დროს ნორმალური ადამიანი შტანგას ხელს უშვებს. ასე არ არის?**

— სწორია, ნორმალურები ასე იქცევიან... მე გავრისკე, კიდევ ერთხელ გავრისკე, რადგან სხვა გზა არ მქონდა. მივხვდი, რომ ეს ბოლო შანსი იყო, ფიცარნაგზე მეორედ ვერ გამოვიდოდი. ჩემთვის გავიფიქრე: „ან ახლა, ან არასდროს". ზოგჯერ საკუთარ თავს უნდა აჯობო, რეალობაზე მაღლა დადგე. არ ვიცი საიდან, მაგრამ ახალი ძალა მოვიდა. დანარჩენი თავად ნახეთ.

**— კულისებში რა ხდებოდა?**

— თავი ისე მეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარა. გავიარ-გამოვიარე, მწვრთნელს გავესაუბრე, ერთი-ორჯერ ჩემებურად ვიყვირე — ვითომ მორიგი წონისთვის ვემზადები, ამასობაში კოლეცკიმ 222,5 აკრა და ორჭიდში გამითანაბრდა. პირადი წონით მე ვუგებდი, მაგრამ კიდევ ორი ცდა რჩებოდა... მეორე ცდაზე 227,5 მოვითხოვე, მაგრამ ფიცარნაგზე გასვლის წინ „რიხით" გამოვაცხადე: გადავიფიქრე, ამ წონას გამოვტოვებ, უფრო მაღალზე წავალ-მეთქი. კოლეცკი იძულებული გახდა 227,5-ზე მისულიყო.

*კონკურენტი სხვაც ჰყავდა, მაგრამ ყველაზე საშიში სიმონ კოლეცკი იყო. ცხრამეტისა ახლახან შესრულდა. იუნიორთა ყველა შეჯიბრებაც მოიგო, ყველა რეკორდი მოხსნა, მერე კი უფროსებსაც „დაერია". შარშან ათენში, მსოფლიო ჩემპიონატზე კახიაშვილის შემდეგ მეორეზე გავიდა, წელს აპრილში, ევროპის ჩემპიონატზე აკვრაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ადრე, თურმე, ვანო გრიქუროვი ავარჯიშებდა, მერე რიშარდ შევჩუკთან გადავიდა. შევჩუკი თამამად აცხადებდა: „კოლეცკის წინ ვერავინ დაუდგება. პოლონეთი ჩვენგან მხოლოდ ოქროს მედალს ელის"... არ გამოვიდა. მეორე ცდა კოლეცკისთვის საბედისწერო აღმოჩნდა: წონა ვერ აიღო, ტრავმაც მიიღო და მეორე ადგილს დაჯაბულდა. ბრინჯაო რუსმა ალექსეი პეტროვმა მოიპოვა (ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონია 90 კილოში).*

*პრესკონფერენციაზე ორნი მოვიდნენ — კახიაშვილი და კოლეცკი. პეტროვი არ გამოჩენილა. დარბაზი, მეტწილად, ბერძენმა ჟურნალისტებმა შეავსეს. კითხვა-პასუხიც ძირითადად, ბერძნულად წარიმართა. კახი მშვიდად, აუღელვებლად საუბრობდა და სულ არ ჰგავდა იმ კაცს, ვინც ათიოდე წუთის წინ ოლიმპიური ოქრო მოიგო. ეს ათი წუთი შეჯიბრების დარბაზიდან აქამდე მოსვლას მოანდომა, რაკი მომლოცველ-მომკითხავთა და ავტოგრაფის მსურველთა რიგში, ერთბაშად მთელი ჯარი ჩადგა: ქართველები, ბერძნები, ადგილობრივები და სხვები. ზოგს გამოეპასუხა, ზოგს გაუღიმა, დანარჩენს მოუბოდიშა — ამ საქმეს მოვრჩები, ჟურნალისტებს გავისტუმრებ, დოპინგ-კონტროლს მოვითავებ და მერე თქვენთვისაც მოვიცლიო. აბა, ჩემპიონს მარტოკას ვინ დატოვებდა. მით უმეტეს, სამგზის ჩემპიონს. კითხვებსაც ერთი ადრესატი ჰყავდა: კახიაშვილი. პრესკონფერენციამ ისე ჩაიარა, კოლეცკის ხმა არ ამოუღია. მაგიდის ბოლოში დატუქსული ბალღივით იჯდა, ხელებში თავჩარგული და სასოწარკვეთილი. ბოლოს, ისევ წამყვანმა ქალბატონმა ივარგა და ერთი კითხვა პოლონელსაც „შეახვედრა". თავი არ აუწევია, დარბაზისკენ არც მოუხედავს: „სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს. მზად ვიყავი უკეთესი შედეგისთვის, მაგრამ მხარი ვიტკინე და მესამე ცდა ჩამივარდა. კახიაშვილთან მეტოქეობა, ალბათ, არ მომიწევს — საგაისოდ წონას გამოვიცვლი, 105-ში გადავალ".*

**— კახი, შენ რას აპირებ, რა გეგმები გაქვს?**

— წელს დავისვენებ, ვიმკურნალებ. კომპიუტერზე გავესინჯე, დაზიანებული კუნთი გამომიკვლიეს. სიგრძით ხუთ სანტიმეტრზეა ჩაწყვეტილი, განივად — ორნახევარზე... ვარჯიშს, ალბათ, იანვარში დავიწყებ, მაგრამ გაისად დიდ შეჯიბრებებზე არ გამოვალ. დანარჩენი მერე გამოჩნდება.

**— მეოთხე ოლიმპიადა...**

— იყოს მეოთხეც!

**— სულეიმანოღლუს მაგალითი?**

— სულეიმანოღლუ შეცდა: თითქმის სამი წელი არსად გამოჩენილა, ყველა შეჯიბრება გამოტოვა. ასე ოლიმპიადას ვერ მოიგებ.

**— დიმასიც მეოთხე ოლიმპიადაზე ფიქრობს, ჟურნალისტებს ასე განუცხადა.**

— თავისი საქმისა თვითონ იცის.

**— ათენში გულშემატკივარი არ მოგაკლდებათ.**

— აქაც ბლომად იყვნენ. ავსტრალიაში ექვსასი ათასი ბერძენი ცხოვრობს.

**— დიმასს მეტი მხარდამჭერი ჰყავდა**

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. შეჯიბრებისას ჩამთვის მხოლოდ ფიცარნაგი და შტანგა არსებობს.

**— ასანიძეზე რას იტყვი?**

— გიას უნდა მოეგო. ასე მომზადებული არასოდეს ყოფილა. ცოტა დააკლდა. აკვრაში, წონის შერჩევისას, პატარა შეცდომაც მოუვიდათ. ყველაფერს ვერ გათვლი.

**— დიმასი რას ამბობს?**

— აგერ ზის, მას ვკითხოთ.

*არც შემიმჩნევია. თურმე, ჩვენს მაგიდასთან ჩამომჯდარა და სადილს მიირთმევს.*

*აქეთ კახიაშვილი, იქით — დიმასი. ერთი საუბრობს, მეორე მითარგმნის: „ცუდად დავიწყე, ძალიან ცუდად. ასეთი რამ არასოდეს მომსვლია — პირველ მისვლაზე დავაგვიანე, მეორე — გავაფუჭე. სულ ცოტა, ხუთი კილოთი მეტი უნდა ამეტაცა, ასე ვგეგმავდით. ასანიძემ სწორედ ამდენით მომიგო. იმედი არ დამიკარგავს... შეჯიბრებისას მეტოქეებს არ ვუყურებ, ამას ჩემი მწვრთნელები აკეთებენ. ჩემგან ყველანი მესამე ოქროს ელოდნენ, უფრო მეტიც — მოითხოვდნენ. მე ეს შევძელი და შინ თავაწეული დავბრუნდები... ახლა ყველა მეკითხება, მეოთხეც ხომ იქნებაო. რა ვიცი, ალბათ, იქნება"...*

*ბარსელონა, ატლანტა, სიდნეი.*

*ეს უკვე წარსულია.*

*ხალხი მომავალზე ფიქრობს.*

*დიმასს მადლობა გადავუხადე, კახიაშვილს დავემშვიდობე:*

*— კიდევ ერთხელ გილოცავ, კახი. აბა, ათენში შეხვედრამდე.*

*— გმადლობთ, ნახვამდის. ოთხი წელი საჭირო არ იქნება, ოთხ დღეში შევხვდებით.*

*სიდნეიდან თბილისში მომავალნი, ოთხ ოქტომბერს ათენში ჩავფრინდით. ათენი ბოლო გაჩერება იყო. კახიაშვილი აეროპორტში დაგვხვდა — ელეგანტური პიჯაკით და კეთილი ღიმილით: ხომ ვამბობდი, ოთხ დღეში შევხვდებითო...*



**მარტო კახი კახიაშვილმა იცის, რამხელა რისკი და ტკივილი ახლდა სიდნეურ ოქროს**

**ელგუჯა ბერიშვილი**
**სიდნეი-ათენი-თბილისი**

# დიდი ვალსი

ციურიხი. შვეიცარია. SWISSCOM CHALLANGE დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 1,1 მილიონი $

**მეოთხედფინალი:** **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:0, 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:2, 6:4; **ჯენიფერ კაპრიატი** (6, აშშ) — ანა კურნიკოვა (4, რუსეთი) 7:6 (7:4), 6:4; **ბარბარა შეტი** (ავსტრია) — ნატალი ტოზია (3, საფრანგეთი) 3:6, 6:3, 6:3

**ნახევარფინალი:** **ჰინგისი** — კაპრიატი 6:3, 6:2; **დევენპორტი** — შეტი 6:2, 6:1

**ფინალი:** **ჰინგისი** — დევენპორტი 6:4, 4:6, 7:5

მსოფლიოს პირველ ჩოგან მარტინა ჰინგისს ამიერიდან თავისუფლად შეუძლია მთელი ყურადღება ერთადერთი აუღებელი ციხესიმაგრის — როლან გაროსის დაპყრობისკენ მიაპყროს. ბოლოსწინა აუღებელი ბასტიონი, მშობლიური ტურნირის ტიტული 20 წლის შვეიცარიელმა კვირას მიისაკუთრა.

„ვერც კი წარმოიდგენთ, რას ნიშნავს ჩემთვის აქ გამარჯვება, ეს სულ განსხვავებული, სულისშემკვრელი გრძნობაა — აღმოხდა დაჯილდოების ცერემონიალზე მარტინას, რომლისთვისაც მთავარი ჯილდოს ხელში ჭერაში ახალი და საოცარი არაფერია, მას ხომ მანამდეც 32 ტიტული მოუგია — როგორც იქნა, ნავსი გავტეხე და ორჯერ ფინალში წაგების შემდეგ მოვიგე. ვწუხვარ, რომ ლინდსის გამარჯვებათა სერია შევაწყვეტინე, ეს მართლაც შესანიშნავი მატჩი იყო“.

კარგა ხანია ლინდსი დევენპორტისთვის შვეიცარია მეორე სამშობლოდ იქცა. შორეულ 1992-ში, ვინმე ლინდა ფერანდოსთან დამარცხების შემდეგ, ამერიკელს აქ ზედიზედ 20 მატჩი და 4 ტიტული მოეგო (1993-94 ლუცერნში და 97-98 ციურიხში) და ამჯერადაც სულ ოდნავ დააკლდა ტრიუმფამდე.

ფინალს საუკეთესო ფორმაში არც ერთი ჩოგბურთელი არ შეხვედრია — დევენპორტს სიდნეის ოლიმპიადაზე გაუარესებული ფეხის ტრავმა უშლიდა ხელს ხეირიანად სირბილში (თუ ბაჯბაჯში), ჰინგისს კი გრიპი შეყროდა და ხანგრძლივი გათამაშებების შემდეგ სულს ძლივს ითქვამდა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნების ორთაბრძოლა იშვიათი სანახავი გამოდგა.



მარტინა ჰინგისი

ამერიკელს ჩვეული თამაშის სტილისთვის არც ამჯერად უღალატია: ჯანიანი მკლავების ძალუმად ქნევით ყოველ ბურთს მთელი ძალით გზავნიდა ბადის მეორე მხარეს და თუ ხანდახან ცდებოდა, უფრო ხშირად მეტოქეს თვალის გაყოლების შანსსღა უტოვებდა. თავის მხრივ ჰინგისმაც მეტისმეტად დაკუნთულ დიაცებთან ხშირი წაგების შემდეგ, როგორც იქნა, სწორი დასკვნები გამოიტანა და იმის ნაცვლად, რომ მეტოქის შეცდომებისთვის ეცადა, თავადაც ხშირად რისკავდა, ტემპის გასაზრდელად ბურთებს კორტიდან ახლოტას ძლივს აცდიდა და ბადესთანაც წარმატებულად ირჯებოდა.

როდესაც გადამწყვეტ სეტში ჯერ 3:3-ზე, მერე კი 4:4-ზე დევენპორტმა ჰინგისს მოწოდება ორჯერ აართვა, შვეიცარიელის მოქომაგე ტრიბუნებზე სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. მხრები მხოლოდ მარტინას არ ჩამოუშვია, ბედთან შეგუების ნაცვლად უზუსტესი დარტყმები ხაზებს დაასვა, მეტოქეს ვალი ორჯერვე დაუბრუნა და მატჩის დაწყებიდან ორი საათის თავზე ამერიკელის შვეიცარიული ჰეგემონია დაამხო.

„მარტინას შეუძლია, ნებისმიერ მეტოქეს გაუმწაროს სიცოცხლე. ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია და მიბრძოლია, მაგრამ იმ ბოლო გეიმის მოგება ვერ მოვახერხე. ასეთი დაძაბული მატჩის წაგებასთან შეგუება ძალიან ძნელია“ — განაცხადა დევენპორტმა, რომელიც პირად შეხვედრებში ჰინგისთან მაინც წინ არის — 11:9.

სამაგიეროდ, ციურიხში გამარჯვებით მარტინამ ფაქტობრივად გაინაღდა სეზონის ბოლოს კლასიფიკაციაში პირველობა, და, ალბათ, მშობლიურ ქალაქში მიღებული 166 ათასი დოლარითაც არ დარჩებოდა უკმაყოფილო.



ტიმ ჰენმანი

ვენა. ავსტრია. „CA ტენის ტროფი“. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 800 ათასი $

**მეოთხედფინალი:** **ტიმ ჰენმანი** (6, ინგლისი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:4, 7:6 (7:3); **ტომი ჰაასი** (გერმანია) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 2:6, 6:3, 6:1; **სედრიკ პიოლინი** (8, საფრანგეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:3, 6:3; **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია) — რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:4, 6:3.

**ნახევარფინალი:** **ჰენმანი** — ფედერერი 2:6, 7:6 (7:4), 6:3; **ჰაასი** — პიოლინი 6:7 (5:7), 6:2, 6:2

**ფინალი:** **ჰენმანი** — ჰაასი 6:4, 6:4, 6:4

ბოლო ორი წლის განმავლობაში ტიმ ჰენმანის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ. ინგლისელი მყარად დამკვიდრდა ჩოგბურთელთა საუკეთესო ათეულში, დეკემბერში დიდი ხნის სატრფოლუსი ჰელდზე იქორწინა, ბოლოს და ბოლოს ზაფხულში თვით პიტ სამპრასიც დაამარცხა. ერთადერთი, რაც ალბიონელთა კერპს აკლდა, ეს ტიტული იყო.

1998 წლის სექტემბერში, ბაზელის ტურნირის მოგების შემდეგ, ჰენმანი შვიდჯერ გავიდა მეტ-ნაკლებად პრესტიჟული ტურნირების ფინალში და შვიდჯერვე დამარცხდა. კოლეგათა დაცინვას რომ თავი დავანებოთ, ტიმს ღამეული კოშმარებისთვის მარტო ენამწარე ბრიტანული პრესის ქილიკიც ეყოფოდა. და აი, მერვე და სამართლიანი ინგლისელისთვის ვენის „CA ტროფი“ აღმოჩნდა.

„ღმერთო ჩემო, რამდენი ცდა დამჭირდა ამისათვის, გამძლეობის ნამდვილი გამოცდა იყო. რომ ვთქვა, რომ შვებით არ ამოვისუნთქე-მეთქი, ტყუილი იქნება — განაცხადა პრესკონფერენციაზე ჩვეულებრივ უსიცოცხლო ჰენმანმა და გულზე მჯიღიც დაირტყა — მეორე მხრივ, ყოველთვის მწამდა საკუთარი ძალების და ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან გავიმარჯვებდი. სეზონის ბოლოსთვის დიდი სტიმული მომეცა“.

ინგლისელისთვის ყველაზე მძიმე ფინალი კი არა, ნახევარფინალი გამოდგა. 19 წლის როჯერ ფედერერმა პირველ ორ სეტში ჰენმანი ყველა ასპექტში დაჩაგრა, 6:5-ზე ორი მატჩ-პოინტიც ჰქონდა და სულ მცირედით აცილა მიზანს: „არა მგონია, იმ მოგებას ვიმსახურებდი, უბრალოდ უკანასკნელი ძალებით ვებღაუჭებოდი გადარჩენის იმედს და გამიმართლა“.

ჰენმანს, მერე საფინალო მეტოქის ვინაობაც დაეხმარა — ტომი ჰაასს კარიერაში 8 ფინალიდან ერთადერთი აქვს მოგებული.

ტოკიო. იაპონია. ღია პირველობა ჰარდი. საპრიზო 800 ათასი $

**მეოთხედფინალი:** **დომინიკ ჰრბატი** (7, სლოვაკეთი) — გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) 6:7 (6:8), 6:2, 3:0 — ტრავმა; **სჯენგ შალკენი** (12, ჰოლანდია) — მარკ ფილიპუსისი (3, ავსტრალია) 6:3, 6:2; **ნიკოლას ლაპენტი** (4, ეკვადორი) — ბაირონ ბლექი (6, ზიმბაბვე) 6:2, 6:2; **ჰიშამ არაზი** (8, მაროკო) — უეინ ბლექი (ზიმბაბვე) 6:7 (4:7), 6:2, 6:2.

**ნახევარფინალი:** **ლაპენტი** — ჰრბატი 6:4, 6:3; **შალკენი** — არაზი 4:6, 6:3, 7:6 (9:7).

**ფინალი.** **შალკენი** — ლაპენტი 6:4, 3:6, 6:1

**ავთანდილ სვანიძე**



# მოღალატე იტალიელები და ჭკვიანი ლატვიელი

**ფრანგულ** ქალაქ პლუეიში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო ველორბოლაში. შაბათს ქალებმა ირბოლეს ჯგუფურად, კვირას კი კაცებმა გააკეთეს იგივე.

ქალებს შორის ბელარუსი ზინაიდა სტაურსკაია აღმოჩნდა ყველაზე გამძლე და მეტად რთულ კლიმატურ პირობებში კარიერაში პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. 29 წლის სპორტსმენმა, რომელიც უკვე ოთხი წელია, იტალიაში ბინადრობს, ძალიან ივაჟკაცა და ჰოლანდიელ შანტალ ბელტმანს წუთი და 27 წამი მოუგო, პელოტონის მოწინავე, 17-ქალიან ჯგუფს კი — წუთი და 50. რბოლა წვიმასა და ზამთრის სიცივეში ჩატარდა, რამაც ბევრი გამოთიშა შეჯიბრს. ზოგმა პედლების ტრიალს ცხელი შოკოლადით, ვისკითა და თბილი ტანსაცმლით გათბობა ამჯობინა, ზოგიც უბრალოდ მოსრიალდა სველ გზაზე.

სტაურსკაიამ კი ყინვასაც გაუძლო და არც ერთხელ არ წაქცეულა. თუმცა მან აღიარა, როცა ბოლო 60 კილომეტრზე შეტევა წამოვიწყე, სულაც არ მქონია იმედი, რომ ფინიშს მარტოობაში გადავკვეთდიო. მისმა უპირატესობამ ერთი პირობა 2 წუთსა და 25 წამსაც მიაღწია. „გამარჯვება მხოლოდ ბოლო წრის დასაწყისისას ვირწმუნე“ — თქვა ბელარუსმა, რომელიც ველოსპორტამდე მძლეოსნობითა და თხილამურებით იყო გატაცებული. „ფანინის“ წევრი და წლევანდელი „ტოსკანიის ტურის“ მომგები სტაურსკაია სტარტიდანვე სულ შეტევაზე ფიქრობდა. „ვიცოდი, რომ ჯგუფური სპრინტი არ იქნებოდა“ — თქვა მან. მის სიძლიერეში მოწინააღმდეგეებიც მალე დარწმუნდნენ, ამიტომ როცა ის გაიქცა, დევნით თავი არავის მოუკლავს. ბელტმანმა მხოლოდ ბოლო წრეზე წამოიწყო კონტრშეტევა, რომლის მიზანიც უფრო ვერცხლის მედლის მოპოვება იყო, ვიდრე ლიდერის დაწევა. ბრინჯაოსთვის გამართულ სპრინტში კი შვედმა მადლინ ლინდბერგმა იმარჯვა.

„გუნდში რაღაც ვერ იყო რიგზე. სამჯერ ვცადე, შეტევა განმეხორციელებინა, მაგრამ როცა დავრწმუნდი, არაფერი გამოვიდოდა, გადავწყვიტე, საფინალო სპრინტს დავლოდებოდი. თანაგუნდელები უფრო რომ დამხმარებოდნენ, რბოლა სულ სხვა სცენარით გაგრძელდებოდა. ღალატი? არ მინდა ამაზე საუბარი“ — განაცხადა მეოთხე ადილზე გასულმა იტალიელმა მიკელე ბარტოლიმ, რომელიც ვაჟთა ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტი იყო.

და იყო თუ არა იტალიელებს შორის ღალატი და საერთოდ, როგორ წარიმართა რბოლა, ახლავე გიამბობთ. დაახლოებით 150 ათასი ადამიანი დაესწრო ღრუბლიან ამინდში 19-წრიან (ჯამში 268,85 კმ) რბოლას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის, რომელიც საბოლოოდ ლატვიელ რომანს ვაინსტეინსს ერგო, მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლოდ ორი თანაგუნდელი უმაგრებდა ზურგს.

გზა ისეთი იყო, წესით, ვინმეს გაქცევაზე არც უნდა ეფიქრა, ყოველ შემთხვევაში, წარმატების იმედი ნამდვილად არ უნდა ჰქონოდა. თუმცა პელოტონს მალე გამოეყო 9-კაციანი ჯგუფი, რომლის რიგებშიც ძლიერთაგან ფრანგი კრისტოფ მორო და იტალიელი დანილო დი ლუკა იყვნენ და რომლის უპირატესობამაც რვა წუთსაც კი მიაღწია. თუმცა მათ პელოტონი გამოუდგა პოლონელების თაოსნობით და დისტანციის ბოლოსკენ ჩაყლაპა კიდეც. „დევნა ჩვენმა გუნდმა წამოიწყო, რადგან ყველა ძლიერ ქვეყანას ჰყავდა ლტოლვილთა შორის წარმომადგენელი. ჩემმა მეგობრებმა თავი არ დაზოგეს, ამიტომაც ამ მედალს მათ ვუძღვნი“ — თქვა ვერცხლის მომგებმა ზბიგნევ სპრუშმა.

ამ დევნაში ყველაზე ჭკვიანურად ვაინსტეინსი მოიქცა. მან სწორად შეაფასა სიტუაცია — პოლონელები ძალიან ბევრ ენერგიას ხარჯავდნენ, იტალიელებს შინაშლილობა ჰქონდათ და მათი ლიდერი ბარტოლი მეტად განერვიულებული ჩანდა, ფრანგებს ლორან ჟალაბერი (ისევ კუჭი ჰქონია აშლილი) და კიდევ რამდენიმე კაცი გამოაკლდათ... მხოლოდ ესპანელები იყვნენ ერთ მუშტად შეკრულნი. პირენეელები მთლიანად შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონის, ოსკარ ფრეირის გამარჯვებაზე ფიქრობდნენ და ლატვიელმაც ფრეირის გაკონტროლება გადაწყვიტა.

ბოლო 11 კილომეტრზე ბელგიელმა ანდრეი ჩმილმა შეუტია, მაგრამ მას რამდენიმე წუთში, უკანასკნელი აღმართის წინ დაეწივნენ. ამ 8-პროცენტიანი დახრილობის გზის ავლის შემდეგ, წესით, ბარტოლის ჰქონდა გაქცევის კარგი შანსი, მაგრამ იგი აღმართის დასაწყისშივე მოუსპეს თანამემამულეებმა — ჯილბერტო სიმონიმ ფრანჩესკო კასაგრანდეს შეტევა მოამზადა და ეს უკანასკნელიც უმაღლეს წერტილს პირველი მოექცა, მაგრამ ფინიშამდე კიდევ სამი კილომეტრი რჩებოდა და მანაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლომდე ვერ გაძლო. ფინიშამდე კილომეტრით ადრე ისევ ჩმილმა შეუტია, მაგრამ ძალები ბოლომდე არც მას ეყო. სპრინტში კი ესპანელებმა ყველაზე უკეთ გამოაქანეს თავიანთი ლიდერი, მაგრამ ამას ვაინსტეინსი ელოდა, თანაც ფრეირს ოდნავ ბარტოლიმაც შეუშალა ხელი და მას სპრუშმაც გააწრო. „ეს არაჩვეულებრივია“ — ძლივს ამოღერღა პოდიუმზე აცრემლებულმა ბალტიისპირელმა ჩემპიონმა, რომელმაც პლუეიში უკეთ გამოსვლის მიზნით ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი თქვა. ჭკვიანურადაც მოიქცა.

**ბაიოჩ თალაკვაძე**



REUTERS

წლევანდელი და შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონები — რომანს ვაინსტეინსი (მარცხნივ) და ოსკარ ფრეირი

**მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური რბოლები**

იუნიორები. გოგონები, 70კმ
1. ნიკოლ კუკი (დიდი ბრიტანეთი) — 1სთ 49წთ 02წმ
2. მაგდალენა სადლეცკა (პოლონეთი) — +8წმ
3. კლერ ჰოლ-პეტსი (კანადა) — +12

იუნიორები. ვაჟები, 127კმ
1. ჯერემი იატსი (ახალი ზელანდია) — 2სთ 59წთ 26წმ
2. ანტონიო ბუჩიერო (იტალია) — +1
3. ალექსანდრ არეკეევი (რუსეთი) — +1

ახალგაზრდები. ვაჟები, 169,8კმ
1. ევგენი პეტროვი (რუსეთი) — 3სთ 58წთ 06წმ
2. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა) — +4
3. ლორენცო ბერნუჩი (იტალია) — +4

ქალები, 127,4კმ
1. ზინაიდა სტაურსკაია (ბელარუსი) — 3სთ 17წთ 43 წმ
2. შანტალ ბელტმანი (ჰოლანდია) — +1წთ 27
3. მადლენ ლინდბერგი (შვედეთი) — +1წთ 50

ვაჟები, 268,8კმ
1. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია) — 6სთ 15წთ 28წმ
2. ზბიგნევ სპრუში (პოლონეთი)
3. ოსკარ ფრეირი (ესპანეთი) — ორივეს იგივე დრო



ლოკომოტიველ ბესო უდესიანს მარჯვე თამაშმა ბათუმელთა განსაკუთრებული ყურადღება არგუნა. კობა გიორგაძის მარწუხიც ამის დასტურია



დათვი ჩვენ რას დაგვაკლებს... ლოკომოტიველები უდესიანი, ცხომელიძე და ცხადაია

# თამაში იყო, იუბილეს რომ ეკადრებოდა

IV წრე. III ტური
თბილისი. ვარკეთილი
15 ოქტომბერი

**ლოკომოტივი 1 — დათვები**
**16:14 (11:7)**

**ლოკომოტივი 1:** მაჭუტაძე, ხინჩაგაშვილი, ბერიაშვილი (ცხომელიძე), ჩადუნელი, მოგელაძე, სუჯაშვილი, კახიანი, უდესიანი, ჯანაშვილი, ძნელაძე, ბუგიანიშვილი, ალანია, ცხადაია (მათიაშვილი), სორდია, ასათიანი
2ლ — ბუგიანიშვილი, ასათიანი
2ს — ძნელაძე (2)
**დათვები:** ნინიძე, გურეშიძე, პაპავა, ფხაკაძე (აბაშიძე), რეხვიაშვილი (გოგისვანიძე), ზ. ლიპარტელიანი, სვანიძე, აბდალაძე, კიკაჩეიშვილი (გიორგაძე), ნ. ძაგნიძე (სვინტრაძე), ხონელიძე, ტყაბლაძე, ე. ძაგნიძე, ჩუბინიძე, მაჩიტიძე
2ლ — მაჩიტიძე, ჩუბინიძე
2გ — ე. ძაგნიძე
გაძევება: აბდალაძე (დათვები)
მსაჯი: ნ. რობიტაშვილი
მეთვალყურე: ზ. ელიზბარაშვილი

**კვირას**, 15 ოქტომბერს, ქართულ სარაგბო თემს ორმოცი წელი შეუსრულდა. ოთხი ათეული წლის წინ იპოდრომზე ქართული რაგბის პირველმა მერცხალმა, იმხანად პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა პირველად ივარჯიშა და მშობლიური რაგბის ტრადიციებს ჩაუყარა საფუძველი. მართალია, კვირას ვარკეთილის სტადიონზე გამართულ შეხვედრაში აწ ტექნიკურ უნივერსიტეტის გუნდს, სტუ-„ყოჩებს" მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ბათუმის „დათვებმა" და თბილისის „ლოკომოტივი 1"-მა საიუბილეო თარიღისთვის საკადრისი თამაში გააჩაღეს. ამ მატჩის შედეგზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. გამარჯვებული პრაქტიკულად პირველ ადგილს გაინაღდებდა და შესაბამისად პლეი ოფში ოთხეულის ყველაზე სუსტ მეტოქეს, ასკ-ს დაუპირისპირდებოდა, არმიულ კლუბის ძლევის შემთხვევაში კი ჩემპიონატის ფინალურ მატჩს შინაურ სარბიელზე უმასპინძლებდა. „ლოკომოტივი 1" წლევანდელ პირველობაში ჯერჯერობით ერთხელ დამარცხდა და ისიც სტუმრად „დათვებთან". მაშინ ამ მატჩს დიდი აურზაური მოჰყვა, შეხვედრის დებიუტშივე გუნდური ჩხუბი ატყდა და რკინიგზელთა ორ მობურთალს მოედანიც დაატოვებინეს. გუშინწინ გამართული შეხვედრა კი, ღვთის მადლით, ნორმალურად წარიმართა.

მატჩის დებიუტშივე ინიციატივა რკინიგზელებმა იგდეს ხელთ და მეტოქეს ჯიქურ შეუტიეს. ატალახებულმა მოედანმა მორაგბეებს სირთულეები შეუქმნა, მაგრამ ამ მატჩის სანახავად მოსულ რაგბის გულშემატკივარს დრო უქმად ნამდვილად არ დაუკარგავს. მასპინძელთა უპირატესობის მიუხედავად, ანგარიშის გახსნის ჩინებული შესაძლებლობა ზღვისპირელებს მიეცათ, მაგრამ ბათუმელთა გამოცდილმა კაპიტანმა ნუგზარ გაგნიძემ ბურთს სწორი ტრაექტორია ვერ შეურჩია და საჯარიმო დარტყმა გაუცუდდა. რკინიგზელებმა მეტოქეს სწრაფი იერიშით უპასუხეს. თბილისელთა გარემარბი ბუგიანიშვილი შეტევის მარცხენა ფრთაზე გაიჭრა, მაგრამ ზედ სტუმართა სალელოე მოედნის ხაზთან „დათვების" მცველებმა ივარგეს და ბუგიანიშვილი აუტში გადააგდეს, საბოლოოდ კი რკინიგზელთა ხანგრძლივი შეტევა ძნელაძის ზუსტად შესრულებული საჯარიმო დარტყმით დასრულდა და „ლოკომოტივი 1" დაწინაურდა — 3:0. ამან რკინიგზელებს ფრთები შეასხა, თუმც სტუმრები მედგრად დაუხვდნენ მეტოქის შეტევებს. თამაში ძირითადად მოედნის ცენტრალურ ნაწილში გაჩაღდა, სადაც რკინიგზელი უდესიანი ბატონობდა. მისი პროგრესი აშკარაა და ალბათ შორს არაა ის დღე, როდესაც იგი ეროვნული ნაკრების მაისურასაც გააოფლიანებს. „ლოკომოტივი 1"-მა საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა და ბუგიანიშვილის ჯერიც დადგა. ერთ-ერთი შეტევისას ასათიანმა ბურთი ბათუმელთა სალელოე მოედანში ჩაჰკიდა, მართალია, თავისსავე ჩაკიდებულს თვითონ ველარ შეჰყვა, მაგრამ იქ ყველას ბუგიანიშვილმა დაასწრო და ამ მატჩში პირველი ლელო გაიტანა. ძნელაძემ ვერ გარდასახა. მატჩი დაიძაბა, ხშირი იყო ტრავმები. ერთ ეპიზოდში კი შეხვედრის მთავარ არბიტრ ნოდარ რობიტაშვილს წითელი ბარათის ჩვენება მოუხდა: მის მიმართ უხეშობისთვის მოედნიდან ბათუმელი ნიკა აბდალაძე გააძევა. აბდალაძეს ვერც თანაგუნდელთა პროტესტმა უშველა და ვერც თავის მართლებამ, აქაოდა, ატალახებულ მოედანზე ფეხი დამიცდა და იდაყვიც შემთხვევით მომიხვდაო. უმცირესობაში დარჩენილი სტუმრები არ გატყდნენ და მაჩიტიძის აქტიურობის წყალობით მასპინძელთა სალელოე მოედანი დალაშქრეს. უმცროსმა გაგნიძემ ზუსტად გარდასახა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ რამდენიმე წუთში თბილისელმა ძნელაძემ საჯარიმო დარტყმისას ივარგა და გუნდებიც შესვენებაზე წავიდნენ.

მეორე ტაიმიც ლოკომოტიველთა შეტევებით დაიწყო. რკინიგზელებს სულ მცირე, ორჯერ შეეძლოთ მეტოქე უყურადღებობისთვის დაესაჯათ, მაგრამ პირიქით კი მოხდა. იმავე მაჩიტიძის ძალისხმევით ჩუბინიძემ მასპინძლები მეორედ დაალელოვა, პატარა „ბეყეც" გარდასახვისას ზუსტია და პირველად ამ მატჩში სტუმრები დაწინაურდნენ. წინგასვლამ ბათუმელები ეიფორიაში ჩააგდო, ხოლო რკინიგზელები თამაშის შემობრუნებამ ფსიქოლოგიურად ვერ დათრგუნა: ამის შემდეგ „ლოკომოტივი1"-მა ისე გონივრულად შეუტია მეტოქეს, ნათელი იყო, ანგარიში აუცილებლად შეიცვლებოდა. განსაკუთრებით უდესიანი და ბუგიანიშვილი გამოირჩეოდნენ. ამ ორი მობურთალის გაუვნებლება სტუმართათვის გადაუჭრელ ამოცანად იქცა, მაგრამ გამარჯვების ლელო სულ სხვამ, ასათიანმა გაიტანა. „მეხანიკამ" ზღვისპირელთა დაცვას თავი დააღწია და ბურთიანად ბათუმელთა სალელოე მოედანში შეაღწია. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა, „დათვებმა" მცირე შტურმიც მოაწყვეს მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ რკინიგზელთა დაცვამ უშეცდომოდ ითამაშა და სასურველი ანგარიში მატჩის ბოლომდე შეინარჩუნა.

**ბაჩო სვანიძე**



ბათუმელმა ირაკლი სვანიძემ ბურთი თავისიანებს შეუნარჩუნა

IV წრე. III ტური
თბილისი. ავლაბარი
12 ოქტომბერი

**ასკ 0:24 უნივერსიტეტი**

**სატურნირო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 1 | 13 | 12 | 0 | 1 | 320:174 | 6 | 54 |
| დათვები | 15 | 11 | 0 | 4 | 331:166 | 8 | 52 |
| ყოჩები | 13 | 7 | 0 | 6 | 260:289 | 2 | 30 |
| ასკ | 15 | 3 | 1 | 11 | 202:349 | 2 | 15 |
| უნივერსიტეტი | 14 | 1 | 1 | 12 | 181:324 | 1 | 7 |

პ — პრემიალური ქულა
ასკ-ს დაკლებული აქვს 1 ქულა

# ცაბაძე გაბარბაროსდა

**საქართველოს** ეროვნული ნაკრებისა და ფრანგული ელიტ 1-ის კლუბ „კასტრის" მორაგბე ლევან ცაბაძე შეიძლება ძლევამოსილ „ოლ ბლექსს" დაუპირისპირდეს.

საქმე ისაა, რომ ახალზელანდიელთა ნაკრების საშემოდგომო ტურნე აზიის გარდა ევროპულ ნაკრებებთან გაჯიბრებასაც ითვალისწინებს და ნოემბრის დასაწყისში ლომუ და ძმანი მისნი საფრანგეთსაც ეწვევიან. იქ კი ფრანგულ ჩემპიონატში მოასპარეზე ვარსკვლავებით დაკომპლექტებული „ბარბაროსები" შავების დამარცხებას შეეცდებიან. ვარსკვლავთა შემადგენლობაში ჩვენებური „ლეონსიოც" არის მოხსენიებული.



ლევან ცაბაძე

## ჰოკეი




ელოდნენ და მოხდა: კოლორადოს მეკარე პატრიკ რუამ 447-ე მოგებით ლეგენდარული ტერი სავჩუკის მელი და თითქოსდა ურყევი რეკორდი გაიმეორა

NHL

13 ოქტომბერი
სენტ ლუისი — მინესოტა 2:0
0:0 1:0 1:0
ლოს ანჯელესი — ბოსტონი 5:0
3:0 1:0 1:0
ედმონტონი — ბუფალო 3:2
1:1 0:0 2:1
ნეშვილი — ვაშინგტონი 3:1
1:0 1:0 1:1
ფლორიდა — კაროლინა 2:2
1:1 1:1 0:0 0:0
პიტსბურგი — ტამპა 3:2
1:0 1:1 1:1
ოტავა — ნიუ ჯერსი 3:1
2:1 0:0 1:0

14 ოქტომბერი
მონრეალი — ჩიკაგო 5:4
0:1 2:1 2:2 1:0
აილენდერსი — კალგარი 0:2
0:1 0:1 0:0
ტორონტო — ოტავა 0:4
0:1 0:1 0:2
კოლორადო — კოლუმბუსი 3:1
0:1 1:0 2:0
ნიუ ჯერსი — ანაჰაიმი 4:2
2:0 2:0 0:2
პიტსბურგი — რეინჯერსი 8:6
2:1 2:3 4:2
დალასი — ვაშინგტონი 3:0
1:0 1:0 1:0
ნეშვილი — კაროლინა 2:1
1:0 0:1 1:0
ვანკუვერი — ბუფალო 4:0
1:0 1:0 2:0
ფინიქსი — ფილადელფია 6:3
2:0 2:1 2:2
სან ხოსე — ბოსტონი 5:2
1:1 1:1 3:0

15 ოქტომბერი
მინესოტა — ედმონტონი 3:5
2:1 1:3 0:1
ტამპა — ატლანტა 5:2
1:1 3:0 1:1
დეტროიტი — კალგარი 2:4
0:1 2:2 0:1
ლოს ანჯელესი — ფინიქსი 5:6
2:1 1:3 2:2
ჩიკაგო — კოლუმბუსი 2:1
0:0 1:1 1:0

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ზურაბ მეძველია
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორაშვილი
**კალათბურთის რედაქციის რედაქტორი** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge